საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№11 (529)

25 - 31 მარტი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

geworld@inbox.ru

## გისმენთ და გემორჩილებით!

6



## «ნაყიდდიპლომიანთა» ტრიუმფი, ანუ რას გვასწავლის «კოვიდ-19»-ის განსაცდელი

2




როგორც კი სასიცოცხლოდ საჭირო საქმე გახდა საკეთებელი, საბჭოთა განათლების და საბჭოთა გამოცდილების სპეციალისტების იმედად დავრჩით და მათ ეს იმედი გაამართლეს

## ნიღაბაფარებულთა მორიგი შეტევა საქართველოს დედაეკლესიაზე

5



მამა გიორგი (რაზმაძე):

## დაკეტილი და ცარიელი ტაძრები — ეს არის დასავლეთიდან მართული ლიბერალური ელიტის ოცნება

4



## შუაში გაკრეფილი პოლიტიკური სარბიელი

16




ლევან ჩაჩუა:

## ჯანსაღ ძალებს რაც უფრო შეეწინააღმდეგებიან, მით მეტად გაშიშვლდებიან და გამოაჩენენ თავიანთ რეალურ სახეს

17



## სულ უკან და უკან: რა და როგორ შეიცვალა საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში

8-10



## ევროპული სოლიდარობის ფარსი და მიტოვებული, მაგრამ მაინც ოპტიმისტი იტალიელები

14



## იტალიას დახმარების ხელი რუსეთმა გაუწოდა

21



## კორონავირუსი ცვლის ადამიანთა ჩვევებსა და ცხოვრებას

11



## კორონავირუსმა ლიბერალური გლობალიზაციის არაადამიანური ბუნება გამოამჟღავნა

21

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ეს განსაცდელი მსოფლიოს ძალიან ბევრ რამეს დაანახვებს. იტალიელებმა უკვე დაინახეს, რომ, თუკი მათ ვინმე ქმედითად ეხმარება, ეს ჩინეთი, რუსეთი და კუბაა. მათგან ორი ყოფილი სოციალისტური ქვეყანაა, კუბა კი დღესაც ამ წყობილებისაა.**

# «ნაყიდდიპლომიანთა» ტრიუმფი, ანუ რას გვასწავლის «კოვიდ-19»-ის განსაცდელი

## როგორც კი სასიცოცხლოდ საჭირო საქმე გახდა საკეთებელი, საბჭოთა განათლების და საბჭოთა გამოცდილების სპეციალისტების იმედად დავრჩით და მათ ეს იმედი გაამართლეს

**ფაქტობრივად, სრულიად მსოფლიო იმის ძიებაშია, რაშია საიდუმლო, რომ პატარა და არც ისე განვითარებული ქვეყანა საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში ახალი ტიპის კორონავირუს „კოვიდ 19“-თან ბრძოლაში. როცა ამ საგაზეთო სტატიას ვამზადებ, ტელევიზორიდან მესმის ხმა, რომ ნიდერლანდების ერთ-ერთმა წამყვანმა გამოცემამ ვრცელი წერილი მიუძღვნა ამ თემას და დაწერა, რომ ნიდერლანდელ სპეციალისტებს უჭირთ პასუხის გაცემა ამ კითხვაზე.**

ვეთანხმები — განვითარებული, წინწასული და გაამაყებული ევროპისთვის აშკარად რთული იქნება იმის აღიარება, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნები ყველაზე კარგად აღმოჩნდნენ მომზადებული ეპიდემიოლოგიური აფეთქებისთვის და აშკარაა ევროპული ჯანდაცვის სრული კოლაფსი პოსტსაბჭოთა სივრცეში გაცილებით მსუბუქი სურათის ფონზე. დიახ, სწორედ ესაა საქმე, რომ, კი ბატონო, საქართველო განსაკუთრებული მიღწევებით გამოირჩევა ამ მხრივ, მაგრამ, თუკი დავაკვირდებით „კოვიდ 19“-ით დაზარალებული ქვეყნების რუკას, საქართველოსთან ერთად, გაცილებით მსუბუქი მდგომარეობაა ყოფილი საბჭოეთის ტერიტორიაზე, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. ამის დანახვა კარგა ხანს არ უნდოდა ევროპას, მაგრამ გაჭირვებამ გასაქცევის დანახვება იცისო და, **მობიბინე დემოკრატიის მქონე იტალიამ შველა ჯერ ჩინეთს სთხოვა და ეხლა უკვე „ჩამოშლილ“ და „დანგრეულ“ რუსეთს. ოფიციალური ინფორმაციით, იტალიაში 100-მდე რუსი სამხედრო ინფექციონისტი და ვირუსოლოგი ექიმი ჩავიდა შესაბამისი აღჭურვილობით და ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ იტალიელ ექიმებს.** ვიცი, ახლა რა ამბავიც ატყდება ჩემზე გადაკიდებულ „ლიბერასტებში“, — აგე, ეს პუტინის მონა როგორ აქებს რუსებსო! არადა, მე რუსებს კი არა, საზოგადოდ, სოციალისტურ მიდგომებს ვაქებ და ვიწონებ, ხოლო საბჭოეთი, შესაძლოა, ზედმეტად გადაჭარბებულ ფორმებში, მაგრამ მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე სამაგალითო და დიდი სოციალისტური სივრცე იყო, ამიტომაც მომყავს მაგალითად.

რა შუაშია სოციალიზმი და კაპიტალიზმი კორონასთან ბრძოლაში? გეტყვით: ერთმა ესპანელმა ინფექციონისტმა ამ დღეებში განცხადა: **„თქვენ თვეში მილიონებს უხდით ხელფასად ფეხბურთელებს, ხოლო 1 800 ევრო აქვს ანაზღაურება ექიმ-ინფექციონისტს, რომელიც ყოველდღიურად უამრავ ბაცილას ეხება უშუალოდ და საკუთარ ჯანმრთელობას წირავს კაცობრიობის სიცოცხლის გადასარჩენად. ახლა კი დგახართ და გვსაყვედურობთ, რატომ არ გვაქვს ანტივირუსი. მესისა და რონალდუს მიმართეთ!“** — ესპანელი ექიმის ამ მწარე ირონიაში იმალება სწორედ ის სიმართლე, რომელსაც კაცობრიობის დიდი ნაწილი, ვფიქრობ, იზიარებს. უბრალოდ, მდიდართა კასტებს ადამიანების ასეთი აზრები ხელს არ აძლევთ და ყველაფერს აკეთებენ, რათა ხალხის დიდი მასები დათრგუნონ. **აფინანსებენ მედიას, ინტერნეტს და ყველა საშუალებით ცდილობენ, რომ „სოციალისტური შეხედულებები“ გააიგივონ ტირანიასთან, დიქტატურასთან, უბედურებასთან და, საზოგადოდ, „სამარცხვინოს“ იარლიყი მიაწებონ.**

ნაწილობრივ გამოსდით კიდეც, მაგრამ **ზოგჯერ, სასოწარკვეთილებისას, ადამიანებს მაინც ამოასკდებათ ხოლმე ძახილი იმ სოციალურ უსამართლობაზე, რომელსაც თავის არსში ე.წ. ველური კაპიტალიზმი მოიცავს.**

ჯერ კიდევ ამ 10-15 წლის წინათ ვაქვეყნებდი მოსაზრებებს სწორედ ამის შესახებ, რომ მსოფლიო ფინანსურად ისეთი უსამართლო გახდა, ეს კარგს არაფერს მოუტანს კაცობრიობას-მეთქი. ამის გამო ბევრი დამცინოდა კიდეც და „ჩამორჩენილ კომუნისტს“ მიწოდებდა, მაგრამ მე იდეალურ კომუნიზმსა და აბსოლუტურ თანაბრობაზე არ ვლაპარაკობ. ძალიან კარგად მესმის, რომ მთა და ბარი ერთ სიბრტყეზე ვერ გასწორდება, მაგრამ განა არ არის შესაძლებელი გარკვეული სტანდარტების დაცვა? კი, ბატონო, **ფეხბურთელს, შოუმენს, პოდიუმზე მოსიარულე „მაგარ ნაშა მოდელს“, მსახიობს, ჰოლივუდელს ჰქონდეს მეტი, გაცილებით მეტი შემოსავალი, ვიდრე ექიმს, პედაგოგს, პოლიციელს, ინჟინერს... მაგრამ იმ „ბევრსაც“ ხომ თავისი საზღვარი, ზომა და წონა უნდა ჰქონდეს?!**




**უამრავ ევროუნივერსიტეტში ოღონდ სწავლის ფული გადაიხადე და ათასნაირ სერტიფიკატს, დიპლომს თუ მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს სრულიად უპრობლემოდ გაძლევენ — ეს განა რაიმეთი განსხვავდება „დიპლომის ყიდვისგან“?! სწორედ ეგეთი „ევროტუტუცები“ გაიძახიან მერე, — საბჭოთა განათლების სისტემა არ ვარგოდა და დიპლომებს ყიდულობდნენო. დავიჯერო, ეს შტერები, როდესაც ჭაღარაშერეულ ამირან გამყრელიძესა და თენგიზ ცერცვაძეს ხედავენ ტელეეკრანზე, ვერ ხვდებიან, როდის აქვთ მათ დიპლომი „ნაყიდი“? ფაქტი ერთია: „ევროპებში“ და „აშუშუებში“ განსწავლული ბევრი გვყავს, მაგრამ როგორც კი სასიცოცხლოდ საჭირო საქმე გახდა საკეთებელი, საბჭოთა განათლების და საბჭოთა გამოცდილების სპეციალისტების იმედად დავრჩით და მათ ეს იმედი გაამართლეს**

დავუშვათ, ექიმს აქვს 2 ათასი ევრო, ხოლო ფეხბურთელს — 20 ათასი, კარგი, ჯანდაბას, ხმას არავინ ამოიღებდა, ჰა, 200 ათასი იყოს, მაგრამ, როდესაც ფეხბურთელის ანაზღაურება 2 მილიონია (საშუალოზე ცოტა მაღალი კლასის ფეხბურთელების საშუალო ანაზღაურება ძლიერ ევროპულ ლიგებში), ეს უკვე მართლაც სიგიჟეა და მსოფლიოს, კაცობრიობის ჭკუიდან გადასვლას ნიშნავს.

აი, სწორედ ამ კავშირშია კორონავირუსთან სოციალიზმი და კაპიტალიზმი. სოციალისტურ ბანაკში ამ მხრივ გარკვეული სამართლიანობა დაცული იყო. მართალია, მაგალითად, **თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელს ნებისმიერ პროფესორსა და აკადემიკოსზე მეტი მატერიალური შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ განსხვავება მათ შორის არ იყო კატასტროფული და წარმოუდგენელი.**

რაღაც პერიოდამდე მსოფლიოშიც ასე იყო. სპორტსმენების, მსახიობების, პოდიუმზე გამომსვლელების შემოსავლები დიდი იყო, მაგრამ ასე უაზროდ არ განსხვავდებოდა სხვა, მთელი კაცობრიობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროფესიების წარმომადგენელთა შემოსავლებისგან.

ბოლო 30-40 წელია, მსოფლიო ამ მხრივ მართლაც შეიშალა. კაპიტალიზმმა თავისი განვითარების პიკს მიაღწია და უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა ის, რომ „სანახაობის“ მსახურებს ათჯერ და ასჯერ კი არა, უკვე მილიონჯერ მეტი აქვთ მატერიალური შემოსავალი, ვიდრე მეცნიერებს, სამხედროებს, ექიმებს და ა.შ., ანუ იმ პროფესიების წარმომადგენლებს, რომელთა გარეშე კაცობრიობისთვის ვერანაირი „სანახაობა“ ვერ იარსებებდა.

ადრე თუ გვიან ასეთი სოციალური უსამართლობა კაცობრიობას აუცილებლად მიიყვანს დაღუპვამდე და მგონია, რომ „კორონა“, ანუ „კოვიდ 19“ პირველი სერიოზული გაფრთხილებაა ამ მხრივ მსოფლიოსთვის.

მსოფლიომ უნდა შეცვალოს ცხოვრების წესი და რაღაცებზე კარგად დაფიქრდეს.

სხვას თავი რომ დავანებოთ, ეს ყოველივე მომავალ თაობებსაც რყვნის და აფუჭებს მსოფლმხედველობრივად. როგორც კი ბიჭი იბადება ოჯახში, ყველა იმას ჩასჩიჩინებს: რად გინდა წიგნი და განათლება, ივარჯიშე, სპორტსმენი გახდი, წიხლები იქნიე და უზრუნველყოფილი იქნები მთელი ცხოვრებაო. გოგონებს პოდიუმისკენ, მსახიობობისკენ და შოუსფეროსკენ უბიძგებენ და ასე. **ე.წ. იოლი ცხოვრება იზიდავს ადამიანებს და შესაბამისად, უფრო და უფრო ნაკლებია იმის მსურველი, რომ სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად ვირუსებითა და ბაქტერიებით გაძეძგილ ლაბორატორიებში „ჩაყვინთოს“ იმის მეათასედი კი არა, მემილიონედი ანაზღაურებით, რასაც „წიხლების ქნევაში“ მიიღებდა...** მერე აი, ასეთი თაობები, ჩვენი ბაბუების და მამების თაობას, ასევე ჩვენს თაობასაც „ნაყიდდიპლომიანებს“ გვეძახიან. **ხოლო როდესაც აშკარად ჩანს ის, რომ ამ „ნაყიდდიპლომიანებმა“ „წინწასულ“ ევროპას აჯობეს თავის საქმეში, იწყებენ რაღაც არარსებული მიზეზების ძებნას ამის ასახსნელად.**

რეალობა კი არის ის, რომ, თუკი სოციალიზმის პირობებში მართლაც ხდებოდა დიპლომების ყიდვა, მერე ის ნაყიდი დიპლომი მავანს ან ოხრად რჩებოდა, ან რაღაც სრულიად უპრეტენზიო სამსახურში მოსაწყობად იყენებდა. რეალური ცოდნის, გამოცდილებისა და შესაბამისი უნარების არქონის შემთხვევაში, ვერავითარი ნაყიდი დიპლომით სერიოზულ, საპასუხისმგებლო სამუშაოზე ვერ მოეწყობოდი.

ან კიდევ, დღევანდელ „ევროპებში“ ათასობით უმაღლესი სასწავლებელი რომ არის გახსნილი და მართალია, **მთლად პრესტიჟულში ვერა, მაგრამ, ძალიან ბევრ ევროუნივერსიტეტში მოწყობილი ბევრი დებილი რომ მინახავს, ამ ფაქტს რა ვუყო? დავმალო?**

უამრავ ევროუნივერსიტეტში ოღონდ სწავლის ფული გადაიხადე და ათასნაირ სერტიფიკატს, დიპლომს თუ მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს სრულიად უპრობლემოდ გაძლევენ — ეს განა რაიმეთი განსხვავდება „დიპლომის ყიდვისგან“?! სწორედ ეგეთი „ევროტუტუცები“ გაიძახიან მერე, — საბჭოთა განათლების სისტემა არ ვარგოდა და დიპლომებს ყიდულობდნენო. დავიჯერო, ეს შტერები, როდესაც ჭაღარაშერეულ **ამირან გამყრელიძესა** და **თენგიზ ცერცვაძეს** ხედავენ ტელეეკრანზე, ვერ ხვდებიან, როდის აქვთ მათ დიპლომი „ნაყიდი“? ფაქტი ერთია: „ევროპებში“ და „აშუშუებში“ განსწავლული ბევრი გვყავს, მაგრამ როგორც კი სასიცოცხლოდ საჭირო საქმე გახდა საკეთებელი, საბჭოთა განათლების და საბჭოთა გამოცდილების სპეციალისტების იმედად დავრჩით და მათ ეს იმედი გაამართლეს.

დიახ, როგორც ჩანს, ეს განსაცდელი მსოფლიოს ძალიან ბევრ რამეს დაანახვებს. იტალიელებმა უკვე დაინახეს, რომ, თუკი მათ ვინმე ქმედითად ეხმარება, ეს **ჩინეთი, რუსეთი** და **კუბაა.** მათგან ორი ყოფილი სოციალისტური ქვეყანაა, კუბა კი დღესაც ამ წყობილებისაა.

სად არის ლოგიკა? ასე ზუსტად ამას ვერ გეტყვით. მე მხოლოდ ფაქტებს ვალაგებ.

სავარაუდოა, რომ „კოვიდ 19“-ის დამარცხებისა და ამ ჯოჯოხეთის გადავლის შემდეგ კაცობრიობას ბევრი რამის გათვალისწინება მოუწევს. არა, მე არ ვამბობ, რომ სრულიად მსოფლიო „გამოსწორდება“ და უკიდურესი სოციალიზმის გზით დაიწყებს სიარულს, მაგრამ ფაქტია: განსაცდელის გადავლის შემდეგ „სხვა მსოფლიო“ გარდაუვალი ამბავია. უბრალოდ, საქმე ის არის, რამდენ ხანს ემახსოვრება მსოფლიოს ეს სამედიცინო და ეკონომიკური კრიზისი, როდის ისწავლის ჭკუას.

თუ არადა, დიდი განსაცდელის გადავლის შემდეგ კვლავ გაზულუქებულ და დაარხეინებულ კაცობრიობას ადრე თუ გვიან კიდევ უფრო დიდი და მძიმე განსაცდელი ელის წინ, რადგან ყველაფერი საბოლოოდ უფლის ნებასა და უბრალო, ადამიანურ ლოგიკას ექვემდებარება.

„ევროპაში ერთმანეთის მიმართ არანაირი სოლიდარობა არ აქვთ, შთაბეჭდილება რჩება, რომ კორონავირუსი სახელმწიფოებს სჭირთ და არა ადამიანებს. იტალიას დახმარება გაუწია ჩინეთმა — 31 ტონა ტვირთი გაუგზავნა, ასევე ჩავიდა ექიმების ჯგუფი. იტალიის დასახმარებლად დაწყებულ ჰუმანიტარულ აქციაში რუსეთიც ჩაერთო — ყველა საჭირო ტვირთი ჩაიტანეს, ჩავიდნენ პროფესიონალი რუსი ექიმებიც, რომლებიც წინა ხაზზე იქნებიან განსაკუთრებით დასნეულებულ რეგიონებში. ასე რომ, იტალიის მეგობრები მხოლოდ ჩინეთი და რუსეთი აღმოჩნდნენ“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა არის კორონავირუსი, საიდან მოდის და რა მიზნით — ინფორმაციული საფრთხობელა თუ საშიში დაავადება; ხომ არ ცდილობენ, საზოგადოების ყურადღება პანდემიამდე დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან სხვა რამეზე გადაიტანონ — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე გვესაუბრება.**

# «რჩება შთაბეჭდილება, რომ კორონავირუსი სახელმწიფოებს სჭირთ და არა ადამიანებს»



გულბაათ რცხილაძე

— ახალ კორონავირუსზე უამრავი ვერსია განიხილება: საიდან გაჩნდა, რომელი ქვეყნიდან შემოვიდა, უკავშირდება პოლიტიკას თუ მართლა ქაოსურად გაჩენილი ვირუსია და ა.შ. როგორც პოლიტოლოგი, ყველა თემას დავახარისხებ და ისე განვიხილოთ.

ვისაუბროთ ფაქტებზე. **ფაქტი კი ისაა, რომ დედამიწა მოიცვა კორონავირუსის თემამ და არა თვითონ ვირუსმა. მართალია, ვირუსი არსებობს, მაგრამ ეს არ არის ის მასშტაბი, რომ აპოკალიფსად ჩაითვალოს და დედამიწის დამღუპველად მოგვევლინოს, თუმცა მასთან ხუმრობაც არ შეიძლება...**

ვირუსის ერთი მხარეა **სამედიცინო მხარე**, გასარკვევია, ეფექტიანად თუ მიმდინარეობს ბრძოლა მის წინააღმდეგ და სწრაფად მოხდება თუ არა ვაქცინის შექმნა. არის მეორე მხარე — **კრიმინალური,** რომელიც გამოძიების საქმეა. უნდა გაირკვეს, სად და როგორ წარმოიშვა; წარმოიშვა თუ არა მართლაც უჰანში; არის კიდევ ერთი რამ გასარკვევი — **ვირუსი გავრცელდა შემთხვევით თუ განზრახ.** ვირუსის თანმდევია **პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები** და რა ეფექტი აქვს ამ პროცესებს ამ მომენტისთვის. არის ასევე უამრავი შეკითხვა — რას ემსახურება ვირუსის გავრცელება? როგორ მუშაობს მასმედია? **იმართება ჟურნალისტების საქმიანობა თუ ქაოსური მდგომარეობაა?**

არის იმის კვალი, რომ მიმდინარე პროცესები რაღაცას ემსახურება. **რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ვირუსი სპეციალურად არის შექმნილი. არის ვერსიაც, რომ ვირუსი ამერიკაში გაჩნდა. მარტის დასაწყისში გავრცელდა ჩინელი დიპლომატის „ტვიტი“, რომელშიც ამტკიცებს, რომ „კოვიდ-19“ არა ჩინეთის პროვინცია უჰანში, არამედ უფრო ადრე გაჩნდა შეერთებულ შტატებში.**

შესაძლოა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ვინმეს სურდეს, რადგან არიან მსოფლიოში ისეთი ძალები, რომლებსაც ხელს აძლევთ ქაოსი.

**— შესაძლოა, რომ ეს ვირუსი, თუკი მართლა ამერიკიდან წამოვიდა, ტრამპის წინააღმდეგ იყოს შემოგდებული გლობალისტების მიერ? ვიცით, რომ ამერიკის პრეზიდენტსა და მის ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროგრამას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს.**

— ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ, რაც უნდა ჩაეფიქრებინათ ტრამპის მტრებს, ამ ვითარებაში ამერიკის პრეზიდენტი არათუ დასუსტებული, პირიქით — გაძლიერებულია. დემოკრატიული პარტია, რომელიც სულ რამდენიმე კვირის წინათ ტრამპს იმპიჩმენტს უწყობდა, დღეს ამერიკის პრეზიდენტს აძლევს განსაკუთრებულ უფლებებს. აი, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **კორონავირუსი ტრამპს ვერაფერს დააკლებს.**

**— დიდძალი თანხა გამოყვეს ევროპამ და ამერიკამ კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ თანხებით ისინი სხვადასხვა ქვეყანას დაეხმარებიან, მაგრამ მათ შორის საქართველო ნახსენები არ არის...**

— ნამდვილად ასეა, საქართველოს არავინ ეხმარება. ჟურნალისტმა **ბექა კვიციანმა** გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ის ამერიკის კონგრესმენ **კინზინგერს** მიმართავს, იმ კინზინგერს, რომელიც ჩვენს მთავრობას შენიშვნებს აძლევდა. ჟურნალისტი წერს: **„სად ხართ? რატომ არ ჩანხართ? რატომ არ გვიჭერთ მხარს? რატომ არ ამბობთ კეთილ სიტყვებს საქართველოს მიმართ, ქვეყნის, რომელიც, ავად თუ კარგად, ვირუსის ლოკალიზებას ახერხებს? თუ თქვენ ასეთი მოყვარული ხართ საქართველოსი, რატომ არ სვამთ კონგრესში საკითხს, რომ საქართველოს, რომელმაც ყველა გზა ჩაკეტა და ქვეყნის ეკონომიკა გაჩერებულია, დაგვეხმაროთ?“**

ევროკავშირმა თანხები გამოყო ვირუსთან საბრძოლველად, მაგრამ ევროკავშირის წევრ **იტალიას** რეალური დახმარება არ მიუღია. გერმანიამ შეაჩერა იტალიის (და არა მხოლოდ იტალიის) მიმართულებით ტექნოლოგიებისა და სამკურნალო საშუალებების ექსპორტი, რომელიც ვირუსის წინააღმდეგ გამოიყენება. წარმოგიდგენიათ?! **გერმანიამ იტალიას, რომელსაც დახმარება ასე სჭირდება, მედიკამენტები არ გაუგზავნა.**

**ევროკავშირი, ევროკომისია, რომლებიც უდიდესი ამბიციებით გამოირჩევიან, ცხვირს ჰყოფენ ყველაფერში, გვიწესებენ რეგულაციებს, რომელთა გამოც ჩვენი პროდუქტები ვერ შედის ევროპის ბაზარზე. ვითომ თავის მოსახლეობას უფრთხილდებიან, მაგრამ სადაა ეს რეგულაციები ახლა, რატომ არ მოქმედებს იტალიაში, რატომ არ უფრთხილდებიან იტალიელ ხალხს?** მემარჯვენე პოლიტიკოსი, ევროსკეპტიკოსი **მატეო სალვინი**, რომლის გულშემატკივარიც ნამდვილად არ ვარ, ამბობს: იტალიას დახმარება სჭირდებოდა და სანაცვლოდ სილა მიიღოო. ერთადერთი „დახმარება“, რომელიც ევროპიდან მოვიდა, არის ის, რომ გამოიწვიეს საფონდო ბაზრის კრახი. **თავისი დანაზოგებიდან იტალიამ 68 მილიარდი ევრო დაკარგა.**

აი, ეს რეალობაა ევროპაში. **ევროპაში ერთმანეთის მიმართ არანაირი სოლიდარობა არ აქვთ. შთაბეჭდილება რჩება, რომ კორონავირუსი სახელმწიფოებს სჭირთ და არა ადამიანებს.**

> **«ჟურნალისტმა ბექა კვიციანმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ამერიკის კონგრესმენ კინზინგერს მიმართავს, იმ კინზინგერს, რომელიც ჩვენს მთავრობას შენიშვნებს აძლევდა. ჟურნალისტი წერს: «სად ხართ? რატომ არ ჩანხართ? რატომ არ გვიჭერთ მხარს? რატომ არ ამბობთ კეთილ სიტყვებს საქართველოს მიმართ, ქვეყნის, რომელიც, ავად თუ კარგად, ვირუსის ლოკალიზებას ახერხებს? თუ თქვენ ასეთი მოყვარული ხართ საქართველოსი, რატომ არ სვამთ კონგრესში საკითხს, რომ საქართველოს, რომელმაც ყველა გზა ჩაკეტა და ქვეყნის ეკონომიკა გაჩერებულია, დაგვეხმაროთ?»**

იტალიას დახმარება გაუწია ჩინეთმა — 31 ტონა ტვირთი გაუგზავნა, ასევე ჩავიდა ექიმების ჯგუფი. იტალიის დასახმარებლად დაწყებულ ჰუმანიტარულ აქციაში რუსეთიც ჩაერთო — ყველა საჭირო ტვირთი ჩაიტანეს, ჩავიდნენ პროფესიონალი რუსი ექიმებიც, რომლებიც წინა ხაზზე იქნებიან განსაკუთრებით დასნეულებულ რეგიონებში. ასე რომ, **იტალიის მეგობრები მხოლოდ ჩინეთი და რუსეთი აღმოჩნდნენ.** კარგი გამოთქმაა: „მეგობრები გასაჭირში შეიცნობიან“. ჩვენ უკვე ვიცით, ვინ არის ჩვენი მეგობარი — **რამდენიმე დღის წინათ ლარსიდან შემოვიდა ტრაილერები და ჩვენი ქვეყნის მაღაზიებში დაცარიელებული დახლები ლარსის გავლით რუსეთიდან შემოსული პროდუქტებით გაივსო.** რუსმა მეცნიერებმა უკვე გაშიფრეს ახალი კორონავირუსის გენი და ვაქცინის გამოცდის პირველი ეტაპიც წარმატებით დაასრულეს.

**— საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. აუცილებელი იყო საგანგებო რეჟიმზე გადასვლა თუ ხელისუფლება გლობალისტებს აჰყვა და იმეტიჩრა?**

— საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ნამდვილად იყო მეტიჩრობა, არ მომეწონა ფორმაც, რა ფორმითაც გამოცხადდა. პრემიერმა განაცხადა, რომ შეზღუდვები, რომლებიც საგანგებო რეჟიმს მოჰყვა, ეხება ეკლესიასაც. სამწუხაროა, რომ ვიღაც თავს ეკლესიაზე მაღლა აყენებს. საქართველოში დღეს არსებულ ვითარებას **ბიძინა ივანიშვილი** განკარგავს, რომელიც ახლა დამალულია.

**— საგანგებო მდგომარეობა არ გამოაცხადა ბელარუსმა, სხვათა შორის, არც ინგლისმა და სხვა ბევრმა ქვეყანამ...**

— საგანგებო მდგომარეობა მოიცავს შეზღუდვას ყველაფერში. პრემიერმა თქვა, რომ საგანგებო მდგომარეობა არ შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, არჩევნებს და ა.შ. საგანგებო მდგომარეობა ჩვენს გაგებაში და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნავდა იმას, რომ ყველა წავედით მაღაზიებში პროდუქტების მოსამარაგებლად. **მართლა ვერ გავიგე, რატომ გახდა საჭირო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. შესაძლოა, ეს იყო პოლიტიკური მანიპულაცია, ხელისუფლება უყურებს და ელოდება, რას იტყვის ოპოზიცია. ჩვენი ექიმებიც, რომლებიც დიდ პატივისცემას იმსახურებენ, სერიოზული წნეხის ქვეშ არიან. ამ პროცესშია ჩართული მასმედიაც და არა მხოლოდ ქართული, სრულიად მსოფლიოს მედიაა ჩართული ამ ინფორმაციულ გნიასში.**

ვირუსის შესახებ ყველა ინფორმაცია სრულიად მსოფლიოს მასშტაბით ლაივრეჟიმში მიმდინარეობს და სრული სტატისტიკა ვრცელდება, რომელიც ისტერიკას ქმნის. ბელარუსის პრეზიდენტმა **ლუკაშენკომ** სწორედ ამ ისტერიკის წინააღმდეგ გაილაშქრა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება საზღვრების დაკეტვის თაობაზე სავსებით საკმარისი იყო ვირუსის შესაჩერებლად და არ იყო საჭირო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება.

**საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება დააზარალებს ბიზნესის თითქმის ყველა სფეროს. დაზარალდება ტრანსპორტის ბიზნესი, სასტუმროები, რესტორნები, სპორტული ობიექტები, სალონები და ა.შ. რაც განსაკუთრებით სამწუხაროა, ყველაზე ძალიან იზარალებს წვრილი ბიზნესი, ე.ი. რიგითი, უბრალო ადამიანი, რომელმაც, ლუკმაპური რომ იშოვოს, ყოველდღე რაღაც უნდა აკეთოს. მისი ერთი დღით გაჩერება იმას ნიშნავს, რომ მეორე თუ არა, მესამე დღეს პურის ფული აღარ ექნება.**

ზარალი სერიოზულად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტზეც. ახლა კრედიტის აღებას აპირებენ სავალუტო ფონდიდან, რადგან საქართველოს ბელარუსისგან განსხვავებით წარმოება არ აქვს. ლუკაშენკო ხალხს მუშაობისკენ მოუწოდებს, მას ქვეყანაში ფაბრიკა-ქარხნები აქვს, კოლმეურნეობები აქვს, ქვეყანას შემოსავალი აქვს. ჩვენ კი არაფერი გაგვაჩნია და ყველა სფერო აღმოჩნდება კრახის პირას. ეკონომიკის მინისტრს ძალიან არ უნდოდა ჩინეთთან მიმოსვლის ჩაკეტვა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა ქვეყანას. **მინისტრმა იცოდა, როგორ მძიმედ დააწვებოდა ჩვენს ეკონომიკას გზების ჩაკეტვა.**

აუცილებლად მინდა ვთქვა, რა არის მთავრობის უდიდესი შეცდომა. **24 თებერვალს დავწერე მიმართვა მთავრობისადმი, რომელშიც ვამბობდი, რომ სასწრაფოდ უნდა დაეკეტათ გზა იტალიის მიმართულებით. ირანში ვირუსი რომ გავრცელდა, ატყდა ერთი ამბავი, — ჩაკეტეთ გზაო და სწორიც იყო, მაგრამ არხეინი იყო დამოკიდებულება იტალიის მიმართ. ახლა ცხადი შეიქნა, რომ ევროკავშირის მიმართულებით უსწრაფესად უნდა აგვეკრძალა მიმოსვლა. 5 მარტს ჯანდაცვის მინისტრი ამბობდა, რომ გზების ჩაკეტვის აუცილებლობა არ არისო, მაგრამ 6 მარტს ჩვენი ინფექციონისტების ძალისხმევით მაინც აიკრძალა მიმოსვლა. აი, სწორედ 24 თებერვლიდან 6 მარტამდე მოხდა ვირუსის გავრცელება საქართველოში.** ასეთი ფაქტები დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, აუცილებლად უნდა გაირკვეს, ვინ ბლოკავდა იტალიასთან მიმოსვლის აკრძალვას მანამ, სანამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თავმჯდომარე „შავმა კაცმა“ არ თქვა, დაკეტეთო. ახლაც მის სიტყვებს უსმენენ და ევროპისკენ იყურებიან, ნაცვლად იმისა, რომ მიბაძონ კორეას, იაპონიას, რუსებს არ ვახსენებ, ეს „აკრძალულია“.

„კორონამ“ ერთი კარგი რამ გააკეთა — ხალხს აგრესია აქვს ევროპა-ამერიკის მიმართ, ტაშს უკრავენ რუსეთს, რომელიც ეხმარება იტალიას და ყველას, ვინც ევრაზიულ სივრცეშია.

**— მაინც როგორ ფიქრობთ, ამ ბაკქანალიაში უფრო მეტი ინფორმაციული ხმაურია თუ ვირუსი მართლაც ძალიან საშიში და ვერაგია?**

— ეპიდემია არის, საფრთხეც, მაგრამ რეაქცია გაზვიადებულია. ეს ფსიქოლოგიური ტრავმაა, რომელიც დიდხანს გაგვყვება, ადამიანებს ერთმანეთს დააშორებს, ჩაკეტებით...

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ხმა ბერისა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნახეთ, როგორი სასულიერო პირები გამოჰყავთ... ვისაც ცოლი გაუფუჭდა, ოჯახი გაერყვნა და შვილი პოდიუმზე უდგას ნახევრად შიშველი. აქამდე ჩუმად ვიყავი ამაზე, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: კაცს, რომელსაც საკუთარი ოჯახისთვის ვერ მოუვლია, უფლება არ აქვს, სხვას მორალი წაუკითხოს და ჭკუა ასწავლოს“.**



### მამა გიორგი (რაზმაძე):

# დაკეტილი და ცარიელი ტაძრები — ეს არის დასავლეთიდან მართული ლიბერალური ელიტის ოცნება

**21 მარტს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ყველა ეკლესია-მონასტერში ღვთისმსახურების მარხვის ტიპიკონისა და ეკლესიის წეს-განგების სრული დაცვით ჩატარების შესახებ ლიბერალურმა პროპაგანდამ, როგორც ყოველთვის, აღშფოთებით უპასუხა. დაწყებული უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებით, დამთავრებული 22 პარტიისგან შემდგარი ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციით, სამღვდელოებას ყველა ერთხმად დაუპირისპირდა. ამ გაშმაგებულ ანტიეკლესიურ გამოსვლებში გასაკუთრებით აქტიური „ნაცმოძრაობა“ იყო. პარტიის ლიდერები კონკრეტული სასულიერო პირების შეურაცხყოფასაც არ ერიდებოდნენ და მედიითა თუ სოციალური ქსელებით ხელისუფლებას მღვდელმსახურების ძალის გამოყენებით შეჩერებისკენ მოუწოდებდნენ. რატომ ითხოვენ „ულტრალიბერალური“ ძალები ეკლესიებში მღვდელმსახურების შეჩერებას და რა მიზანი იმალება ამ ყველაფრის მიღმა? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად, ეკლესია-მონასტრებში მღვდელმსახურება მარხვის ტიპიკონისა და ეკლესიის წეს-განგების სრული დაცვით ჩატარდება, ლიბერალური ელიტის აგრესია სამღვდელოებისადმი კიდევ უფრო გაზარდა. ისინი პირდაპირ მოითხოვენ ხელისუფლებისგან, რომ ტაძრებში მღვდელმსახურება ძალის გამოყენებით შეაჩეროს. რას ემსახურება ეს ყველაფერი?**

— პირველი და უმთავრესი, რასაც მინდა, ხაზი გავუსვა, არის ის, რომ ხელისუფლება, რომელიც ამ დღეებში აქტიურად მოუწოდებდა ადამიანებს ტაძრებში სიარულზე თავის შეკავებისკენ, ჯერ დაელოდა სინოდის სხდომას და შემდეგ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. ალბათ ელოდებოდნენ, რომ ეკლესია შეაჩერებდა ღვთისმსახურებას, მაგრამ, ეს რომ არ გამოვიდა, მერე უკვე პირდაპირ გადავიდნენ მკაცრ ზომებზე. რაც შეეხება მიზანს, არ მინდა, ეს თემა ზედმეტად გავაბუქო ამ რთულ ვითარებაში, მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და მანამდეც, მორწმუნე ადამიანები მასობრივად მოექცნენ პროპაგანდისტული წნეხის ქვეშ. მრევლი, რომელიც მუდმივად დადის ტაძარში, იცავს მარხვას, ეზიარება, ამბობს აღსარებას და ა.შ., გაიგივდა კრიმინალთან, რომელიც, თურმე, საკუთარი დაბალი მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და უპასუხისმგებლობის გამო ქვეყანას უქმნის საფრთხეს. ეს უკვე მორწმუნე მართლმადიდებლების მასობრივი დევნის კამპანიაა; სხვათა შორის, ამას აკეთებენ ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ამბობდნენ, რომ ჩვენ არ უნდა ჩავკეტოთ საზღვრები და არ შევზღუდოთ უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლა ქვეყანაში, იმიტომ, რომ ეს გააღვივებს ქსენოფობიას. ხვდებით, რაზეა საუბარი?! **თურმე ყველაზე მაღალი რისკის მქონე ქვეყნიდან, მაგალითად, ჩინეთიდან ადამიანის არშემოშვება ქსენოფობიაა და, მორწმუნე რომ წირვაზე მიდის, დასაჭერია.** ეს არის მიზანმიმართული პროპაგანდა, რომელსაც ეკლესიის მტრები აწარმოებენ. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ამას ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან საერთო არაფერი აქვს. **მათ ადამიანების ჯანმრთელობა რომ ადარდებდეთ, სხვა თემებზეც ამოიღებდნენ ხმას და ატეხავდნენ განგაშს.**

**— მაგალითად, რაზე?**

— მაგალითად, იმაზე, რომ ქვეყანაში ათიათასობით სოციალურად დაუცველია; ან იმაზე, რომ ოჯახების უსახსრობის გამო ასობით და ათასობით ბავშვი შიმშილის ზღვარზეა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ, ვინც დასაქმებულია, ის ადამიანებიც, ფაქტობრივად, მათხოვრულ ხელფასებზე მუშაობენ. ისე, **ძალიან მაინტერესებს, იცის თუ არა ბატონმა პრემიერმა, რომელიც ამბობს, ყველაფერზე მნიშვნელოვანი ადამიანების სიცოცხლეზე ზრუნვააო, ყოველწლიურად რამდენ ბავშვს კლავენ აბორტით?**

**— შეგიძლიათ, კონკრეტული რიცხვი დაასახელოთ?**

— მსოფლიოში ყოველწლიურად 650 მილიონამდე ბავშვს კლავენ. ხვდებით, ეს რამხელა რიცხვია?! ეს არის ყველაზე დიდი ბოროტება, რომელიც ადამიანის გონებაში იხარშება და ესენი ამას ეძახიან „ქალის უფლებას“. აი, ეს ხალხია, დღეს რომ გვეუბნება, ტაძრებში ნუ მიდიხართო. მინდა, ეს შეკითხვა თქვენი გაზეთის მეშვეობით ბატონ **გახარიას** დავუსვა — **როდესაც ხალხს შიმშილობის ზღვარზე ამყოფებთ, პენსიას არ უმატებთ, ბეგრავთ საშინელი გადასახადებით და ეკლესია-მონასტრებსაც რესტორნებივით გადასახადებს უწესებთ, მაშინ არ ფიქრობთ ადამიანებზე?** ძალიან მაინტერესებს, რა მაგალითს მისცემენ ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას აღდგომას. საინტერესოა, დაესწრებიან თუ არა თვითონ სააღდგომო წირვას და პატრიარქის გვერდით, როგორც სჩვევიათ ხოლმე, დაანთებენ თუ არა დიდ კელაპტარს.

**— ხელისუფლების და მასთან ერთად ლიბერალური პროპაგანდის პოზიცია მეტნაკლებად გასაგებია. რა აზრის ხართ იმ სასულიერო პირებზე, რომლებიც ასევე აცხადებენ, რომ ეპიდემიის მასშტაბის მატების თავიდან ასაცილებლად ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება დროებით უნდა შეჩერდეს?**

— მართლმადიდებელ სამყაროში დღეს, სამწუხაროდ, არის რაღაც ნაწილი, რომელიც მეხუთე კოლონის ფუნქციას ასრულებს. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, ვფიქრობ, რომ ნებისმიერი სასულიერო პირი, რომელიც ემხრობა ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურების შეჩერებას, შორს არის უფლისგან და მას, უბრალოდ, რწმენა არ გააჩნია. რა ძალების ინტერესებს შეიძლება ემსახურებოდნენ ეს ადამიანები, აღარ დავაკონკრეტებ, ძალიან შორს წავალთ, მაგრამ ფაქტია: ყველაზე დიდ სიწმინდეს ქრისტიანობაში — ზიარების საიდუმლოს, რომელიც სულის საკურნებელია, ყველა ერთად, ერთხმად უპირისპირდება. **მიდის გაშმაგებული პროპაგანდა, რომ თურმე ზიარება შეიძლება ეპიდემიის გავრცელების წყარო გახდეს...** ეშმაკი ყველაზე მეტად ვერ იტანს ზიარების საიდუმლოს, იმიტომ, რომ ზიარება არის ადამიანის სულის საკურნებელი. აი, ამ საიდუმლოს უპირისპირდებიან დღეს ესენი, ყველა ერთად, და ამ დაპირისპირებამ უკვე მიიღო რეპრესიული ხასიათი...

**— როგორ ფიქრობთ, მომავალში შეიძლება, კიდევ უფრო მკაცრად მიუდგეს ხელისუფლება ამ საკითხს?**

— სხვათა შორის, გუშინ საბერძნეთში დააკავეს **მეუფე სერაფიმე,** მიტროპოლიტი და მიუსაჯეს ერთწლიანი სასჯელი იმისთვის, რომ ეკლესია გააღო და ხალხი აზიარა. წარმოგიდგენიათ, რაზეა საუბარი?! ეს არის უკვე ფიზიკური დევნა სასულიერო პირების, რომლებმაც უარი თქვეს მღვდელმსახურების შეჩერებაზე და განაგრძობენ თავიანთ საქმეს — აზიარებენ მორწმუნე ადამიანებს. რაც შეეხება იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ამბობენ, რომ უნდა შეჩერდეს ტაძრებში მღვდელმსახურება, ვფიქრობ, ასეთ სასულიერო პირებს მორალური უფლება არ აქვთ, მღვდლები იყვნენ. **თანაც ნახეთ, როგორი სასულიერო პირები გამოჰყავთ... ვისაც ცოლი გაუფუჭდა, ოჯახი გაერყვნა და შვილი პოდიუმზე უდგას ნახევრად შიშველი. აქამდე ჩუმად ვიყავი ამაზე, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: კაცს, რომელსაც საკუთარი ოჯახისთვის ვერ მოუვლია, უფლება არ აქვს, სხვას მორალი წაუკითხოს და ჭკუა ასწავლოს.**

**— ლიბერალური მედია აქტიურად მოუწოდებს ადამიანებს, რომ თავი შეიკავონ ტაძრებში სიარულისგან და სახლებიდან ილოცონ. კიდევ ერთხელ განუმარტეთ საზოგადოებას, რა განსხვავებაა სახლში ლოცვასა და ტაძარში ლოცვას შორის.**

**— სახარებაში წერია: სადაც ერთი და ორი ჩემი სახელით შეიკრიბება, მეც იქ ვარ. ეკლესია არ არის ქვების ან ხატების წყობა, ეს არის ღვთის სახლი, სადაც განსაკუთრებულად მეფობს სულიწმინდა, იმყოფება უფალი. ეკლესია — ეს არის ადამიანისა და ღმერთის შეხვედრის ადგილი, სადაც ადამიანი მიდის თავის ტკივილით, ცოდვებით და, თუ ის სინანულს განიცდის, იქიდან გამოდის განწმენდილი. აი, ეს არის უმთავრესი, თორემ, რა თქმა უნდა, სახლშიც ლოცულობს ქრისტიანი. კიდევ ვიმეორებ: ეკლესიაში ერთობლივი ლოცვა — ეს არის მომენტი, როცა ადამიანზე გადმოდის სულიწმინდის მადლი და ამას ვერ იტანს ზუსტად ყველაზე მეტად ეშმაკი. ამიტომ არის აქ პრინციპულობა საჭირო, ადამიანი რომ არ დაშორდეს უფალს, თორემ ლოცვა სახლშიც აუცილებელია და ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი ამას აკეთებს.**

**სახარებაში წერია: სადაც ერთი და ორი ჩემი სახელით შეიკრიბება, მეც იქ ვარ. ეკლესია არ არის ქვების ან ხატების წყობა, ეს არის ღვთის სახლი, სადაც განსაკუთრებულად მეფობს სულიწმინდა, იმყოფება უფალი... ეკლესიაში ერთობლივი ლოცვა — ეს არის მომენტი, როცა ადამიანზე გადმოდის სულიწმინდის მადლი და ამას ვერ იტანს ზუსტად ყველაზე მეტად ეშმაკი. ამიტომ არის აქ პრინციპულობა საჭირო, ადამიანი რომ არ დაშორდეს უფალს, თორემ ლოცვა სახლშიც აუცილებელია და ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი ამას აკეთებს**

**— საგანგებო მდგომარეობა 21 აპრილამდეა გამოცხადებული, აღდგომა, მოგეხსენებათ, 19-შია. როგორ ფიქრობთ, მრევლს ტაძრებში მისვლისა და სააღდგომო ღამისთევის პრობლემა ხომ არ შეექმნება?**

— პირველ საუკუნეში, როცა რომში ქრისტიანობა გავრცელდა, წარმართმა იმპერატორებმა დაიწყეს ქრისტიანების დევნა და, ერთ-ერთი იმპერატორის ბრძანებით, ყველა, ვინც ქრისტიანულ ღვთისმსახურებას დაესწრებოდა, სიკვდილით ისჯებოდა. მოხდა ასეთი რამ: შუაღამით ახალგაზრდა ქალი ჩვილი ბავშვით წავიდა ღვთისმსახურებაზე დასასწრებად და გზაში შეიპყრეს. მას არ დაუმალავს, რომ მიდიოდა სალოცავად და სასტიკი წამებით მოკლეს. შემდეგ ეს ფაქტი გახდა მაგალითი ასობით და ასიათასობით ადმიანისთვის, რომლებიც ასევე არ შეუშინდნენ დევნას და მასობრივად იწყეს სიარული ღვთისმსახურებაზე. აი, ეს არის ნამდვილი, ჭეშმარიტი ქრისტიანობა და, ვფიქრობ, რომ ნებისმიერ ვითარებაში, ნებისმიერ მდგომარეობაში თითოეული მორწმუნისთვის ასეთი ადამიანები უნდა იყვნენ მაგალითის მიმცემნი.

სააღდგომო წირვას რაც შეეხება, აღდგომას სახლში როგორ უნდა შეხვდეს ქრისტიანი, გაუგებარია. სხვა რა გითხრათ, **დაკეტილი და ცარიელი ტაძრები — ეს არის დასავლეთიდან მართული ლიბერალური ელიტის ოცნება, რომლის ასრულებასთანაც ისინი, თავიანთი ჭკუით, ახლოს არიან.** მაგრამ არც ერთი ქართველი და განსაკუთრებით ღრმადმორწმუნე ქრისტიანი არ შეეგუება ამ წნეხს. ამათ ერთი რამ ავიწყდებათ: ქრისტიანისთვის მთავარი ამქვეყნიური ცხოვრება კი არ არის, არამედ სულია, ანუ მომზადება იმ ქვეყნისთვის. გამომდინარე აქედან, თუ მორწმუნე ადამიანს უკეტავ სულიერი განწმენდისკენ მიმავალ გზას, მისთვის უკვე ხორციელს მნიშვნელობა აღარ აქვს. აი, ეს არის ის, რაც მათ არ ესმით და, ალბათ, ვერც ვერასდროს ვერ გაიგებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტ მორწმუნეებს ვერ დააშინებენ ვერანაირი მუქარითა და პროპაგანდისტული ზემოქმედებით, რომ, ვინც ტაძარში ივლის, უპასუხისმგებლოა და საფრთხეს უქმნის სხვებს. პირიქით — მათ ეს ძალიან ცუდად მიუბრუნდებათ და მოვა დრო, როცა ძალიან მკაცრი განსაცდელი მოევლინებათ უფლისგან ამ ყველაფრისთვის.

**„ერთი რამ ავიწყდებათ: ქრისტიანისთვის მთავარი ამქვეყნიური ცხოვრება კი არ არის, არამედ სულია, ანუ მომზადება იმ ქვეყნისთვის. ამიტომ, თუ მორწმუნე ადამიანს უკეტავ სულიერი განწმენდისკენ მიმავალ გზას, მისთვის უკვე ხორციელს მნიშვნელობა აღარ აქვს. აი, ეს არის ის, რაც მათ არ ესმით და, ალბათ, ვერც ვერასდროს ვერ გაიგებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტ მორწმუნეებს ვერ დააშინებენ ვერანაირი მუქარითა და პროპაგანდისტული ზემოქმედებით, რომ, ვინც ტაძარში ივლის, უპასუხისმგებლოა და საფრთხეს უქმნის სხვებს“**

აქვე მინდა, **ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს ექიმებს, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძვიან თითოეული ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მინდა, ღვთის წყალობა და გამძლეობა ვუსურვო მათ და მათ ოჯახებს!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. დღეს იქნება თუ ხვალ, მსოფლიო თანამეგობრობა პანდემიას დაამარცხებს, მიმდინარე პროცესი კი ნეოლიბერალთა დასასრულის შეუქცევადი დასაწყისია. ისევე, როგორც ევროკავშირს, არც ნატოს დარჩა ბევრი დრო — მათი წამმზომიც ჩართულია, ისიც დღეს თუ ხვალ სხვადასხვა ობიექტურ-სუბიექტურ ფაქტორთა, მათ შორის დონალდ ტრამპის აქტიური მეცადინეობის გამოც „ბანქოს ხუხულასავით“ დაიშლება და ქოცებ-ნაცების ხელისუფლებას მინდა ვკითხო — საით მიაქანებთ საქართველოს, კოაბიტაცური ჰარმონიით მომაკვდავი ნატო-ევროკავშირი რომ გაგიდით წარა-მარა?



ავი მუსაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნილაბაფარებულთა მორიგი შეტევა საქართველოს დედაეკლესიაზე

**ისეთი დროება დაგვიდგა, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, უთო რომ ჩართო, ისიც კორონავირუსზე დაიწყებს ლაპარაკს... არა, ისე არავინ იფიქრებს ჩემზე, რომ ამ მართლაც მსოფლიო გლობალური მასშტაბის ტრაგედიაზე ლაპარაკის და მით უმეტეს მის წინააღმდეგ მოქმედება არ მინდოდეს, მაგრამ ამ თემის პოლიტიზების, პოლიტიკური ქულების ჩაწერის მცდელობაც რომ ფაქტია მსოფლიოში მეტ-ნაკლები მასშტაბით, ალბათ, არც ამაში შემომედავება ვინმე.**

მეტნაკლებობა ვახსენე და, აბა, ჩვენ რის ქართველები ვიქნებოდით, თუ ნაკლებობას მეტობას არ ვარჩევდით? მაგრამ ამაზე ქვემოთ...

ასეა აშშ-ევროპაშიც — ე.წ. ბრექსიტის, ანუ ევროკავშირის დაშლის მომხრე პოლიტიკოსები სიხარულს ვერ მალავენ მომხდარის გამო — ბრიტანეთმა ხომ უკვე ოფიციალურად გააფორმა ევროპასთან „განქორწინება“; ევროპის მრავალმა ქვეყანამ საზღვრები ჩაკეტა, მიგრანტთა მიღებაზე უარი თვით ევროპის ნეოლიბერალების მთავარმა გერმანიამ თქვა, მისი კანცლერის, **ანგელა მერკელის** პირით, რომლის ზღვარგადასული ლიბერალობის წყალობით გავსებულია ევროპა უკანონო თუ კანონიერი მიგრანტებით.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეტვა კი იმას ნიშნავს, რომ ე.წ. შენგენის ზონა აღარ არსებობს, ხოლო ეს ყველაფერი ერთად ევროკავშირის დაშლას ნიშნავს, რომელიც, ვეჭვობ, კორონავირუსის პანდემიის დამარცხების შემდეგ აღდგეს. ყოველ შემთხვევაში **დონალდ ტრამპის** პრეზიდენტობისას, რადგან სწორედ ტრამპია ევროკავშირის დაშლის მომხრე, რომელსაც, თუ მხატვრულად ვიტყვით, მეორე ვადით თეთრი სახლის ლეგენდარული ოვალური კაბინეტის გასაღები ისედაც ჯიბეში ედო; ისედაც, ანუ კორონავირუსის გარეშეც, რომლის დასამარცხებლადაც დონალდ ტრამპმა ასტრონომიული თანხა 1 ტრილიონი დოლარი გამოყო და იმ თანხიდან ათას-ათასი დოლარი ნაღდი ფული ჩაუდო „ჯიბაში“ აშშ-ს ყველა მოქალაქეს.

(ბიძინა ივანიშვილმა წინა საარჩევნოდ „რაცხა ქეციანი“ მილიარდი ლარის ვალი გადაუხადა გაჭირვებულ მოსახლეობას, რაც ამომრჩევლის მოსყიდვად ჩაუთვალეს და ტრამპის ტრილიონს რა ჰქვია ნეტავ? ეს ისე, ცნობისთვის და არა ბიძინას დასაცავად — მრავალი ცუდისთვის დაუნდობლად უნდა აკრიტიკო, მაგრამ თუნდაც მცირედი სიკეთე არ უნდა დაუკარგო ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ის).

ამას დავუმატოთ დონალდ ტრამპის კაცური თვალსაზრისი ლგბტ-ებზე, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის ქორწინებებზე, ტრადიციული ღირებულებებისა და პატრიოტიზმის პრიმატზე დევიზით „ყველაფერი, პირველ რიგში, ამერიკელებისთვის“ (რის გამოც გაამარჯვებინა მას კოვბოების, ქრისტიანული ფესვების ნამდვილმა ამერიკამ) და არა მგონია, ვინმე არ დამეთანხმოს, თუ ის ვინმე „ჭკვიანი“ არ არის...

ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, “ზოგი ჭირი მარგებელიაო“. დღეს იქნება თუ ხვალ, მსოფლიო თანამეგობრობა პანდემიას დაამარცხებს, მიმდინარე პროცესი კი ნეოლიბერალთა დასასრულის შეუქცევადი დასაწყისია. ისევე, როგორც ევროკავშირს, არც „ნატოს“ დარჩა ბევრი დრო — მათი წამმზომი ჩართულია, ისიც, დღეს თუ ხვალ, სხვადასხვა ობიექტურ-სუბიექტურ ფაქტორთა, მათ შორის დონალდ ტრამპის აქტიური მეცადინეობის გამოც „ბანქოს ხუხულასავით“ დაიშლება და ქოცებ-ნაცების ხელისუფლებას მინდა, ვკითხო — საით მიაქანებთ საქართველოს, კოჰაბიტაცური ჰარმონიით მომაკვდავი ნატო-ევროკავშირი რომ გაგიდით წარა-მარა?

პოლიტიკური ქულებისთვის ბრძოლა, რომ იტყვიან, ყველგან მოსულა, მაგრამ ასეთი? ქარვასლის დირექტორი **შალიკო ნათელაშვილი** უკვე ორსიტყვიანი ანეკდოტია. მისი გვარ-სახელის უბრალო ხსენება ხან ჰომერულ ხარხარს, ხან კი, სულ ცოტა, ირონიულ ღიმილს იწვევს, კონტექსტს გააჩნია...

ამას წინათ ამ 2-3-პროცენტიანმა პროფესიონალმა „ოპოზიციონერმა“ საკუთარ ქარვასლაში იმ სისულელის სათქმელად, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, სპეციალური პრესკონფერენცია მოიწვია და ყველა ოპოზიციური არხის „მაღალ ინტელექტუალი“ ლაწირაკი ჟურნალისტები ეახლნენ — მე შენ გეტყვი და, ქარვასლის გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ (თუ ერთადერთს არა) ლიდერს, რომელიმე „ობიექტური“ ტელევიზია (ტვ პირველი, „მთავარი“, საზმაუ და ა.შ.) უარს შეჰკადრებდა.

ციტირებას ვერა, მაგრამ საქართველოს „ნათელი შვილის“ განცხადების შინაარსს შემოგთავაზებთ:

„ბიძინა ივანიშვილო! კორონავირუსი ვერ გიშველის, 2020 არჩევნებზე აუცილებლად დაგამარცხებო!“

აი, ამაზეა ნათქვამი, ალბათ, სად ერეკლე და სად თეკლეო — ამის მოსმენამ მართლაც ჰომერული სიცილი მომგვარა! რა შუაშია აქ თუნდაც „კაციჭამია” იყოს ივანიშვილი და ამ კონტექსტში არჩევნები? რა, ბიძინამ შემოიტანა საქართველოში კორონავირუსი თუ მართლა ჰგონიათ, რომ ვირუსითა თუ მის გარეშე, ბიძინა ივანიშვილს ქარვასლის ოპოზიცია დაამარცხებს?

არა, ბატონო შალიკო! მიუხედავად იმისა, რომ ბიძინას არა ერთი და ორი შეცდომა, ანუ დანაშაული აქვს დაშვებული — (ფრაზა „ეს დანაშაულზე ნეტია, ეს შეცდომაა“ — ნაპოლეონის შს მინისტრს, **ჟოზეფ ფუშეს** მიაწერა ისტორიამ).



**არა, ბატონო შალიკო! მიუხედავად იმისა, რომ ბიძინას არა ერთი და ორი შეცდომა, ანუ დანაშაული აქვს დაშვებული (ფრაზა «ეს დანაშაულზე მეტია, ეს შეცდომაა» — ნაპოლეონის შს მინისტრს, ჟოზეფ ფუშეს მიაწერა ისტორიამ)... ნათელაშვილის ქარვასლა ის ადგილია, სადაც, რომ იტყვიან ნაგუბარში წყალი ჩადგა და იმ გუბეში მოყიყინე ბაყაყებს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ბიოლოგიური ზიზღი აერთიანებს და მათი სახელი ლეგიონია! ამიტომაც... ივანიშვილი ქარვასლელების ჩამოსაგდები არაა**

ქართველი ხალხის უმრავლესობისთვის არავითარი გაერთიანებული ოპოზიცია არ არსებობს. ნათელაშვილის ქარვასლა ის ადგილია, სადაც, რომ იტყვიან, ნაგუბარში წყალი ჩადგა და იმ გუბეში მოყიყინე ბაყაყებს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ბიოლოგიური ზიზღი აერთიანებს და მათი სახელი ლეგიონია.

ამიტომაც, მუხედავად ქოცების უამრავი შეცდომა-დანაშაულებისა, ივანიშვილი ქარვასლელების ჩამოსაგდები არაა.

არც ქოცი და არც ნაცი — ადვილი სათქმელია, მაგრამ, მაშ, ვინ? აი, უძნელესი კითხვა, რომელზე პასუხი კიდევ უფრო ძნელია.

**«მეუფე» პეტრეს (მეუფე წინწკლებში იმიტომ, რომ ჩემთვის იგი მეუფე კი არა, ქრისტეს ფეხის მკვნეტელი ქვაბავაზაკი, ნაძირალაა) თანამეინახემ, მგონი, მამა ანდრიამ ურცხვად იცრუა, თითქოს ჩვენს სათაყვანებელ პატრიარქს ექადაგოს, საქართველოში კორონავირუსი ვერ შემოვა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართო. ასეთ სისულელეს როგორ იტყოდა ჩვენი ბრძენი პატრიარქი? სინამდვილეში ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ბრძანა, რომ საქართველო გადარჩება, ის მარიამის წილხვედრი ქვეყანააო!**

ერთადერთი, ვისაც არასდროს არანაირი შეხება არ ჰქონიათ ნაცებთან, უფრო მეტიც, მათ მიერ მოპოვებულმა ე.წ. ციხის კადრებმა განაპირობეს 2012 წლის არჩევნების შედეგები, ეს **დავით თარხან-მოურავი** და **ირმა ინაშვილია**, მაგრამ მრავალჯერ მრავალათასიანი მიტინგების რესურსი ეყოფათ პატრიოტებს ქოც-ნაცებთან უთანასწორო ბრძოლაში?

ვნახოთ, რა იქნება, ამის კონტურები მოკლე ხანში გამოჩნდება. მანამდე კი...

მანამდე მავანი სასულიერო პირები თუ უსინდისო პოლიტიკოსები კორონავირუსის პანდემიით ეკლესიის ავტორიტეტის დაცემას ცდილობენ!

ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მედიცინის, მეცნიერების წინააღმდეგია და ვირუსთან ბრძოლისათვის მხოლოდ ლოცვისკენ მოუწოდებენ მრევლს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მართლმადიდებლი ეკლესიის წინააღმდეგ შეფარული ბრძოლა მიშნაცების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო.

ეკლესიის დასაცავად წლების განმავლობაში მრავალი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, რომელთაც მხოლო გავიხსენებ, რათა დაინტერესებულმა მკითხველმა ადვილად მიაგნოს ინტერნეტში: „მეუფე ყანდური“; „ნეოლიბერასტების გადამწყვეტი შეტევა დედა ეკლესიაზე“; „დიდი ყანდურობა გელათში“; „როგორც აფთრები, ისე ელოდებიან მეუფე ყანდურნი სიკვდილს პატრიარქისა“ და ა.შ. სხვა მრავალი და იმდენი, რომ ყველას თავი რომ მოვუყარო, ერთი საშუალო ზომის ბროშურა გამოვა...

წინამდებარე წერილი კი ერთმა ფაქტმა დამაწერინა, რომელსაც ტელევიზიით (მგონი „მთავარი“) ვუყურე.

**„მეუფე“ პეტრეს (მეუფე წინწკლებში იმიტომ, რომ ჩემთვის იგი მეუფე კი არა, ქრისტეს ფეხის მკვნეტელი ქვაბავაზაკი, ნაძირალაა) თანამეინახემ, მგონი მამა ანდრიამ ურცხვად მოიტყუა, თითქოს ჩვენს სათაყვანებელ პატრიარქს ექადაგოს, საქართველოში კორონავირუსი ვერ შემოვა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართო.**

ასეთ სისულელეს როგორ იტყოდა ჩვენი ბრძენი პატრიარქი? სინამდვილეში ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა ბრძანა, რომ საქართველო გადარჩება, ის მარიამის წილხვედრი ქვეყანააო!

საერო, ე.წ. ლიბერასტი ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხომ საერთოდ ყველა ტაძრის დახურვას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის გაუქმებასაც ითხოვენ ტელეეთერებიდან, და მათ დაუფარავი სიხარულით შესციცინებენ თვალებში ინგა გრიგოლიები!

ერთი სიტყვით, თუ ადრე შეფარვით ებრძოდნენ დედაეკლესიას, ახლა კორონავირუსის ნიღაბაფარებულები უფრო თავხედურად აკეთებენ იმავეს.

მაგრამ არა უშავს — დიახ, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო მისივე მადლით გადარჩება, ამინ!

**დავით მხეიძე**

თანამედროვე ბატონყმობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანას უჭირს, თანაც ძალიან. ამის მიუხედავად, დღევანდელი პოლიტიკოსები მხოლოდ საკუთარ თავსა და მომავალ თანამდებობებზე ფიქრობენ. ერთი, ერთადერთი ადამიანიც კი არ გამოჩნდა, რომელიც იტყოდა: რა დროს საარჩევნო კანონია, ხალხს შიმშილი ემუქრება და რაიმე ვიღონოთ — პრემია-დანამატების მუხლი გავაუქმოთ, ბიუჯეტის კორექტირება მოვახდინოთ, ტაშ-ფანდურზე გაწერილი სახსრები სოციალური პროექტებისკენ მივმართოთ, საკვების მარაგი შევავსოთო.**

# გისმენთ და გემორჩილებით!

**დასავლეთს არ აინტერესებს, რა ხდება ჩვენთან, არის თუ არა დღევანდელი ყოფა რისკის შემცველი. მათ სურთ ერთადერთი რამ — მითითება უნდა შესრულდეს და უნდა შესრულდეს თუნდაც სიცოცხლის ფასად!**



**ერთმა ჩია ქალმა, კელი დეგნანმა, გადაწონა ქართველი ერი. უფრო ზუსტად, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ გადააწონინა და, რაღა თქმა უნდა, ქალბატონი კელი საკუთარ ძალაუფლებასა და გავლენას, როგორც არასდროს, ისე ირწმუნებდა. ქალბატონი კელი ხომ ვერც წარმოიდგენდა, რომ თითის ერთ გატკაცუნებაზე მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი პირველ-მეორეზე გაითვლიდა და «სწორდი, სმენაზე» დადგებოდა. დაახლოებით ისე მოხდა, როგორც «ყვარყვარე თუთაბერშია», შემთხვევით რომ დააბაკუნებს ფეხს და ყველა გაეჭიმება**

19 მარტს მთავრობა პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად შეიკრიბა, შემდეგ კი გაიმართა ბრიფინგი, რომელზეც არჩილ თალაკვაძემ რამდენიმეჯერ გაიმეორა: **„ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ მომდევნო პერიოდში ის დროები და ინტერვალები, რომელიც სჭირდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის წესებს, მინიმალურად აისახოს პოლიტიკური და საკანონმდებლო პროცესის კალენდარზე და საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე შევძლოთ იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებზეც პოლიტიკური შეთანხმებაა მიღწეული...“** ე.ი., ცუდად კი არის საქმე, მაგრამ ეს პოლიტიკურ პროცესზე არ უნდა აისახოსო. ჰგავდა თუ არა ეს პარლამენტის თავმჯდომარის მონოლოგს? არა, ბატონებო, **ეს უფრო მონის მონოლოგი იყო.** „ხალხის რჩეულმა“, რომელმაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ცალ ფეხზე დაიკიდა ამომრჩევლის ჯანმრთელობა, პირდაპირ განაცხადა: პოლიტიკურ პროცესზე ამას არ ავსახავთო. რა თქმა უნდა, თალაკვაძეს საკუთარი თავის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა არ ავიწყდება, ძალიანაც აღელვებს და ამიტომ **ამ განცხადებიდან მეორე დღესვე პარლამენტში დადგეს აპარატი, რომელიც ტემპერატურას დისტანციურად ზომავს და შენობაში ვერავინ შევა, ვისაც საეჭვო ტემპერატურა ექნება. ეს აპარატები დეფიციტიაო, — კი თქვეს, მაგრამ პარლამენტისთვის გამოინახა, არ გამოინახა მეტროპოლიტენისთვის. სამარშრუტო ტაქსების მუშაობის შეჩერების ფონზე მეტროპოლიტენი განსაკუთრებულად დაიტვირთა, ამიტომ, შესასვლელში რომ დაემონტაჟებინათ ანალოგიური აპარატები და მოქალაქეებს უსაფრთხოდ ეგრძნოთ თავი, ურიგო არ იქნებოდა. მაგრამ, არა! მთავარია, ძლიერნი ამა ქვეყნისანი იყვნენ კარგად, თორემ რიგითი მოკვდავები ერთით მეტი იქნება თუ ერთით ნაკლები, ვის ადარდებს...**

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გამოვლენ ახლა ხელისუფლების წარმომადგენლები და იტყვიან: როგორ არ გრცხვენიათ, დღე და ღამე არ გვძინავს თქვენზე ფიქრით და დარდითო. რეალურად კი, ვითარების სიმძიმე ექიმების მხრებზე გადადის, აკი ვხედავთ კიდეც ექიმების გამოუძინებელ სახეებს და დაღლილი ხმაც გვესმის, აი, პოლიტიკოსებს კი... ჰო, ოპოზიციისაც ვთქვათ, — მორატორიუმი გვაქვს გამოცხადებული: არ ვაკრიტიკებთ ხელისუფლებასო. ეს, რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით ძალიან კარგია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან, თუ ხელისუფლება ასეთ შემთხვევაში რამეს აშავებს, აუცილებლად უნდა გააკრიტიკო და მიუთითო, რომ სავალალო შედეგი არ მივიღოთ. ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული — **ოპოზიციამ მოისმინა ის, რისი მოსმენაც სურდა, გაიგო, რომ ხელისუფლება არ აპირებს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების შეჩერებას და ამიტომ მიყუჩდა. ისინიც ხომ რეალურად ხელისუფლებაში მოსვლისთვის და საკუთარი სავარძლებისთვის იბრძვიან?! ეს ის შემთხვევაა, როცა ოპოზიციისა თუ პოზიციის ხედვები, მიზნები და სურვილები ასი პროცენტით ემთხვევა ერთმანეთს და ამიტომ ხმის ამომღები არავინაა.** ჰო, **გიორგი ვაშაძემ** თქვა, სწრაფი ტესტები რომ შემოვიტანოთ და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს, ხელისუფლების ნებაა საჭირო, თორემ აგერ, შვიდ კომპანიას შემოტანაზე უარი უთხრესო. ამ დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და, რა გამოდის? **ტესტები დეფიციტია (პარლამენტისთვის არა) და მაინც არ შემოგვაქვს.** არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლების რომელიღაც მაღალჩინოსანი საკუთარ კომპანიას ქმნის, ეს ტესტები რომ შემოიტანოს და სახელმწიფოსგან არაერთი მილიონი მიიღოს, ამიტომაც ყველაფერი ჭიანურდება. „ახლა არის ფულის კეთების კარგი დროო“, — ამას წინათ წამოსცდა ერთ მაღალჩინოსანს. როგორც ჩანს, აღნიშნულ მოსაზრებას ყველა იზიარებს და ცდილობს, საბანი თავის მხარეს გაქაჩოს.

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი: ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დავიცავთო. არადა, რამდენიმე ათეული ემიგრანტი ითხოვს, — სახელმწიფომ სპეციალური დანიშნოს და სამშობლოში დაგვაბრუნოსო, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე ამბობენ, რომ რეისი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ მოქალაქეთა რაოდენობა, სულ ცოტა, 100 იქნება. რა გამოდის? 40 და 50 ადამიანის სიცოცხლე და უსაფრთხოება არაფერს ნიშნავს? თუ რეისი ძვირი ჯდება და ბარემ „ოპტომ“ წამოიყვანონ მგზავრები? რას ნიშნავს, — ასი კაცი მოგროვდითო?

დღევანდელი გადმოსახედიდან ნამდვილად ვერ გეტყვით, ჩატარდება თუ არა 2020 წლის არჩევნები. სიურპრიზები არ არის გამორიცხული, თუმცა ისე ჩანს, დასავლეთი მითითების შესრულებას წინ მაინც ვერაფერი დაუდგება. დაზუსტებული ინფორმაციით, უკვე მუშაობენ პროგრამაზე, რომელიც დეპუტატებს შესაძლებლობას მისცემს, ნებისმიერ საკითხს კენჭი ონლაინ უყარონ და კანონი მიიღონ. **ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ყოველგვარი განხილვისა და დებატის გარეშე შეეძლებათ, მიიღონ კანონები, შემდეგ, უბრალოდ, გამოაქვეყნონ და მოსახლეობა დააყენონ ფაქტის წინაშე. ისიც ხომ მწარე რეალობაა, რომ 120/30-ზე შეთანხმება სწორედ მოსახლეობის გარეშე მოხდა,** არავინ გაითვალისწინა ამომრჩევლის აზრი **ან ვინ არის მილიონობით ამომრჩეველი ამერიკის ელჩთან შედარებით?!** ერთმა ჩია ქალმა, **კელი დეგნანმა**, გადაწონა ქართველი ერი. უფრო ზუსტად, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ გადააწონინა და, რაღა თქმა უნდა, ქალბატონი კელი საკუთარ ძალაუფლებასა და გავლენას, როგორც არასდროს, ისე ირწმუნებდა. **ქალბატონი კელი ხომ ვერც წარმოიდგენდა, რომ თითის ერთ გატკაცუნებაზე მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი პირველ-მეორეზე გაითვლიდა და „სწორდი, სმენაზე“ დადგებოდა. დაახლოებით ისე მოხდა, როგორც „ყვარყვარე თუთაბერშია“, შემთხვევით რომ დააბაკუნებს ფეხს და ყველა გაეჭიმება.**

**ქვეყანას უჭირს, თანაც ძალიან. ამის მიუხედავად, დღევანდელი პოლიტიკოსები მხოლოდ საკუთარ თავსა და მომავალ თანამდებობებზე ფიქრობენ. ერთი, ერთადერთი ადამიანიც კი არ გამოჩნდა, რომელიც იტყოდა, რა დროს საარჩევნო კანონია, ხალხს შიმშილი ემუქრება და რაიმე ვიღონოთ — პრემია-დანამატების მუხლი გავაუქმოთ, ბიუჯეტის კორექტირება მოვახდინოთ, ტაშ-ფანდურზე გაწერილი სახსრები სოციალური პროექტებისკენ მივმართოთ, საკვების მარაგი შევავსოთო.**

არა, ბატონებო, ამის მთქმელი არავინაა, რადგან ყველას ეჭვის ჭია ღრღნის: ვაითუ სიტუაცია მალე გამოსწორდეს, მერე ხომ წამომაძახებენ, — შენ საარჩევნო კანონის მიღება არ გსურდა, ხალხზე ზრუნავდი და ამიტომ თამაშგარეთ რჩებიო. პოლიტიკოსებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება შიმშილი მათი ოჯახის წევრებსაც შეეხოს, მათი გადმოსახედიდან ხომ ფულზე ყველა და ყველაფერი იყიდება.

ფული კი იმდენი აქვთ, დღესვე რომ დარჩნენ უმუშევრები, შვილიშვილებსაც არაფერს გაუჭირვებენ, ამიტომ არ ადარდებთ, რა იქნება ხვალ, როგორი სოციალური რეალობა გვექნება, რადგან საკმარისი მარაგიც აქვთ და შესაძლებლობაც. ახლა მათთვის მთავარი სწორედ საარჩევნო კანონია, მაგრამ ისინი ერთ რამეს ვერ ითვალისწინებენ — თუ ერი იშიმშლებს, თუ ამომრჩეველი არ იქნება, ვერც ისინი დაიკავებენ თანამდებობებს და ვერც ფულს მოტეხავენ.

ამიტომ „მუშათა კლასს“ გაუფრთხილდით, ბატონებო, სწორედ მათით გიდგათ სული, თორემ ეს კლასი თუ დაიმშა, როგორ გგონიათ, სარჩოსთვის ვის მიადგებიან პირველ რიგში? და მერე არ ექნება მნიშვნელობა, პარლამენტის თავმჯდომარე ხარ, კომიტეტის შეფი თუ უბრალო პარლამენტარი, კუჭმა თანამდებობის გარჩევა არ იცის.

რაც შეეხება ჩვენს ეჭვებს, რომლებიც არჩევნების უცხოელი „პარტნიორების“ ჩარევით შეთანხმებული ცვლილებებით ჩატარებას შეეხება, ხელისუფლებამ დაგვაიმედა, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც დასავლელ პარტნიორებს გაუხარდებათ.

**ბესო ბარბაქაძე**

**პარლამენტში დადგეს აპარატი, რომელიც ტემპერატურას დისტანციურად ზომავს და შენობაში ვერავინ შევა, ვისაც საეჭვო ტემპერატურა ექნება. ეს აპარატები დეფიციტიაო, — კი თქვეს, მაგრამ პარლამენტისთვის გამოინახა, არ გამოინახა მეტროპოლიტენისთვის. სამარშრუტო ტაქსების მუშაობის შეჩერების ფონზე მეტროპოლიტენმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა და შესასვლელში რომ დაემონტაჟებინათ ანალოგიური აპარატები და მოქალაქეებს უსაფრთხოდ ეგრძნოთ თავი, ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ არა! მთავარია, ძლიერნი ამა ქვეყნისანი იყვნენ კარგად, თორემ რიგითი მოკვდავები ერთით მეტი იქნება თუ ერთით ნაკლები, ვის ადარდებს...**

**სამედიცინო სფეროში რუსეთი უკანასკნელ პოზიციებზე ნამდვილად არ არის და იმ საჭირო მედიკამენტების შემოტანა, რომლებიც არ გვყოფნის, რუსეთიდან მარტივად შეიძლება. საამისოდ კი საჭიროა პოლიტიკური ნება და რუსეთთან დიალოგის დაწყება. გვერწმუნეთ, დამშეული ხალხი არ შეგეკითხებათ, საიდან შემოგაქვთ პროდუქტი და არც რუსეთიდან შემოტანის წინააღმდეგ წავა. მაგალითისთვის ავიღოთ ხორბალი, ის ხორბალი, რომლითაც „პური ჩვენი არსობისა“ ცხვება და რომლის 90%, წლებია, რუსეთიდან შემოგვაქვს.**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს სასიცოცხლო არტერია რუსეთზე გადის

**წუთით (გნებავთ, ერთი საათით) დავფიქრდეთ: რას აწარმოებს საქართველო ისეთს, რაც ადამიანებს ყოველდღიურად საარსებოდ სჭირდებათ (რა თქმა უნდა, საკვებს ვგულისხმობთ)? — პირველ რიგში, ეს არის „პური ჩვენი არსობისა“, რომელიც შემოტანილი ხორბლით მზადდება და ამ შემთხვევაში, ექსპორტზე 98%-ით ვართ დამოკიდებული, ანუ მთლიანად შემოტანილი ხორბლის იმედზე ვართ; ბოსტნეული, რომელიც საკმარისი არ არის და, ძირითადად, ირანიდან ვეზიდებით; ხორცპროდუქტები, რომლებიც ძალიან ძვირია და ამიტომ გაყინული და იაფი შემოგვაქვს; კვერცხი და ქათამი, რომლითაც ადგილობრივი წარმოება მხოლოდ 17%-ით უზრუნველგვყოფს; და თევზეული, რომელიც თითქმის ასი პროცენტით იმპორტირებულია.**

მარტივად რომ ვთქვათ, ეროვნული წარმოების მხოლოდ კუჭი გვაქვს. ზემოაღნიშნული ციფრებისა და რეალობის გათვალისწინებით, ადვილი მისახვედრია მოსახლეობის შეშფოთება და პანიკა იმაზე, რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოში ვითარება არ შეიცვლება და სურსათის შემოტანას საფრთხე დაემუქრება. ვიცით ხელისუფლების პოზიცია, ვიცით: არანაირი პრობლემა არ არსებობს, მარაგი საკმარისზე მეტია და აგერ, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ისიც თქვა, ლარსთან ათასი ტრაილერი დგას სურსათით დატვირთული და ისინი მხოლოდ იმას ელოდებიან, ჩამოწოლილ ზვავს გზიდან როდის გადახვეტავენ, საქართველოში რომ შემოვიდნენო.

არ ვაპირებთ არანაირი პანიკის დათესვას, მაგრამ მოვლენებს სალი გონებით შევხედოთ. ავიღოთ **იტალია,** საიდანაც საქართველოში დიდი ოდენობით მაკარონი შემოდიოდა. აპენინის ნახევარკუნძულზე დღეს ყველაფერი გაჩერებულია. გაჩერებულია იმ დონეზე, რომ **ბოლო 60 წლის განმავლობაში პირველად ვენეციის არხებში თევზები და დელფინები გამოჩნდნენ. არ მუშაობენ საწარმოები და ფუნქციონირებს მხოლოდ ბანკები, სასურსათო მაღაზიები, საფინანსო ორგანიზაციები და, რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავი სტრუქტურები.** ადამიანები სახლებში გამოიკეტნენ და მათ პოლიცია და ჯარი აკონტროლებენ. ყველასთვის მარტივი ასახსნელია, რომ 24 საათით შინ გამოკეტილ **იტალიას თავისი მარაგი საკუთარი მოსახლეობისთვის სჭირდება, რადგან არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება კრიზისი და როდის ამუშავდება ქარხნები. ამიტომ მხოლოდ საქართველოს კი არა, იტალიის მთავრობა ყველას უარს ეუბნება პროდუქტის მიწოდებაზე, იმ პროდუქტის, რომელიც მისი მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და რომელსაც ამ ეტაპზე არ აწარმოებს.**

ანალოგიური ვითარებაა სხვა ქვეყნებშიც. გაჩერებულია ყველაფრის შემოტანა, რაც ჩინეთიდან შემოდიოდა და გაჩერებული რომც არ იყოს, ლამის 2-მილიარდიან ჩინეთს თვითონ სჭირდება კვება და ამიტომ ხარისხიან თუ უხარისხო ნაწარმს ქვეყნის გარეთ არ უშვებს. ამერიკამ ევროპისთვის საზღვრები ჩაკეტა, არ სჭირდებათ ოკეანის გაღმელი ევროპელები და, შესაბამისად, არ სჭირდებათ საქართველო. **ყველა ქვეყანა თვითგადარჩენის რეჟიმზეა გადასული და სულ არ აინტერესებს, რა ხდება მეზობლად — სხვა ქვეყანაში უჭირთ თუ ულხინთ.** თუნდაც საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონის** ვითომდა უწყინარი ფრაზა ავიღოთ: **„ჩვენ კრიზისის მხოლოდ საწყის ეტაპზე ვართ, ამიტომ უნდა მოვემზადოთ უარესისთვის...“** მაკრონმა ამით ყველას მიანიშნა, რომ საფრანგეთს სხვისთვის არ ეცლება, თავისი მოსახლეობა ჰყავს მისახედიო.

საქართველოში ვარგისიანობის მოკლე ვადის მქონე პროდუქტის მარაგი ყოველთვის მცირე იყო და ახლაც არ იქნება გრანდიოზული. რაც შეეხება ბურღულეულსა და კონსერვებს, ისინი კომპანიებს საწყობებსა და მაღაზიებში აქვთ შეტანილი. მივცეთ ფანტაზიას გასაქანი: **წარმოვიდგინოთ, რა ოდენობის მარაგი შეიძლება იყოს საქართველოში, რა მოცულობის საწყობებია საზოგადოდ და ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ გვექნება** — საუკეთესო შემთხვევაში, მარაგი სამ თვეზე მეტ ხანს არ გვეყოფა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ არ განახლდება ტვირთბრუნვა და არ ამოისუნთქავენ ის ქვეყნები, რომლებიდანაც პროდუქტი შემოგვქონდა, ვრჩებით საკუთარი თავის იმედად. ისიც ვთქვათ, რომ ევროპაში სახლში გაშვებულ თანამშრომლებს კომპანიები ხელფასს მაინც უხდიან და საქართველოში რამდენ ხანს მოახერხებენ კერძო სტრუქტურები უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისთვის ჯამაგირის გადახდას, არავინ იცის. **თუ ბიზნესმა არ იმუშავა, ფინანსურ რესურსს ისიც ამოწურავს და ხელფასს ფიზიკურად ვერ გადაიხდის.** ზევით „პური ჩვენი არსობისა“ და რუსეთიდან შემოტანილი ხორბლის ოდენობა ტყუილად არ გვიხსენებია. ფაქტია, რომ საქართველოს ეკონომიკას სწორედ ჩრდილოელი მეზობლის წყალობით უდგას სული; იმ მეზობლის, რომელსაც მუდმივად ვაკრიტიკებთ და ვებრძვით; სადაც კორონავირუსით ინფიცირებულთა დიდი ოდენობა საქართველოში ადამიანთა ერთ კატეგორიას ახარებს. გავუსწოროთ თვალი რეალობას — მოვლენების ყველაზე ცუდი სცენარით განვითარების შემთხვევაში საქართველო ვერ იქნება ევროპისა და ამერიკის იმედად (მათ ერთმანეთსაც ზურგი აქციეს), **საქართველოს სასიცოცხლო არტერია რუსეთზე გაივლის. ახლა ის ვთქვათ, არის თუ არა რუსეთი მზად იმისთვის, რომ საყოველთაო კრიზისის ფონზე საქართველო წამოიკიდოს და ათრიოს. ჩრდილოელი მეზობლისთვის დღევანდელი სიტუაცია უცხო ნამდვილად არ არის, რადგან რუსეთს ამერიკამ და ევროპამ, წლებია, სანქციები დაუწესეს და ეს ქვეყანა კრიზისში ცხოვრებას მიჩვეულია, უფრო ზუსტად, სანქციების ფონზე ცხოვრებას და, რაც დღეს ხდება, არაოფიციალური სანქციები და აკრძალვებია.**



**უარესისთვის ნელ-ნელა, მაგრამ მაინც გვამზადებს ხელისუფლება. სწორედ ამიტომ დღეს უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებები რუსეთთან ხორბლისა და სხვა პროდუქტების შემოტანის თაობაზე, რადგან ჩრდილოელ მეზობელს აუცილებლად დაუდგება რიგი და ისე არ მოხდეს, ამ რიგში ბოლო სწორედ საქართველო აღმოჩნდეს. პოლიტიკოსებს კი ვეტყვით, რომ რუსეთთან საუბარი უზრდელობა არაა და ასპროცენტიანი სიზუსტით შეგვიძლია გითხრათ, რომ ევროპა და ამერიკა რუსეთს აუცილებლად დაელაპარაკებიან, აუცილებლად შეეცდებიან, მისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახონ**

ჰოდა, ახლა **ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, საყოველთაო ისტერიკის ფონზე ისევ ლანძღოს რუსეთი და მასთან დიალოგზე უარი თქვას თუ კეთილი ინებოს და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისა და თანამშრომლობის წინადადებით მიმართოს.** ეს ის შემთხვევაა, როცა ვერც ევროპა და ვერც ამერიკა ალტერნატივას ვერ შესთავაზებს საქართველოს, რადგან **მათ უკვე გასაგებად თქვეს, რომ, საქართველოსთვის კი არა, ერთმანეთისთვის არ სცალიათ და არ აპირებენ, თავიანთი მარაგები „სტრატეგიულ პარტნიორებს“ გაუნაწილონ. ეს სიტყვებიც — „სტრატეგიული პარტნიორი“ — უკვე სასაცილოა და იმ საპნის ბუშტივით გასკდა, რომელსაც წლებია, „დასავლელი მეგობრები“ ბერავენ და ჩვენც ტყუილებით გვასაზრდოებენ.**

სხვათა შორის, რუსეთში წელს ხორბლის უპრეცედენტო მოსავალს ელიან. ეს იმიტომ, რომ ხორბლის ექსპორტით ქვეყანა უზარმაზარ ფულს შოულობდა და მსოფლიოს სამ უდიდეს ექსპორტიორთა შორის იყო. ჰოდა, ხორბლის რეკორდული მოსავლის გამო, დღეს არსებული სიტუაციის ფონზე, რუსეთთან დამეგობრება და ერთ ნავში ყოფნა ყველას მოუნდება. **დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამერიკას რომ დასჭირდეს, თავის ელჩებსა თუ დესპანებს მუხლებზე დააჩოქებს პუტინის წინაშე. ევროპაც ხოხვით მივა კრემლის კარზე, მაგრამ, ამასთანავე, იგივე ამერიკა და ევროპა საქართველოს და მის დარ ქვეყნებს აიძულებენ, რუსეთს ისევ აგინონ. რატომ? — ორი მიზეზის გამო: პირველი და მთავარი მიზეზი იქნება ის, რომ თვითონ მეტი შეხვდებათ; და მეორე — ნებისმიერ დროს აგვარევინებენ სიტუაციას და შემდეგ რუსეთთან სარფიანად ივაჭრებენ, ოღონდ ჩვენს ხარჯზე.**

ახლა ამერიკისა და ევროპის დაკრულზე ცეკვის დრო არაა, ახლა საქართველოს მოსახლეობის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დევს სასწორზე და, თუ დღეს არ დევს, ხვალ და ზეგ დაიდება. ამას ამბობენ საერთაშორისო ექსპერტები და უარესისთვის ნელ-ნელა, მაგრამ მაინც გვამზადებს ხელისუფლება. სწორედ ამიტომ დღეს უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებები რუსეთთან ხორბლისა და სხვა პროდუქტების შემოტანის თაობაზე, რადგან ჩრდილოელ მეზობელს აუცილებლად დაუდგება რიგი და ისე არ მოხდეს, ამ რიგში ბოლო სწორედ საქართველო აღმოჩნდეს. პოლიტიკოსებს კი ვეტყვით, რომ რუსეთთან საუბარი „არ ტეხავს“ და ასპროცენტიანი სიზუსტით შეგვიძლია გითხრათ, რომ ევროპა და ამერიკა რუსეთს აუცილებლად დაელაპარაკება, აუცილებლად შეეცდება, მისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს. თუნდაც სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება, ლარსთან ათასი ტრაილერი დგასო, მრავლისმთქმელია. ის ტრაილერები საიდან მოდიან, კი გეცოდინებათ და ეს კიდევ ერთი აღიარებაა იმისა, რომ **ჩვენი სასიცოცხლო არტერია სწორედ რუსეთზე გადის.**

ჰო, ისიც ვთქვათ, რომ სამედიცინო სფეროში რუსეთი უკანასკნელ პოზიციებზე ნამდვილად არ არის და იმ საჭირო მედიკამენტების შემოტანა, რომლებიც არ გვყოფნის, რუსეთიდან მარტივად შეიძლება. საამისოდ კი საჭიროა პოლიტიკური ნება და რუსეთთან დიალოგის დაწყება. გვერწმუნეთ, დამშეული ხალხი არ შეგეკითხებათ, საიდან შემოდის პროდუქტი და არც რუსეთიდან შემოტანის წინააღმდეგ წავა. მაგალითისთვის ავიღოთ ხორბალი, ის ხორბალი, რომლითაც „პური ჩვენი არსობისა“ ცხვება და რომლის 90%, წლებია, რუსეთიდან შემოგვაქვს.

**ბესო ბარბაქაძე**

**ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, საყოველთაო ისტერიკის ფონზე ისევ ლანძღოს რუსეთი და მასთან დიალოგზე უარი თქვას თუ კეთილი ინებოს და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისა და თანამშრომლობის წინადადებით მიმართოს. ეს ის შემთხვევაა, როცა ვერც ევროპა და ვერც ამერიკა ალტერნატივას ვერ შესთავაზებენ საქართველოს, რადგან მათ უკვე გასაგებად თქვეს, რომ, საქართველოსთვის კი არა, ერთმანეთისთვის არ სცალიათ და არ აპირებენ, თავიანთი მარაგები «სტრატეგიულ პარტნიორებს» გაუნაწილონ. ეს სიტყვებიც — «სტრატეგიული პარტნიორი» — უკვე სასაცილოა და იმ საპნის ბუშტივით გასკდა, რომელსაც წლებია, «დასავლელი მეგობრები» ბერავენ და ჩვენც ტყუილებით გვასაზრდოებენ**

**P.S.** **წერილი უკვე მზად იყო, როდესაც ცნობილი შეიქნა, რომ ლარსთან სურსათით დატვირთული ტრაილერებისთვის გზა ჩამოწოლილი ზვავისგან გაიწმინდა და ისინი საქართველოში შემოვიდნენ.**

30 წლის შემდეგ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორი იქნებოდა მოსახლეობის რაოდენობა, ყველაფერი რომ ისე გაგრძელებულიყო, როგორც 1989 წლამდე იყო? რასაკვირველია, ეს საკმაოდ თამამი ფანტაზიაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1965-1989 წლებში ჩამოყალიბებული ტენდენცია პრაქტიკულად წრფივია, ამის გაკეთება სავსებით შესაძლებელია. სხვა თანაბარ პირობებში მოსახლეობის რაოდენობა 2018 წელს ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე 5.8 მილიონი იქნებოდა, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით — 6.6 მილიონი.**

# სულ უკან და უკან: რა და როგორ შეიცვალა საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში

**სამი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დატოვა საბჭოთა კავშირი, რომელმაც, თავის მხრივ, 1991 წლის დეკემბერში ბელოვეჟის შეთანხმებით შეწყვიტა არსებობა. იმ პერიოდისთვის საქართველოში უკვე დაწყებული იყო სამოქალაქო დაპირისპირება და რუსთაველის გამზირზე მობილიზებული იყო სამხედრო ტექნიკა და შეიარაღებული ფორმირებები. წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის გარკვევა იმისა, ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. ეს, უბრალოდ, ფაქტია და მეტი არაფერი. მას შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა. ისტორიული თვალსაზრისით ეს არ არის დიდი დრო, მაგრამ ერთი ადამიანის სიცოცხლისთვის მთელი თაობაა.**

რა შეიცვალა მას შემდეგ და რა მიმართულებით შეიცვალა? — ამ კითხვაზე მიმომხილველთა უმეტესობა პასუხს ძალიან ემოციურად სცემს. ემოციები კი, როგორც წესი, რეალური სურათის აღქმას ხელს უშლის. ფაქტია, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოში ფუნდამენტური ცვლილებების პერიოდი იყო. კარგი იყო ეს ცვლილებები თუ ცუდი, ცალკე საკითხია. მხოლოდ გაკვრით შევნიშნავ, რომ კარგიც და ცუდიც ბოლო 30 წელიწადში საკმარისზე მეტი იყო, იმდენი, რომ ამ ცვლილებების გადამუშავებას თაობები დასჭირდება.

ამჯერად შევეხები მომხდარი ცვლილებების რამდენიმე ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტს. ერთი სტატიის ფარგლებში ასეთი მასშტაბის მოვლენების ამომწურავი მიმოხილვის პრეტენზია ძალიან არასერიოზული იქნება.

მდგომარეობის ცვლილების ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე მახასიათებელი მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებელია. **1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში 5.4 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წლის მონაცემებით კი — 3.7 მილიონი. დაახლოებით ამდენივე იყო მოსახლეობის რაოდენობა 2018 წლის მონაცემებითაც — მოსახლეობის რაოდენობა 31 პროცენტით, ე.ი. არსებითად შემცირდა.** შეიძლება ვინმემ მითხრას, რომ 1989 წლის აღწერაში ჩართული იყო აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი და ამ ორი მაჩვენებლის შედარება არ შეიძლება, მაგრამ მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემებში შედარების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა მოცემულია 1965-2018 წლების პერიოდში სწორედ ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე. ამდენად, მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე განთავსებული დროითი მწკრივის შედარება დაშვებულია.

როგორც მონაცემები აჩვენებს, 1965-1990 წლებში მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებელი ერთმნიშვნელოვნად იმატებდა. მაჩვენებლის მატება, პრაქტიკულად, წრფივია, რაც იმას ნიშნავს, რომ მატების ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის დრო. 1993 წლიდან დაიწყო მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, რომელიც დღესაც გრძელდება.

საინტერესოა, **როგორი იქნებოდა მოსახლეობის რაოდენობა, ყველაფერი რომ ისე გაგრძელებულიყო, როგორც 1989 წლამდე იყო?** რასაკვირველია, ეს საკმაოდ თამამი ფანტაზიაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1965-1989 წლებში ჩამოყალიბებული ტენდენცია პრაქტიკულად წრფივია, ამის გაკეთება სავსებით შესაძლებელია. სხვა თანაბარ პირობებში **მოსახლეობის რაოდენობა 2018 წელს ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე 5.8 მილიონი იქნებოდა, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიების ჩათვლით — 6.6 მილიონი.**

**(იხ. გრაფიკი №1)**




ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **დემოგრაფიული თვალსაზრისით ბოლო 30 წელი საქართველოსთვის კატასტროფული იყო.** საინტერესოა, როგორი იყო ბოლო 30 წელიწადი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისთვის.

**1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში 5.4 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 2014 წლის მონაცემებით კი — 3.7 მილიონი. დაახლოებით ამდენივე იყო მოსახლეობის რაოდენობა 2018 წლის მონაცემებითაც — მოსახლეობის რაოდენობა 31 პროცენტით, ე.ი. არსებითად შემცირდა**

იმავე მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ცვლილებები რესპუბლიკებისთვის არსებითად განსხვავებულია. მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებით საქართველო ბოლოდან მესამე ადგილზეა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1989 წელი ოკუპირებული ტერიტორიების გარეშეა აღებული, **საქართველო უდავო „ჩემპიონია“ მოსახლეობის 31-პროცენტიანი შემცირებით, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიების გარეშეც შემცირება ძალიან არსებითია — 22 პროცენტი.**

**საქართველოსთან ერთად მოსახლეობის შემცირების მხრივ ბალტიისპირეთის ქვეყნები „ლიდერობენ“. ჩვენი უშუალო მეზობლებიდან სომხეთში მოსახლეობის რაოდენობა 17 პროცენტით შემცირდა, ხოლო აზერბაიჯანში 40 პროცენტით მოიმატა.**

მოსახლეობის რაოდენობის მატებაა განსაკუთრებით შუა აზიის ქვეყნებში — **ტაჯიკეთში** მოსახლეობის რაოდენობა 77 პროცენტითაა მომატებული, **უზბეკეთში** — 65%-ით, ხოლო **თურქმენეთში** — 63 პროცენტით. შუა აზიის რესპუბლიკებიდან ყველაზე ნაკლებად, „სულ რაღაც“, 47 პროცენტით **ყირგიზეთის** მოსახლეობამ მოიმატა.

საყურადღებოა, რომ მოსახლეობის რაოდენობა უმნიშვნელოდ შემცირდა **რუსეთის ფედერაციაში,** მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთი მიგრანტების ერთ-ერთი უდიდესი მიმღებია, ცხადია, რომ ეს უმნიშვნელო შემცირება მნიშვნელოვანწილად იმიგრაციის დამსახურებაა.

**(იხ. გრაფიკი №2)**

ამდენად, დემოგრაფიული თვალსაზრისით, **საქართველოსთვის ბოლო 30** ▶






30 წლის შემდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში, უწინარესად, მომავლის მოდელია შესაქმნელი, ვინაიდან პროექტის გარეშე სახლის აშენება ძალიან არასერიოზული საქმეა. ასევე არასერიოზულია სახლის მშენებლობის დაწყებამდე პირსაბანი ნიჟარის ფერზე თავგადაკლული დისკუსია. სხვათა შორის, ეკონომიკა ბერძნული სიტყვაა და სახლის მშენებლობას ნიშნავს.**







წყარო: მსოფლიო ბანკი, DATA.WORLDBANK.ORG




წყარო: მსოფლიო ბანკი, DATA.WORLDBANK.ORG




წყარო: საქსტატი, GEOSTAT.GE. „საქართველო ციფრებში", სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტი, თბილისი, 1990

◀ **წელი თამამად შეიძლება შეფასდეს, როგორც კატასტროფული.**

ეკონომიკური თვალსაზრისით, ბოლო 30 წლის დეტალური განხილვა ერთ საგაზეთო სტატიაში ვერ მოხერხდება და მხოლოდ რამდენიმე მაკროპარამეტრით შემოვიფარგლებით. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ **მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი.** მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემებით 2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში სულ **17.6 მილიარდი 2010 წლის საერთაშორისო აშშ დოლარი იყო, რაც ერთ სულზე 4721 აშშ დოლარია. როგორც მსოფლიო ბანკის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ეკონომიკაში პრობლემები 1986 წლიდან დაიწყო, თუმცა ეს პრობლემები მეტ-ნაკლებად 1988 წელს მოგვარდა, 1990 წლიდან კი კვლავ დაიწყო დაცემა და კატასტროფის სახე მიიღო 1992-1993 წლებში. 1995 წლიდან დაიწყო გამოცოცხლება, რომელიც მეტ-ნაკლები წარმატებით დღემდე გრძელდება, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 1988 წლის ანალოგიური მაჩვენებელის 78 პროცენტია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1988 წლამდე კიდევ 22 პროცენტი გვაკლია.**

რა მოხდებოდა, ყველაფერი 1965-1985 წლებში ჩამოყალიბებული ტენდენციის მიხედვით რომ გაგრძელებულიყო? რასაკვირველია, ეს დაშვებაც ძალიან თამამია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1965-1985 წლებში ჩამოყალიბებული ტენდენცია მყარი და წრფივი იყო, ამ დაშვებას არსებობის უფლება აქვს. **ასეთ შემთხვევაში, ე.ი., სხვა თანაბარ პირობებში მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 წელს 51 მილიარდი 2010 წლის აშშ დოლარი, ანუ დღევანდელზე თითქმის სამჯერ მეტი იქნებოდა.**

**(იხ. გრაფიკი №3)**

ამდენად, **დემოგრაფიული და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებიდან გამომდინარე, სხვა თანაბარ პირობებში ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 წელს 4721-ის ნაცვლად 2010 წლის 8643 აშშ დოლარი (დღევანდელზე თითქმის ორჯერ მეტი) იქნებოდა. მეტ მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად მოსახლეობაც მეტი იქნებოდა და აქედან გამომდინარე, ეს განსხვავება მარტივად აიხსნება.**

მოსახლეობის რაოდენობის შემცირებით არის განპირობებული ისიც, რომ ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 წელს უმნიშვნელოდ აღემატება 1988 წლის მაჩვენებელს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის სრული მოცულობა 1988 წლის მხოლოდ 78 პროცენტია. მოსახლეობა, ფაქტობრივად, შემცირდა 22 პროცენტით და სწორედ ეს 22 პროცენტია ის განსხვავება, რაც 1988 და 2018 წლის საერთო და ერთ სულზე გადაანგარიშებულ მაჩვენებლებს შორის აისახება.

**(იხ. გრაფიკი №4)**

საინტერესოა, როგორ შეიცვალა ანალოგიური მაჩვენებელი სსრკ-ის დანარჩენ ქვეყნებში. ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და მოლდავეთის 1991 წლამდე მაჩვენებლები მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე არ არის, ხოლო დანარჩენი რესპუბლიკებიდან ერთ სულზე მშპ-მ ყველაზე უფრო მეტად, 153 პროცენტით, **თურქმენეთში** მოიმატა. **სომხეთში** იგივე ცვლილება 145 პროცენტია, ხოლო **ბელარუსში** — 112 პროცენტი. **საქართველოში მატება მხოლოდ 1 პროცენტია, ანუ ერთ სულზე მშპ 1988 წელთან შედარებით პრაქტიკულად უცვლელია მოსახლეობის 22-პროცენტიანი შემცირების ფონზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა.**

**აზერბაიჯანში** ერთ სულზე მშპ-ს 82-პროცენტიანი მატება მოსახლეობის 40-პროცენტიანი მატების ფონზე გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე, მაგალითად, **ბელარუსში** ერთ სულზე მშპ-ს 112-პროცენტიანი მატება მოსახლეობის 7-პროცენტიანი შემცირების ფონზე.

ცვლილების ვექტორი ყველაზე უარესი **უკრაინას** აქვს, სადაც ერთ სულზე გაანგარიშებით მთლიანი შიდა პროდუქტი 1988 წელთან შედარებით 28 პროცენტით შემცირდა მოსახლეობის 16-პროცენტიანი შემცირების ფონზე. ასევე უარყოფითია ცვლილების ვექტორი **ტაჯიკეთში,** სადაც 1988 წელთან შედარებით ერთ სულზე მშპ 26 პროცენტით შემცირდა, მაგრამ მოსახლეობის 77-პროცენტიანი მატების ფონზე.

**(იხ. გრაფიკი №5)**

ამდენად, მდგომარეობა მაკროეკონომიკური თვალსაზრისითაც არ არის არსებითად გაუმჯობესებული. საყურადღებოა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. ბოლო 30 წლის განმავლობაში არსებითად შეიცვალა ეკონომიკის სტრუქტურა. **2018 წლის მონაცემებით (წყარო: მსოფლიო ბანკი), საქართველოს ეკონომიკაში დამამუშავებელი ინდუსტრიის წილი 8.8 პროცენტი იყო და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ამ მაჩვენებლით მხოლოდ აზერბაიჯანს ალვემატებით, რომლის ეკონომიკაც ნედლეულის ექსპორტზეა ორიენტირებული. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან გამორჩეულია ბელარუსი, სადაც დამამუშავებელი ინდუსტრიის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 21 პროცენტია.**

სამწუხაროდ, მსოფლიო ბანკის საიტზე არ მოიპოვება იმავე მაჩვენებლის მონაცემები 1990 წლამდე, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი არსებითად არის შემცირებული. მაგალითად, საქართველოში 1996 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 17 პროცენტია, ხოლო 1996 წელს მრეწველობა, პრაქტიკულად, გაჩერებული იყო. 1996 წელთან შედარებით მშპ-ში დამამუშავებელი ინდუსტრიის წილის მაჩვენებელი განახევრებულია 1990 წელთან შედარებით.

**(იხ. გრაფიკი №6)**

დასასრული შემდეგ გვერდზე

**საქართველო უდავო «ჩემპიონია» მოსახლეობის 31-პროცენტიანი შემცირებით, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიების გარეშეც შემცირება ძალიან არსებითია — 22 პროცენტი. საქართველოსთან ერთად მოსახლეობის შემცირების მხრივ ბალტიისპირეთის ქვეყნები «ლიდერობენ». ჩვენი უშუალო მეზობლებიდან კი სომხეთში მოსახლეობის რაოდენობა 17 პროცენტით შემცირდა, ხოლო აზერბაიჯანში 40 პროცენტით მოიმატა. მოსახლეობის რაოდენობის მატებაა განსაკუთრებით შუა აზიის ქვეყნებში — ტაჯიკეთში მოსახლეობის რაოდენობა 77 პროცენტითაა მომატებული, უზბეკეთში — 65 პროცენტით, ხოლო თურქმენეთში — 63 პროცენტით. შუა აზიის რესპუბლიკებიდან ყველაზე ნაკლებად, «სულ რაღაც», 47 პროცენტით ყირგიზეთის მოსახლეობამ მოიმატა**

30 წლის შემდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მხოლოდ კეთილშობილური მიზანი წარმატების გარანტია არ არის და თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა შემსრულებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. წარმატება თითქმის გარანტირებულია, როდესაც კეთილშობილურ მიზანს პროფესიონალი ემსახურება. სამწუხაროდ საქართველოში, 1980-იანების ბოლოს ასეთი თანხვედრა არ მოხდა.**

# რა და როგორ შეიცვალა საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში

დასაწყისი იხ. წინა გვერდზე

**დამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი მშპ ნომინალურად იზრდება, მაგრამ მცირდება მისი წილი ეკონომიკაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის სხვა სექტორები უფრო სწრაფად იმატებს, რაც საქართველოში, დამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარების დონიდან გამომდინარე, მისასალმებელი ტენდენცია ნამდვილად არ არის.**

ზემოთ აღვნიშნე, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა თვისობრივად შეიცვალა. დეტალური აღწერა და ანალიზი ერთი საგაზეთო სტატიის ფარგლებს აღემატება. ეს ცვლილება, უწინარესად, დასაქმების სტრუქტურაზე აისახა. სტატისტიკის სხვა სამსახურებისგან განსხვავებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე განთავსებულია სამუშაო ძალისა და შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემთა ბაზები, რაც ძალიან დიდი იშვიათობაა მთელ მსოფლიოში.

დღევანდელისგან განსხვავებით დეტალური სტრუქტურის ძველი მონაცემები, სამწუხაროდ, არ მოიპოვება, მაგრამ გამსხვილებული ჯგუფების შედარებითაც ნათლად ჩანს, რომ **დასაქმების სტრუქტურა არსებითად არის შეცვლილი.** პირველ რიგში, აღსანიშნავია **დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 27-პროცენტიანი შემცირება. განსხვავებულია დასაქმების სტრუქტურაც. განსაკუთრებით ხაზგასასმელია დასაქმებაში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის არსებითი ზრდა 1985-1990 წლების საშუალოდ 25-27 პროცენტიდან 2018 წლის თითქმის 40 პროცენტამდე.** მთლიანად დასაქმებაში სოფლის მეურნეობის 25-პროცენტიანი წილიც ძალიან მაღალია, მაგრამ ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე 40 პროცენტი. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 80-იან წლებში მიწათმოქმედება გამსხვილებულ სამეურნეო ფართობებზე იყო, ხოლო 2019 წელს მიწათმოქმედების ბაზა საშუალოდ 2.2 ნაკვეთად ფრაგმენტირებული საშუალო 0.78 ჰექტარი მიწაა და, შესაბამისად, საქმიანობის ეფექტიც ძალიან დაბალია.

აგრეთვე, **აღსანიშნავია დასაქმებაში მრეწველობისა და მშენებლობის სექტორის წვლილის შემცირება 1985-1990 წლების დაახლოებით 30 პროცენტიდან 2019 წლის 13 პროცენტამდე.** 1980-იანი წლების მონაცემებიდან ვერ ხერხდება დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის გამოყოფა, თუმცა, დიდი ალბათობით, ამ სექტორის წვლილის შემცირება კიდევ უფრო არსებითია (ბოლო წლებში მშენებლობის ბუმის და შესაბამისად მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა შედარებით დიდი რაოდენობიდან გამომდინარე). ასევე აღსანიშნავია განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სექტორებში დასაქმებულთა წილის არსებითი კლება 20-21 პროცენტიდან 13 პროცენტამდე.

**(იხ. გრაფიკი №7)**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **საქართველოში დასაქმების ასიმეტრიულ სტრუქტურასთან ერთად ძალიან დიდი პრობლემაა შრომის მწარმოებლურობა.** დეტალური სექტორული ანალიზი ძალიან ღრმა კვლევას მოითხოვს და მოსაწყენი იქნება მკითხველისათვის. საკმარისია, განვიხილოთ საშუალოდ ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ არის მომზადებული. ამ მაჩვენებლის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, საქართველო ბოლო ადგილზე არ არის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, მაგრამ არც ლიდერია.

ერთ დასაქმებულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით ლიდერობენ **ლიტვა** და **ესტონეთი,** ხოლო აუტსაიდერები არიან **ტაჯიკეთი** და **ყირგიზეთი.** აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ეს მაჩვენებელი გაანგარიშებულია 2011 წლის აშშ დოლარის მსყიდველუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (ანუ ე.წ. PPP) და ეს არ არის არც აშშ დოლარის გაცვლითი კურსი და არც საერთაშორისო აშშ დოლარი.

**(იხ. გრაფიკი №8)**

აქაც მნიშვნელოვანია ცვლილების ვექტორი. ყველაზე ბოლო პერიოდი, რომელთანაც მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე არსებული მონაცემების შედარება შეიძლება, 1991 წელია. ამ პერიოდისთვის, **როგორც ზემომოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში მაკროეკონომიკური მდგომარეობა უკვე გაუარესებული იყო. ამდენად, ზრდის ცვლილების მასშტაბის შედარებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საწყისი წერტილი წინა წლებთან შედარებით დაბალია და, შესაბამისად, 1988 ან 1985 წელთან შედარებით ცვლილება გაცილებით ნაკლები იქნებოდა.**







ამ მაჩვენებლის მიხედვითაც, 2019 წლის მონაცემებით, საქართველო ბოლო ადგილზე არ არის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, მაგრამ არც ლიდერია, არსებითად ჩამორჩება **სომხეთს, ესტონეთსა** და **ყაზახეთს.** ცვლილების თვალსაზრისით ყველაზე უარესი მდგომარეობა უკრაინასა და ტაჯიკეთშია.

**(იხ. გრაფიკი №9)**

ასეთია სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ძირითადი ვექტორები ბოლო 30 წლის განმავლობაში. მდგომარეობა არათუ არ გაუმჯობესებულა, არამედ გაუარესდა კიდეც. რაც მთავარია, საქართველოში გაჩნდა კონფლიქტის ორი ზონა, რომელთა ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენის შესახებ სიტყვაც არ მითქვამს, მაგრამ ეს პრობლემა უპირველესია ყველა პრობლემათა შორის.

რასაკვირველია, ეს ცვლილებები სულაც არ აკნინებს 1990 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის მნიშვნელობას, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის საფუძველს უდავოდ იძლევა. კერძოდ. იმას, რომ მხოლოდ კეთილშობილური მიზანი წარმატების გარანტია არ არის და თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა შემსრულებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. **წარმატება თითქმის გარანტირებულია, როდესაც კეთილშობილურ მიზანს პროფესიონალი ემსახურება. სამწუხაროდ საქართველოში, 1980-იანების ბოლოს ასეთი თანხვედრა არ მოხდა.**

დასასრულ, მთავარი კითხვა — **ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მერე?!**

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია, თუმცა არა შეუძლებელი. გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ამის თაობაზე მკითხველის შეკითხვებს პასუხი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" 2020 წლის მე-4 ნომერში გავეცი.

საქართველოში, უწინარესად, მომავლის მოდელია შესაქმნელი, ვინაიდან პროექტის გარეშე სახლის აშენება ძალიან არასერიოზული საქმეა. ასევე არასერიოზულია სახლის მშენებლობის დაწყებამდე პირსაბანი ნიჟარის ფერზე თავგადაკლული დისკუსია.

სხვათა შორის, ეკონომიკა ბერძნული სიტყვაა და სახლის მშენებლობას ნიშნავს.

**ნოდარ კაპანაძე,**
**სტატისტიკოსი**

**2018 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოში სულ 17.6 მილიარდი 2010 წლის საერთაშორისო აშშ დოლარი იყო, რაც ერთ სულზე 4721 აშშ დოლარია. როგორც მსოფლიო ბანკის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ეკონომიკაში პრობლემები 1986 წლიდან დაიწყო, თუმცა ეს პრობლემები მეტ-ნაკლებად 1988 წელს მოგვარდა, 1990 წლიდან კი კვლავ დაიწყო, რომელმაც კატასტროფის სახე მიიღო 1992-1993 წლებში. 1995 წლიდან დაიწყო გამოცოცხლება, რომელიც მეტ-ნაკლები წარმატებით დღემდე გრძელდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 1988 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 78 პროცენტია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1988 წლამდე კიდევ 22 პროცენტი გვაკლია**

ვირუსს, შეიძლება ითქვას, რომ ახლა „მიანიჭეს მოქალაქეობა“. აფეთქება ასოცირდება ჩინეთთან, ირანთან, იტალიასთან, თუმცა ცხადია, რომ დაავადების ზონა საზღვრებით არ არის შემოფარგლული იმავე იტალიაში. შეგნება იმისა, რომ არსებობს საზღვარი და საჭიროა მისი დახურვა, უფრო ადრე გაჩნდა, მაგრამ ვირუსის აფეთქება დააჩქარებს ამ პროცესს.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კორონავირუსი ცვლის ადამიანთა ჩვევებსა და ცხოვრებას

**მსოფლიოში სოციოპათია ძლიერდება. ეს არის ავტონომიური არსებობისკენ სწრაფვა. ეპიდემია ამ ტენდენციების მასტიმულირებელია. ამაზე ლაპარაკობენ სოციოლოგები. მათი აზრით, კორონავირუსის გამო ბევრ ქვეყანაში შეიცვლება ცხოვრების ყაიდა.**

თითქმის ყველა წამყვანმა ქვეყანამ დახურა თავისი საზღვრები. მოქალაქეები მკაცრად გააფრთხილეს, თავი შეიკავონ უცხოეთში გამგზავრებისგან და რაც შეიძლება იშვიათად გამოვიდნენ სახლიდან. მართალია, იტალიელებს შეუძლიათ დატოვონ ქვეყანა, მაგრამ მათ მესაზღვრეებს უნდა წარუდგინონ დოკუმენტი გამგზავრების მიზნის შესახებ (მაგალითად, სასწრაფო მივლინება).

საზღვრები ჩაკეტა **აშშ-მა,** აგრეთვე, **რუსეთმა, ევროკავშირმა.** სასაზღვრო კონტროლი აღადგინა მრავალმა ქვეყნამ: **სლოვაკეთმა, ავსტრიამ (იტალიასთან), ესტონეთმა, ნორვეგიამ, კიდევ ბევრმა სხვამ. შენგენის ზონის სახელმწიფოები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ამაყობდნენ შიდა საზღვრების გამჭვირვალეობით, ახლა სასწრაფოდ ემიჯნებიან ერთმანეთს.**

გლობალური ეპიდემიის ფონზე ზოგიერთი მაღალჩინოსანი მაინც პოულობს ოპტიმიზმის საბაბს. ისინი მიიჩნევენ, რომ კორონავირუსი, გარკვეული თვალსაზრისით, არის განათლებისა და ჯანდაცვის სერვისების განვითარების „შესაძლებლობების ფანჯარა“.

**ექსპერტები უკვე წინასწარმეტყველებენ, როგორ შეცვლის პანდემია ცხოვრებას სრულიად მსოფლიოში. მაგალითად, პოლიტოლოგების აზრით, მსოფლიოში რადიკალურად შეიცვლება მიგრაციისადმი დამოკიდებულება. ისინი ამბობენ: „როცა 30 წლის შემდეგ სტუდენტებს შეეკითხებიან, რამ დაასრულა გლობალიზაცია XXI საუკუნის 20-იან წლებში, დადებითი ნიშნის მისაღები პასუხი იქნება: „COVID-19“-მა.**

პოლიტოლოგები, აგრეთვე, წინასწარმეტყველებენ მსოფლიო ეკონომიკის საფუძვლების გადაკეთებას. ისინი შეგვახსენებენ, რომ უკვე დაიწყო მეოთხე სამრეწველო რევოლუცია, რომლის მთავარი თვისება ადამიანის გამოთიშვაა გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან. ამ პროცესებს შეუძლია სოციალური მღელვარების გამოწვევა, მაგრამ პანიკის პირობებში ადამიანები თვითონ გასცემენ იმას, რაც ადრე მათთვის ძვირფასი იყო. ისინი უარს იტყვიან თავიანთ უფლებებზე, დათანხმდებიან გადაადგილებისა და მოხმარების შეზღუდვებზე.

რუსი სოციოლოგი **ალექსეი ფირსოვი** ვარაუდობს, რომ ვირუსი მასტიმულირებელ ზემოქმედებას იქონიებს, თუ შევეცდებით სიტუაციიდან რაღაც დადებითის პოვნას. კორონავირუსის აფეთქება დაიწყებს „ზედმეტის მოშორებას“. კოლოსალური რაოდენობა „ივენთებისა“, ანუ ქსელი სხვადასხვა ღონისძიებისა, რომლებსაც კაცობრიობა ბოლო წლებში მიმართავდა, გამოწვეული იყო რესურსებისა და დროის სიჭარბით, კომპანიის მენეჯმენტის მოჭარბებული აქტიურობისთვის გამოსავლის მისაცემად. აწი შეიძლება ბევრი რამ აღარ მოხდეს, მაგრამ ამით სერიოზულად არაფერი შეიცვლება. როგორც ვცხოვრობდით ამ ფორუმების გარეშე, ისე ვიცხოვრებთ კვლავაც. **რაც შეეხება საყოველთაო ციფრიზაციას, საეჭვოა, რომ მან ამ მომენტში სრულიად გამორიცხოს ადამიანური ურთიერთქმედების აუცილებლობა.**

**შეუძლია თუ არა ონლაინთათბირებსა და კონფერენციებს, მთლიანად გააქროს პირისპირ შეხვედრები? არა, ეს არ მოხდება. ადამიანებს სჭირდებათ ფიზიკური ყოფნის შეგრძნება. არის რიგი მომენტებისა, რომლებიც შესამჩნევია მიკროდონეზე და ვერ ვხედავთ ონლაინფორმატში. ეს არის ნდობის საკითხი, აგრეთვე, სამუშაო დროის უფრო მოქნილი მართვა. შემდეგ — ადამიანის შეგნება, პრინციპში, კონსერვატიული, ეჩვევა გარკვეულ ფორმატებს. მას სჭირდება ტრიგერები (მოვლენა, რომელიც პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ადამიანში იწვევს ფსიქოლოგიური ტრავმის ხელახლა განცდას) ცვლილებებისთვის.** კორონავირუსი რომ არა, ჩვენ განვაგრძობდით ჩვეულ მოქმედებებს, ნაწილობრივ უკვე უაზროს მათ, რომლებიც უკვე დიდი ხნის წინათ უნდა გადაგვეტანა ციფრულ პლატფორმებზე. **ნებისმიერი კრიზისი იწვევს სტიმულირებას იმ პროცესებისა, რომლებიც უკვე მომწიფდა საზოგადოებაში. მაგალითად, პროდუქტის შინ მიტანა მოსახერხებელი პრაქტიკაა, მაგრამ ადამიანები მაინც ივლიან მაღაზიებში. ვირუსი სტიმულს მისცემს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, გამოიყენოს ციფრული პლატფორმები პროდუქტების შესაკვეთად, შემდეგ ეს, ალბათ, ჩვეულებად იქცევა. ანალოგიური რამ მოხდება ონლაინფორმატის თათბირებისა და ჩვენი ცხოვრების სხვა ელემენტების შემთხვევაშიც.**

მაგრამ მხოლოდ ვირუსი არასაკმარისია ქცევის გრძელვადიანი მოდელის შესაქმნელად. კორონავირუსი და მასთან დაკავშირებული პანიკა, ადრე თუ გვიან, გაივლის. შექმნიან ვაქცინას, გამომუშავდება იმუნიტეტი. კაცობრიობას მოკლე ისტორიული მეხსიერება აქვს და ის სულ უფრო მოკლე ხდება, რადგან მატულობს ცვლილებების სიჩქარე.

ამიტომ ისეთი არაფერი მოხდება, რომ ყველა ადამიანი წავიდეს სოციოპათიაში, დიდი ხნით ჩაიკეტოს სახლში.

ახლაც კი იტალიაში, სადაც თითქმის კომენდანტის საათია შემოღებული, დღისით ქალაქები ცხოვრობენ, ადამიანები ურთიერთობენ. ადამიანები ბოლო მომენტამდე, ჩვეულებრივ, ბარებსა და კაფეებში ისხდნენ, მაგრამ სტრესულ პერიოდში მათი ქცევა შეიცვლება. ჩვენ შეიძლება მოგვიწიოს თვითიზოლაციაში ყოფნა, მაგრამ შემდეგ ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდებით.

სხვა საქმეა, რომ მსოფლიოში სოციოფობიის ტენდენცია ვირუსისგან დამოუკიდებლად ძლიერდება. ფართოვდება ონლაინსერვისების მომსახურებაც. საერთო ჯამში, ეს არის ტენდენცია, მისწრაფება ავტონომიური არსებობისკენ. ამ ტენდენციებს სტიმულს მისცემს ეპიდემია.

ეს ეხება ხელოვნური ინტელექტის ძალაუფლების გაფართოებასაც. დიახ, ჩვენ სულ უფრო მეტ ფუნქციას ვანდობთ რობოტებს, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ორი თვის შემდეგ სხვა სამყაროში გავიღვიძებთ. არის მხოლოდ მიმართულებები, რომლებისკენაც მოძრაობს მსოფლიო.

**თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ კორონავირუსი ბოლოს მოუღებს გლობალიზაციას, ბოლო წლებში ჩვენ სხვა შეზღუდვებსაც ვხედავდით. წარმოიშვა ინტერესი ლოკალური ბრენდების მიმართ, ცხოვრების ლოკალიზაციისადმი, ტრადიციული კულტურებისკენ დაბრუნებისადმი. ეს დამახასიათებელია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ შეიძლება ვნახოთ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიასა და გერმანიაშიც.**

ვირუსს, შეიძლება ითქვას, რომ ახლა „მიანიჭეს მოქალაქეობა“. აფეთქება ასოცირდება ჩინეთთან, ირანთან, იტალიასთან, თუმცა ცხადია, რომ დაავადების ზონა საზღვრებით არ არის შემოფარგლული იმავე იტალიაში. მოგონება იმის შესახებ, რომ არსებობს საზღვარი და საჭიროა მისი დახურვა, უფრო ადრე გაჩნდა, მაგრამ ვირუსის აფეთქებამ დააჩქარა ეს პროცესი.

**არსებობს თვალსაზრისი, რომ ვირუსი შეცვლის ძალების განლაგებას მსოფლიო ეკონომიკაში. ჩინეთი აღარ იქნება მსოფლიო ფაბრიკა, რადგან სხვა ქვეყნებს ეშინიათ, ძალიან არ იყვნენ დამოკიდებული ჩინურ წარმოებაზე.**

თუ ეპიდემია არ მიიღებს შუასაუკუნეობრივი „შავი სიკვდილის“ სახეს, როცა ევროპის მოსახლეობის მეოთხედი დაიღუპა ჭირისგან, ძალთა განლაგების სწრაფ ცვლილებას არ უნდა ველოდოთ. ჩინეთი ამჟამად ცდილობს, სწრაფად აღიდგინოს პოზიციები, თუკი, რა თქმა უნდა, ვირწმუნებთ მის ოფიციალურ სტატისტიკას. ფაქტია, რომ უჰანში, როგორც ცნობილია, უკვე დახურეს კორპუსები, რომლებშიც ინფიცირებულები ჰყავდათ მოთავსებული. საზოგადოების მობილიზებული მოდელის მეშვეობით, რომლის მსგავსიც ევროპას არ ჰყავს, ჩინეთი საკმაოდ ეფექტიანად უმკლავდება კრიზისს. სხვა საქმეა, რომ ეს ქვეყანა, ასე თუ ისე, კარგავს მსოფლიო ფაბრიკის სტატუსს.

წარმოება ჩინეთიდან გადადის ინდოეთში, ვიეტნამსა და სხვა ქვეყნებში, რომლებშიც უფრო იაფი მუშახელია. ინვესტორების გადასვლა იქ, სადაც იაფი მუშახელია, რადგან სარფიანი პირობებია, ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მისი მძლავრი მატერიალური ბაზით არის გრძელვადიანი მოთამაშე და საეჭვოა, რამემ შეარყიოს მისი პოზიციები.

მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძე



**საზღვრები ჩაკეტა აშშ-მა, აგრეთვე, რუსეთმა, ევროკავშირმა. სასაზღვრო კონტროლი აღადგინა მრავალმა ქვეყნამ: სლოვაკეთმა, ავსტრიამ (იტალიასთან), ესტონეთმა, ნორვეგიამ; კიდევ სხვებმა. შენგენის ზონის სახელმწიფოები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ამაყობდნენ შიდა საზღვრების გამჭვირვალობით, ახლა სასწრაფოდ ემიჯნებიან ერთმანეთს**




**სხვა საქმეა, რომ მსოფლიოში სოციოფობიის ტენდენცია ვირუსისგან დამოუკიდებლად ძლიერდება. ფართოვდება ონლაინსერვისების მომსახურებაც. საერთო ჯამში, ეს არის ტენდენცია, მისწრაფება ავტონომიური არსებობისკენ. ამ ტენდენციებს სტიმული მისცა ეპიდემიამ. ეს ეხება ხელოვნური ინტელექტის ძალაუფლების გაფართოებასაც**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ შენი მამის საწოლის თავზე ჩამოკიდებულ სტალინის სურათს, რომელზეც 30 წელიწადი ლოცულობდა ბრძოლებში ფეხდაკარგული მამაშენი, ილეწ და დედის თვალწინ ანადგურებ, მაშინ ხომ იმ მამის შვილი არ ხარ?! შენ ხომ იმ უპატიოსნესი ქალბატონის შვილი არ ხარ, რომელიც გარდაცვლილი ქმრის სურათის გვერდით სტალინის სურათსაც ისევე წმენდდა და ეფერებოდა, როგორც აწ გარდაცვლილი მეუღლის ფოტოს?! ფუი, შენს კაცობას!**

დასასრული. დასაწყისი იხ. №10, 2020 წ.

# სტალინი და სტალინგრადი



**1943 წლის 2 თებერვლიდან 1945 წლის პოტსდამის კონფერენციამდე განვლილი პერიოდი — ეს არის სტალინური ბრძნული დიპლომატიის ჯადოსნური რგოლები, რომლებში ბულდოგივით გაწვრთნილი უინსტონ ჩერჩილი ხშირად, დიდად პატივცემული თეოდორ რუზველტი კი იშვიათად, მაგრამ მაინც გადამხტარა თავისი პოლიომიელიტიანი ფეხებით**



**თავს უფლებას მივცემ, კიდევ ერთხელ აღვნიშნო „სტალინიანას“ აღორძინება, რომელიც არ იძლევა შედეგს არათუ სტალინის ფენომენის შესასწავლად, არამედ პირიქით — მუცლით მეზღაპრე ისტორიკოსებისგან „შესწავლილი ფაქტებით“ ცდილობენ, შექმნან სრულიად ახალი წარმოდგენა ჩვენს უახლოეს წარსულსა და იმ პიროვნებაზე, რომლის ნამდვილი ადგილი და მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში თუ ცივილიზაციის გადარჩენაში კაცობრიობას ჯერ ვერ გაურკვევია.**

სტალინის ადამიანური თუ ინტელექტუალური პარამეტრები გაცილებით აღემატება არა მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანის, არამედ გენიოსებად აღიარებულთა პარამეტრებს, თუნდაც **ალბერტ აინშტაინის.**

გენიოსი ათეულობით გამორჩეულ ნიშან-თვისებას უნდა ფლობდეს, რომ ის გენიოსად აღიარონ. სტალინი ფიზიკოსი არ იყო, მაგრამ იმ მასშტაბის გათვალისწინებით, რომელსაც განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს მიაწერენ, სტალინი ათი თავით მაღლა დგას ნებისმიერ გენიოსზე.

„მზე ხელისგულით ვერ დაიფარებაო,“ — ნათქვამია. სტალინი ის სიდიდეა, რომელსაც, ბუნების გარდა, ვერაფერი გადაფარავს, თუ, რა თქმა უნდა, ბუნებამ დანაშაულად არ ჩაუთვალა ის, რომ სტალინმა რამდენჯერმე შეუშალა ხელი ბუნების ჭირვეულობას და ის ხალხის სამსახურში ჩააყენა.

რაც შეეხება ომს, სტალინი ომის ღმერთია, თუმცა თვითონ სტალინმა თქვა, არტილერია ომის ღმერთიაო. სტალინი და **ჰიტლერი** არ არიან არც თანამედროვე და არც უახლესი ისტორიის რიგითი ბელადები, მათში აკუმულირებული იყო ბუნებრივი თუ ზეადამიანური ძალები, რომლებსაც ადამიანმა გაჩენის დღიდან სახელები გამოუნახა: „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, „კეთილი“ და „ბოროტი“. რით შეიცნობა „სიკვდილი“? — შედეგით, „სიცოცხლე?“ — ასევე შედეგით. „სიკვდილის შედეგი“ დასასრულია, „სიცოცხლის შედეგი“, მიუხედავად თავისი ზიგზაგებისა, მაინც არ არის დასასრული.

**„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.** ჩავთვალოთ, რომ სიკვდილის სიძლიერეს ანალოგი არ მოეპოვება, მაგრამ ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ სიცოცხლე გრძელდება. **„მე ადამიანს ვათავისუფლებ,** —ამბობდა ჰიტლერი, — **დამამცირებელი ქიმერისაგან, რომელსაც სინდისი ეწოდება. სინდისი, ისევე, როგორც განათლება, ამახინჯებს ადამიანს. მე ის უპირატესობა მაქვს, რომ ვერ მაკავებს თეორიული თუ მორალური ხასიათის მოსაზრებები“.**

„გიბრძანებთ, ტყვია დაუშინოთ ყოველ რუსს, როგორც კი გამოჩნდება 600 მეტრის მანძილზე. რუსმა უნდა იცოდეს, რომ მის წინააღმდეგ იბრძვის მტკიცე მტერი, რომლისგანაც არ უნდა ელოდოს ლმობიერებას“.

„შენ გული და ნერვები არ გაქვს, ომში ისინი არ გჭირდება. ჩაიკალი ლმობიერებისა და სიბრალულის განცდა, მოკალი ყოველი რუსი, საბჭოელი, ნუ მოერიდები, თუ შენ წინ იქნება მოხუცი ან ქალი, გოგო ან ბიჭი — მოკალი და ამით თავს გადაირჩენ დაღუპვისგან, უზრუნველყოფ შენი ოჯახის მომავალს და საუკუნოდ მოიხვეჭ სახელს“.

მკითხველი მიხვდება, რომ ეს არის სიკვდილის ფილოსოფია, სწორედ ამაზე იდგა ფაშიზმი. ეს ხვედრი ელოდებოდა მსოფლიოს. ახლა ვნახოთ, რას ამბობს სტალინი 1945 წლის მარტში ჩეხოსლოვაკიის დელეგაციასთან შეხვედრისას:

**„მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურ შეფასებაში. გერმანელები დიადი ერია, ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან, დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია, ისინი დარჩებიან“,** — ეს კი კეთილი, სიცოცხლის მიუკერძოებლობის, ადამიანის მორალური კოდექსის ძირითადი კანონია.

ერთხელ უმცროსმა მეგობარმა მიამბო:

„ჩვენს ჯგუფში ანცი ბიჭი იყო, ჭკვიანი და მოხერხებული, საგნებს არ სწავლობდა. ფიზიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა უთხრა, იქნებ ყველაზე იოლ კითხვაზე მაინც მიპასუხო, ნიშანი რომ დაგიწეროო. მიპასუხე, რა არის ომის კანონიო? მოსწავლემ დაუფიქრებლად უპასუხა: „თუ არ მოკალი, შენ მოგკლავენ“. მასწავლებელი სახტად დარჩა და უთხრა, — პასუხი სწორია, მაგრამ სხვა საგანშიო“.

ისტორიკოსს, მწერალს, რიგით მოქალაქეს, სამზარეულოში მოფუსფუსე დიასახლისს თუ ქუჩაში მოხეტიალე ადამიანს სრულიად დაუფიქრებლად შეუძლია თქვას: სტალინი და ჰიტლერი ერთნაირები არიან, ფაშიზმი და კომუნისტური პარტია კი — ტყუპისცალები. ამ შემთხვევაში შენ, ვინც უნდა იყო, არ წაგიკითხავს არაფერი, ზღაპრებიც კი, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ. შენ მონა ხარ, სხვის დაკრულზე რომ ცეკვავ. **თუ შენი მამის საწოლის თავზე ჩამოკიდებულ სტალინის სურათს, რომელზეც 30 წელიწადი ლოცულობდა ბრძოლებში ფეხდაკარგული მამაშენი, ილეწ და დედის თვალწინ ანადგურებ, მაშინ ხომ იმ მამის შვილი არ ხარ?! შენ ხომ იმ უპატიოსნესი ქალბატონის შვილი არ ხარ, რომელიც გარდაცვლილი ქმრის სურათის გვერდით სტალინის სურათსაც ისევე წმენდდა და ეფერებოდა, როგორც აწ გარდაცვლილი მეუღლის ფოტოს?! ფუი, შენს კაცობას!**

ზოგიერი ვაიისტორიკოსი თავის ნაჯღაბნებში ამტკიცებს, საბჭოთა კავშირმა ომი წარუმატებლად დაიწყოო და ხაზს არ უსვამს მოულოდნელი თავდასხმის ფაქტორს.

ისტორიულ მასალებში, რომლებიც ახლახან გამომზეურდა, როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა არქივიდან, მინიშნებულია, რომ ისეთი გმირული წინააღმდეგობა, როგორიც საბჭოთა არმიამ 1941 წლის 22 ივნისს გაუწია მომხდურ ფაშისტებს, მსოფლიო ომების ისტორიაში არ არის აღწერილი.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირი აწარმოებდა თავდაცვით ომს, რადგან 22 ივნისს დილის 4 საათზე ქვეყანას თავს დაესხა მსოფლიოში ყველაზე ორგანიზებული და მაღალი კვალიფიკაციის არმია, რომელიც შეიარაღებული იყო უმაღლესი ხარისხის საბრძოლო ტექნიკით. მიუხედავად თავდატეხილი უბედურებისა, საბჭოთა კავშირი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა უძლიერეს მოწინააღმდეგეს.

1941 წელს მოვიგეთ გადამწყვეტი ბრძოლა მოსკოვთან, რომლის მსგავსიც მსოფლიო ომების ისტორიას არ ახსოვს. 1942 წელს წელში გავტეხეთ სიკვდილის მანქანა და 1943 წლის დასაწყისში გერმანელების მზე ჩავასვენეთ სტალინგრადთან.

1943 წლის 2 თებერვლიდან 1945 წლის პოტსდამის კონფერენციამდე განვლილი პერიოდი — ეს არის სტალინური ბრძნული დიპლომატიის ჯადოსნური რგოლები, რომლებშიც ბულდოგივით გაწვრთნილი უინსტონ ჩერჩილი ხშირად, დიდად პატივცემული თეოდორ რუზველტი კი იშვიათად, მაგრამ მაინც გადამხტარა თავისი პოლიომიელიტიანი ფეხებით.

სტალინგრადის ბრძოლა 1942 წლის 17 ივლისს დაიწყო და 1943 წლის 2 თებერვალს ფელდმარშალ პაულიუსისა და 300 000-იანი არმიის დატყვევებით დასრულდა.

**სტალინგრადის ბრძოლა ორ პერიოდად იყოფა — თავდაცვით და შეტევით პერიოდებად.** თავდაცვა დაიწყო 17 ივლისს და გაგრძელდა 18 ნოემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში **ჟუკოვმა** და **ვასილევსკიმ** რამდენიმეჯერ მიმართეს სტალინს, ნებართვა მიეცა შეტევაზე გადასულიყვნენ, მაგრამ სტალინმა სარდლები თავისთან მიიწვია და გეგმის დაზუსტება მოსთხოვა. სტალინგრადის ფრონტის ოპერატიულ რუკაზე იმდენი ხაზი ჰქონდა გავლებული, რომ ვერაფრით გაარკვევდით, რომელი პირველი იყო, რომელი ბოლო და რომელი რაზე მიანიშნებდა, მაგრამ თვითონ სტალინი ყველაფერს შესანიშნავად ხედავდა და რუკას შეგნებულად არ აახლებდა.

1942 წლის 18 ნოემბერს ჟუკოვი ტელეფონით დაუკავშირდა სტალინს და მოახსენა, რომ მთავარსარდლის ბრძანების შესაბამისად, დონის ფრონტი შეტევაზე გადადის 19 ნოემბერს, ხოლო სტალინგრადის ფრონტი ბრძოლებში 20 ნოემბერს ჩაერთვება.

1942 წელს, რომელსაც ზოგიერი ვაიისტორიკოსი ტრაგიკულ წელს უწოდებს, წითელმა არმიამ გაანადგურა 5 სხვადახვა ქვეყნის შეიარაღებული ძალები: ორი გერმანული, 2 რუმინული და ერთიც იტალიური არმია. ნაცისტურმა გერმანიამ მოკლულთა და ტყვედ აყვანილთა სახით მილიონამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა, ამასთან ერთად, გერმანელებმა დაკარგეს უამრავი სამხედრო იარაღი და ტექნიკა.

ომი მიმდინარეობდა 100 000 კვ.კმ ფართობზე, ფრონტის სიგრძე კი 800 კილომეტრს აღწევდა. სტალინგრადის ეპოპეა საბჭოელთა ტრიუმფით დასრულდა. სტალინგრადთან წითელი არმიის გამარჯვებას ზეიმობდა მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა. გერმანელი ხალხიც, რომელიც ფაშიზმისაგან გახიზნული სხვა ქვეყნებში აღნიშნავდა საბჭოთა არმიელებისა და ხალხის გმირულ შემართებას. სართო გათვლებით, ომისგან მიყენებულმა ზარალმა სტალინგრადში 9 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. მთელი ქალაქი ბათქაშისა და რკინა-ბეტონის მთებში იყო მოქცეული.

სპეციალისტების გაანგარიშებით, დანგრეული სტალინგრადის ნანგრევებისაგან გაწმენდა იმდენივე ჯდებოდა, რამდენიც ვოლგის ნაპირზე, ცარიელ ადგილას ასეთივე ქალაქის აშენება.

**სტალინს ურჩიეს, დანგრეული სტალინგრადი შემოფარგლული ყოფილიყო კაპიტალური კედლით და გადაქცეულიყო ომის ისტორიულ მუზეუმად. სტალინმა პასუხის გაცემას თავი აარიდა. სტალინგრადის მომავლის ბედი სტალინგრადელებმაც შეიტყვეს და ქალაქის ოდნავ გასუფთავებულ ადგილზე შეიკრიბნენ, მათ კატეგორიული უარი განაცხადეს ქალაქის მიტოვებაზე. თქვეს, რომ დღესა და ღამეს გაათენებდნენ ნანგრევებისგან ქალაქის გასასუფთავებლად. სტალინგრადელთა სურვილს სტალინმაც დაუჭირა მხარი და განაცხადა: „სტალინგრადი იქ უნდა აშენდეს, სადაც იყო“. ასე გამოცხადდა სტალინგრადი საერთო-სახალხო მშენებლობად.**

უახლესი ისტორიისა და, კერძოდ, დიდ სამამულო ომზე შექმნილ ფუნდამენტურ კვლევებს შორის გამოი- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სტალინგრადთან წითელი არმიის კონტრშეტევით ბრძოლებში თავი გამოიჩინეს: საბჭოთა კავშირის გმირმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ნანეიშვილმა; გენერალ-მაიორმა (შემდგომში გენერალ-პოლკოვნიკმა), საბჭოთა კავშირის გმირმა პორფილე ჩანჩიბაძემ; სტალინგრადის საჰაერო ჯარების სარდლის მოადგილემ, 76-ე მსროლელი დივიზიის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ თავართქილაძემ; გენერალ-მაიორმა კირილე ჯახუამ; დივიზიის მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა კალაძემ.

რჩევა მეცნიერის, ისტორიკოსის, პროფესორ **ავთანდილ დიასამიძის,** ღრმა შინაარსიანი და დოკუმენტური მასალა, რომელიც ხშირად ქვეყნდება როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიაში. დაწერო სტალინგრადის გმირულ ბრძოლებზე და არ გაიხსენო ავთანდილ დიასამიძის შრომის შედეგი, არ მიაწოდო იგი მკითხველს, როგორც შეუდარებელი მასალა ქართველი გმირების შესახებ, რომლებიც ავთანდილ დიასამიძემ გააცოცხლა, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ამიტომ გაზეთის დღევანდელი ნომერი ბევრი ოჯახისა და გვარის წარმომადგენელს გაახარებს მონათხრობი ამბით. აი ისიც:

„დასრულდა მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა. სტალინგრადის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. სტალინგრადთან გამარჯვებით დაიწყო ძირეული გარდატეხა არა მხოლოდ დიდ სამამულო ომში, არამედ მეორე მსოფლიო ომში. სტალინგრადის ბრძოლა საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ხალხთა დიადი გმირობა იყო.

სტალინგრადის სახელოვან გმირთა შორის ბევრია ქართველი ხალხის მამაცი შვილის სახელიც.

სტალინგრადთან წითელი არმიის კონტრშეტევით ბრძოლებში თავი გამოიჩინეს: საბჭოთა კავშირის გმირმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა **ვლადიმერ ნანეიშვილმა;** გენერალ-მაიორმა (შემდგომში გენერალ-პოლკოვნიკმა), საბჭოთა კავშირის გმირმა **პორფილე ჩანჩიბაძემ;** სტალინგრადის საჰაერო ჯარების სარდლის მოადგილემ, 76-ე მსროლელი დივიზიის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა **ნიკოლოზ თავართქილაძემ;** გენერალ-მაიორმა **კირილე ჯახუამ;** დივიზიის მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა **კალაძემ.** სტალინგრადის დიად ისტორიულ ბრძოლებში სხვადასხვა საჯარისო შენაერთებისა და ნაწილების უნარიანი მეთაურობით თავი გამოიჩინეს: **გ. გოცირიძემ, ი. ჟორჟაძემ, მ. დიასამიძემ, გ. კუხალაშვილმა, ხ. ხარაზიამ, შ. ჭანკოტაძემ, გ. ჩიტაიშვილმა, ლ. ერისთავმა** და სხვებმა. სტალინგრადის გმირულ ეპოპეაში მრავალმა ჩვენმა თანამემამულემ თავდადებისა და გმირობის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა, მათგან, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მფრინავი **ჭიჭიკო ბენდელიანი.** სტალინგრადის ბრძოლების დასაწყისში ჭიჭიკო ბენდელიანი დანიშნეს 43-ე საავიაციო გამანადგურებელი პოლკის შტურმანად. თავისი საბრძოლო გმირობით მან აღაფრთოვანა ხელქვეითები და პირადი მაგალითი უჩვენა მათ ყველაზე საპასუხისმგებლო დავალებების შესასრულებლად. ჭიჭიკო ბენდელიანს არ აშინებდა მტრის სიჭარბე და ყოველთვის პირველი მიდიოდა იერიშზე. ჯერ კიდევ სტალინგრადისათვის წარმოებულ თავდაცვით ბრძოლებში (1942 წლის სექტემბერში) „იაკ-1“ ტიპის თვითმფრინავით მან საჰაერო ბრძოლა გაუმართა 8 გერმანელ ასს. ბრძოლა 25 წუთს გაგრძელდა, რომლის დროსაც მტრის 2 თვითმფრინავი „მესერშმიტ-109“ მიწას დაენარცხა. **სტალინგრადისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებზე ჭიჭიკო ბენდელიანმა სულ 385 საბრძოლო გაფრენა განახორციელა. 72 საჰაერო ბრძოლაში ბენდელიანმა პირადად ჩამოაგდო მტრის სამი „მესერშმიტ-109“, ერთი „მესერშმიტ-110“, ერთი „ფოკე ვულფ-198“, ორი „იუნკერს-52“, ხოლო ჯგუფურ ბრძოლებში სხვებთან ერთად ჩამოაგდო ფაშისტთა 12 თვითმფრინავი. აღსანიშნავია, რომ, ამის გარდა, ჭიჭიკო ბენდელიანმა ოთხჯერ მიიტანა იერიში მტრის აეროდრომებზე და მიწაზევე გაანადგურა „მესერშმიტ-111“, „იუნკერს-52“-ისა და „მე-109“-ის ტიპის სამი თვითმფრინავი.** სტალინგრადისთვის როგორც თავდაცვით, ისე კონტრშეტევით ბრძოლებში დიდი აღიარება და დიდება მოიპოვა 1378-ე მსროლელი პოლკის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა **მიხეილ დიასამიძემ,** რომელმაც თავი გამოიჩინა პირადი მამაცობითა და გმირობით. 1942 წლის 27 დეკემბრის მოწინავე წერილში გაზეთი „პრავდა“ წერდა: „პოდპოლკოვნიკმა დიასამიძემ, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, გამოიჩინა არა მხოლოდ პირადი მამაცობა და გმირობა, არამედ დახელოვნებული მხედართმთავრის ნამდვილი ოსტატობაც. მისი მეთაურობით მსროლელი პოლკი 5 დღე-ღამის განმავლობაში მოწინააღმდეგის გაცილებით ჭარბი ძალების 30 კონტრიერიშს გაუმკლავდა. პოლკის საბრძოლო რიგებს გერმანელებმა რამდენიმე ათასი ბომბი დააყარეს, განუწყვეტლივ უშენდა მას ჭურვებსა და ნაღმებს არტილერია და ნაღმსატყორცნები. ყველა იერიში მოგერიებული იქნა. პოლკმა მოსპო 40 ტანკი და მტრის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი“. სიკვდილის გზად გადააქცია დიასამიძემ გერმანელთა ბატალიონების გზა, ცეცხლმოდებული ტანკებით, როგორც ჩირაღდნებით, გააშუქა იგი. მიხეილ დიასამიძისა და მისი მეომრების გმირულმა ბრძოლამ შეაჩერა მოწინააღმდეგე, რომელიც 19 დეკემბერს მე-5 დამკვრელური არმიის მიერ უკუგდებულ იქნა კოტელნიკოვიდან. ვერხნეკუმსკის რაიონში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში სარდლობის დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის, გმირობისათვის, მისდამი დაქვემდებარებული ნაწილის უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის მიხეილ დიასამიძეს 1942 წლის 22 დეკემბერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. სტალინგრადის გმირ მებრძოლთა შორის ბევრია ქართველი. მათ შორის არიან: **ა. ანტიშვილი, ა. გვასალია, გ. გორდაძე, ა. დავითაძე, მ. ზედგენიძე, გ. იგურიძე, ი. კალანდაძე, ვ. კაზაშვილი, შ. კალამაშვილი, ვ. კაკაბაძე, ნ. კაპანაძე, ი. ლობჟანიძე, ი. მარგველაშვილი, ა. მჭედლიშვილი, გ. მექვაბიშვილი, ი. მაისაშვილი, ვ. მამალაძე, ა. ნანობაშვილი, ა. სუხიაშვილი, ი. ოქრუაშვილი, ვ. სამხარაძე, პ. საბანაძე, კ. უსენაშვილი, ბ. უზარიაშვილი, რ. ფხოველიშვილი, ნ. ქურიძე, ა. ქარდავა, რ. შავერდაშვილი, ა.ჩიქვილაძე, ვ. ჩხარტიშვილი, ი. ცირეკიძე, გ. ხიდაშელი, მ. ჯეირანაშვილი, ა. გავერდაშვილი, მ. უზნაძე, მ. ბერიანიძე, ლ. ალმანიძე, ვ. ბერულავა, ს. გუნია, ა. გოგორიშვილი, ტ. ერისთავი, ი. ძნელაძე, ი. ჩიკვაიძე, ნ. მენდალიშვილი, ვ. მღვდლიშვილი, ა. ჩიგოგიძე, ვ. მგალობლიშვილი, ა. ბერძენიშვილი, პ. კიზივაძე, ნ. აბრამიშვილი, ი. გვენცაძე, გ. ბუჩიძე, ვ. ლეჟავა, დ. თავაძე, გ. თვაური, ვ. ჩოჩიევი, გ. კუხალაშვილი, გ. პატარაძე, ა. ქასრაშვილი, ლ. აბაზაძე, გ. ჩიტაიშვილი, ლ. ერისთავი, ლ. ჯავახიშვილი, ს. ჩარკვიანი, შ. სულხანიშვილი, შ. ყავრიშვილი, შ. პაატაშვილი, გ. გოგიშვილი, გ. ცერცვაძე, ლ. ოსიკაშვილი, დ. მგელაძე, შ. ზედელაშვილი, ა. გოგიბერიძე, შ. ქურიძე, ზ. ხიტალაშვილი, ა. კილასონია, ნ. მინდელი, ნ. მიქელაძე, ა. გონგაძე, შ. ერქომაიშვილი, მ. ლომიძე, გ. ჭაბაშვილი, გ. სვანიძე . ტ. იჩქიტიძე და სხვ.**



ჭიჭიკო ბენდელიანი



მიხეილ დიასამიძე

**სტალინს ურჩიეს, დანგრეული სტალინგრადი შემოფარგლული ყოფილიყო კაპიტალური კედლით და გადაქცეულიყო ომის ისტორიულ მუზეუმად. სტალინმა პასუხის გაცემას თავი აარიდა. სტალინგრადის მომავლის ბედი სტალინგრადელებმაც შეიტყვეს და ქალაქის ოდნავ გასუფთავებულ ადგილზე შეიკრიბნენ, მათ კატეგორიული უარი განაცხადეს ქალაქის მიტოვებაზე. თქვეს, რომ დღესა და ღამეს გაასწორებდნენ ნანგრევებისგან ქალაქის გასასუფთავებლად. სტალინგრადელთა სურვილს სტალინმაც დაუჭირა მხარი და განაცხადა: «სტალინგრადი იქ უნდა აშენდეს, სადაც იყო». ასე გამოცხადდა სტალინგრადი საერთო-სახალხო მშენებლობად**

**მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირი აწარმოებდა თავდაცვით ომს, რადგან 22 ივნისს დილის 4 საათზე ქვეყანას თავს დაესხა მსოფლიოში ყველაზე ორგანიზებული და მაღალი კვალიფიკაციის არმია, რომელიც შეიარაღებული იყო უმაღლესი ხარისხის საბრძოლო ტექნიკით. მიუხედავად თავსდატეხილი უბედურებისა, საბჭოთა კავშირი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა უძლიერეს მტერს**



ევროსოლიდარობის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ინგრევა არა მხოლოდ გლობალიზაცია, — აღნიშნავს „ჯორნალე“, — სენმა დაარტყა ლიბერალიზმს, რომლის ყველა წარმატება მყისვე გაცამტვერდა. უოლტ-სტრიტი შეპყრობილია უპრეცედენტო კრიზისით. რამდენიმე ასეული მილიარდი ევრო აორთქლდა ბირჟის მხოლოდ ერთი დღით მუშაობისას. ფინანსებისადმი რწმენა მიინავლა. ევროკავშირი რამდენიმე კვირის განმავლობაში გაქრა, როცა ზურგი შეაქცია ყველას, ვისაც დახმარება სჭირდებოდა“.**

# ევროპული სოლიდარობის ფარსი და მიტოვებული, მაგრამ მაინც ოპტიმისტი იტალიელები

**„კორონავირუსმა გამოააშკარავა ფარისევლობა. აი ევროპის ჭეშმარიტი სახე“, ამ სათაურით დაბეჭდა იტალიურმა გაზეთმა „ჯორნალემ“ სტატია, რომელშიც საყვედურობს ევროკავშირს იმის გამო, რომ ზურგი აქცია ეპიდემიის მსხვერპლად ქცეულ იტალიას.**

„ევროკავშირის ნამდვილი მტერი, წერს გაზეთი, თვითონ ევროკავშირი აღმოჩნდა, რომელიც სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ისე დაიშალა, თითქოს არასოდეს არსებულა. წლების განმავლობაში გვარწმუნებდნენ, რომ ერთიანი ევროპა ჩვენი ნამდვილი მიზანია; რომ ბრექსიტი ღალატის სიმბოლოა; რომ ჩვენი გაბრწყინებული მომავალი ეს არის ბრიუსელი; რომ ევროპის ლიდერები არიან ისინი, ვინც სხედან პარიზსა და ბერლინში და იციან, როგორ იაროს გაერთიანებულმა ევროპამ ნათელი მომავლისკენ. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა განგაშის მხოლოდ რამდენიმე დღე, რომ ევროპული კონსტრუქციის ყველაზე გულმხურვალე მხარდამჭერებმა ყველანაირი რწმენა დაკარგეს. **ევროკავშირში არავინ გამოხმაურებია თხოვნა-მუდარას ფილტვების ვენტილაციის ახალი აპარატების გადაცემის შესახებ; არავის გამოუგზავნია მედიკოსები და სანიტრები დასახმარებლად; არავის უფიქრია, ებრძანებინა თავიანთი „ინვესტორებისთვის“, შეეწყვიტათ სპეკულაციები ბირჟებზე, რომლებიც ჩამოიშალა და მტკივნეულად დაარტყა იტალიის სტრატეგიულ რეზერვს. ჩაკეტილი საზღვრები, გაჩერებული ქარხნები, უპასუხო სატელეფონო თხოვნები...“.**

„ინგრევა არა მხოლოდ გლობალიზაცია, აღნიშნავს „ჯორნალე“, — სენმა დაარტყა ლიბერალიზმს, რომლის ყველა წარმატება მყისვე გაცამტვერდა. უოლტ-სტრიტი შეპყრობილია უპრეცედენტო კრიზისით. რამდენიმე ასეული მილიარდი ევრო აორთქლდა ბირჟის მხოლოდ ერთი დღით მუშაობისას. ფინანსებისადმი რწმენა მიინავლა. ევროპა რამდენიმე კვირის განმავლობაში გაქრა, როცა ზურგი შეაქცია ყველას, ვისაც დახმარება სჭირდებოდა“.

**იტალია ევროპაში პანდემიის მთავარი მსხვერპლია. ინფიცირებულთა რაოდენობა 50 ათასს მიუახლოვდა, მოიმატა სასიკვდილო შემთხვევების რაოდენობამ, მაგრამ ევროპული სოლიდარობის ნაცვლად ევროკავშირელმა მეზობლებმა იტალიას საზღვრები ჩაუკეტეს, ისევე, როგორც მანამდე ეს გააკეთეს ავსტრიამ და სლოვენიამ.**

დღეს ნიღბების წარმოების 90% ჩინეთზე მოდის და გაირკვა, რომ ევროპაში დამცავი საშუალებების მწვავე ნაკლებობაა. როგორც განაცხადა **ალბერტო საპაშანიმ**, იტალიის არმიისთვის აირწინაღებისა და დამცავი სათვალეების მწარმოებელი ფირმის წარმომადგენელმა, მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა შეეკრიბა დამცავი საშუალებების მწარმოებლები, რათა დაეწყოთ ნიღბების გამოშვება ხელმისაწვდომ ფასში, აგრეთვე, დახმარებოდა მწარმოებლებს ეკონომიკურად, მაგრამ არაფერი გაკეთებულა. შედეგად, სპეკულანტებმა მკვეთრად გააძვირეს ნიღაბი. მთავრობამ განაცხადა, რომ განზრახული აქვს 34 მლნ ნიღბის შეძენა, მაგრამ მათ ახლა ვერ იპოვით ბაზარზე.

ვირუსთან საბრძოლველად მზად არ იყო იტალიის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურიც. როგორც ყოველკვირეული „ესპრესო“ წერს, „ჩვენმა გამოცემამ ეს კითხვა დაუსვა ექიმებს... ეკონომისტებს, მეცნიერებს, ექსპერტებს, მუნიციპალიტეტის წევრებს. პასუხი იყო ერთადერთი: „არა. ჩვენ მზად არ ვართ!“

**„ესპრესოს“ აზრით, მინიმალური გათვლებით ჩანს, რომ ევროპის სხვა ქვეყნებთან გასათანაბრებლად იტალიას არ ჰყოფნის 10 მილიარდი ევროს ინვესტიცია. ამასთანავე, იტალიას სჭირდება 47 ათასი თანამშრომელი, უმეტესად სანიტრები, აგრეთვე, ექიმები და ტექნიკური პერსონალი მხოლოდ იმისთვის, რომ უზრუნველყონ ძირითადი მომსახურება. კადრების დეფიციტი ისეთი სერიოზულია, რომ იტალიის ჯანდაცვის სისტემის კრახის თავიდან ასაცილებლად მინისტრი ვალტერ რიჩარდი მოითხოვს, დაუყოვნებლივ შემუშავდეს ექიმებისა და მედპერსონალის სამუშაოდ მიღების გეგმა.**



**«ევროკავშირის ნამდვილი მტერი, წერს გაზეთი, თვითონ ევროკავშირი აღმოჩნდა, რომელიც სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ისე დაიშალა, თითქოს არასოდეს არსებულა. წლების განმავლობაში გვარწმუნებდნენ, რომ ერთიანი ევროპა ჩვენი ნამდვილი მიზანია; რომ ბრექსიტი ღალატის სიმბოლოა; რომ ჩვენი გაბრწყინებული მომავალი ეს არის ბრიუსელი; რომ ევროპის ლიდერები არიან ისინი, ვინც სხედან პარიზსა და ბერლინში და იციან, როგორ იაროს გაერთიანებულმა ევროპამ ნათელი მომავლისკენ. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა განგაშის მხოლოდ რამდენიმე დღე, რომ ევროპული კონსტრუქციის ყველაზე გულმხურვალე მხარდამჭერებმა ყველანაირი რწმენა დაკარგეს»**



„გაერთიანებული ევროპის“ მხრიდან სათანადო დახმარების არარსებობაში იტალიის მთავრობამაც ევროკავშირი დაადანაშაულა. მაგალითად, ევროკავშირში იტალიის ელჩმა **მაურიციო მასარიმ** განაცხადა, რომ „ბრიუსელი უნდა გამოვიდეს ურთიერთქმედებისა და კონსულტაციების ჩარჩოდან და შეიმუშაოს „სასწრაფო, კონკრეტული და ეფექტიანი მოქმედების გეგმა“. **იტალიის მთავრობის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ ევროკავშირის წევრებმა არ უპასუხეს იტალიის თხოვნას სამედიცინო მოწყობილობების (მათ შორის, ნიღბების) დამატებით მიწოდების შესახებ.** გერმანია და საფრანგეთი იმ ქვეყნებს შორის არიან, რომლებმაც შეზღუდვა დააწესეს სამედიცინო მოწყობილობების მიწოდებაზე, ჩინეთმა კი იტალიას ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის 1000 აპარატი, 2 მლნ ნიღაბი, 20 ათასი დამცავი კოსტიუმი და 50 ათასი ტესტი შესთავაზა.

**„იტალიამ სთხოვა ევროკავშირს, გაეაქტიურებინა სამოქალაქო დაცვის მექანიზმი სამედიცინო მოწყობილობების მისაწოდებლად იტალიისთვის... სამწუხაროდ, ევროკავშირის არც ერთი ქვეყანა არ გამოეხმაურა მოწოდებას“, ამბობს მაურიციო მასარი.**

ევროკავშირი მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლა. ცოტა ხნის წინათ გამართული 2-საათიანი „ელექტრონული სამიტის“ მიმდინარეობისას ევროკავშირის ლიდერებმა განაცხადეს, რომ განამტკიცებდნენ კოორდინაციას და გამოათავისუფლებდნენ 25 მლრდ ევროს. იტალიაში კი მსხვერპლი რამდენიმე ათასია და ევროკავშირის მხრიდან არაფერი გაკეთებულა. მეტიც — ბრიუსელში ვერ შეთანხმდნენ ჯანდაცვისა და ეკონომიკის ნაციონალური სისტემების ფინანსურ სტიმულირებაზე.

**ეპიდემიის გამო სახლებში ჩაკეტილი იტალიელები კი უბედურებაზე თავისებურად რეაგირებენ.**

როგორც „კორიერა დელა სერა“ იუწყება, ყველაფერი დაიწყო მუსიკალური ფლეშმობით, რომელიც დადგა რომის ქუჩის ორკესტრმა „ფანფარომამ“. მან სოციალურ ქსელში განათავსა ვიდეო, რომელმაც სწრაფად მოიხვეჭა პოპულარობა. „გამოვაღოთ ფანჯრები, გავიდეთ აივნებზე და დავუკრათ მუსიკა, რათა ჩვენი ქვეყანა იქცეს გიგანტურ უფასო კონცერტად“, მოუწოდეს მუსიკოსებმა მოსახლეობას. მათ მხარი დაუჭირა რომის მერმა **ვირჯინია რაჯიმ**: „ვიმღეროთ ყველამ ერთად. დაე, ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ საზოგადოება ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთთან შეხებაც კი არ შეგვიძლია“.

ბევრმა დაუჭირა მხარი მოწოდებას. გაზეთი წერს, რომ გოგონა გავიდა აივანზე და კლარნეტზე შეასრულა იტალიის ეროვნული ჰიმნი; ქალმა არფაზე დაუკრა ტერასაზე; ბოლონიაში კვარტლის ხელმძღვანელი აივანზე გავიდა და გიტარაზე შეასრულა სახალხო სიმღერა „მეთევზე“; ნეაპოლში, სპანიოლის უბანში, ორმა ხანდაზმულმა სინიორამ ზეწრები ააფრიალა და ასე მიესალმა მეზობლებს; ტურინში ენთუზიასტებმა ქვაბის თავსახურავები და ტაფები ერთმანეთს შემოჰკრეს; ბევრმა კი აივნიდან ეროვნული დროშა გადმოფინა ვირუსზე გამარჯვების აღსანიშნავად.

მაგრამ პატრიოტული სიმღერებითა და ტაფების ერთმანეთზე რახუნით ვირუსი არ დამარცხდება. იტალია ტრავმირებულია. ევროპული სოლიდარობა გამოცდის მომენტში ფარსით დასრულდა.





**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**პოლიტიკური რეალობა ასეთია: თუ თქვენ ხართ ჩინეთის მეგობარი და პარტნიორი, მაშინ იმედი უნდა გქონდეთ, რომ სწრაფად და კვალიფიციურად დაგეხმარებიან, დაეხმარებიან არცთუ კარგ მეგობრებსაც. ასეთმა მიდგომამ გაამყარა ამ ქვეყნის პრესტიჟი და გლობალური ლიდერის სტატუსი. სხვათა შორის, ადრინდელი ეპიდემიების მიმდინარეობისას, რომლებიც ჩინეთში არ დაწყებულა, არავის უცდია, ასე დახმარებოდა დაზარალებულ ქვეყნებს.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომელი პოლიტიკური სისტემაა ეფექტური მმართველობისთვის უკეთესი: ჩინური თუ დასავლური?

# რატომ სთხოვა იტალიამ გადარჩენა ჩინეთს

**იტალიამ დახმარება ითხოვა ეპიდემიასთან ბრძოლაში და მას მიიღებს ჩინეთისგან. კიდევ ვისთვის უნდა ეთხოვა? ვის აქვს მსოფლიოში ვირუსთან წარმატებით ბრძოლის გამოცდილება? ვის ჰყავს ათასობით ექიმი მკურნალობის შემოწმებული მეთოდებით და ათასობით სხვა ადამიანი, რომლებმაც შექმნეს საკარანტინო ბარიერები და იციან, როგორ კეთდება ეს?**

ცვლილება შეუმჩნევლად მოხდა: ეპიდემიის პირველი მსხვერპლიდან ჩინეთი იქცა პირველ ქვეყნად, რომელიც (ეს შეიძლება ცოტა უადგილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც პირველ ქვეყნად) მომხდარისგან მოიგებს კიდეც. მოგების მასშტაბი შეიძლება ვივარაუდოთ, თუმცა საერთო ვითარება გასაგებია. საქმე ის არის, რომ ორი კვირის წინათ ქალაქ უჰანში მოხდა გამარჯვების მსგავსი რამ — იქ ჩავიდა ჩინეთის სახელმწიფო მეთაური **სი ძინპინი** და განაცხადა, რომ ცუდი უკან დარჩა და ეს უკვე ჩანდა: თუ დაავადებულთა რაოდენობა მცირდება, ხოლო გამოჯანმრთელებულთა — მატულობს, ე.ი., ეპიდემია ცხრება. ასე ხდებოდა უკვე სამი კვირის წინათ. ინფიცირებულთა რაოდენობამ შეიძლება მოიმატოს ჩამოსულთა და არა ადგილობრივების ხარჯზე.

**სი ძინპინი უჰანში ჩავიდა იმ ჰოსპიტლის დასახურავად, რომელიც 10 დღეში ააშენეს, — დასახურავად იმიტომ, რომ საჭირო აღარ არის, პაციენტები უკვე აღარ არიან (სულ ააშენეს 16 ასეთი სამედიცინო დაწესებულება და უკვე ყველა დახურულია). სახელმწიფოს მეთაურმა უჰანში ჩასულ და ადგილობრივ მედიკოსებს „ანგელოზთა შორის უშესანიშნავესები“ და „ნათელისა და იმედის წარგმოზავნილები“ უწოდა, აგრეთვე, „ახალი ერის ყველაზე შესანიშნავი ადამიანები“. მათ, ისევე, როგორც ქალაქის სხვა მცხოვრებლებმა და კარანტინში მყოფი ორი პროვინციის მოსახლეობამ, ეს პოეტური ეპითეტები მართლაც დაიმსახურეს.**

ქვეყანაში აჯამებენ იზოლაციის უპრეცედენტო ზომებს, რომლებმაც 58 მლნ ადამიანის ცხოვრების დამბლა გამოიწვია მხოლოდ ერთ პროვინციაში. და ზოგჯერ პატიოსნად აღიარებენ, რომ ბევრი რამ მეტისმეტი და არასაჭირო იყო. თუმცა დასძენენ, რომ დადებითმა მომენტმა ყველაფერი გადაწონა. ამას გარდა, ვინ იცოდა წინასწარ, რა უნდა გაეკეთებინა? მუშაობდნენ ყველაზე ცუდი ვარიანტიდან გამომდინარე. დღეს ზოგიერთი მედიკოსი ცდილობს, უკანა რიცხვით აღნიშნოს ეს ცუდი ვარიანტი. აი ჰარვარდის უნივერსიტეტის მედიცინის მკვლევარ **მარკ ლიპსიჩის** შეფასება: **„არაფერი რომ არ გაკეთებულიყო, დღეს ჩინეთში 2 მლნ ინფიცირებული და 40 ათასი გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ ვაქცინა მხოლოდ ჰორიზონტზეა. რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი პრეპარატის გამოცდა ჯერ დასრულებული არ არის და თავდაპირველად საერთო დანიშნულების წამლებს იყენებდნენ“.**

სხვათა შორის, გამოდის, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ კარგი ვარჯიში ჩაატარა სამოქალაქო თავდაცვის ნაწილში და ახლა ბევრი ხვდება, რომ ამ ქვეყნის წინააღმდეგ ბაქტეოროლოგიური ომის დაწყება ფუჭი საქმეა.

მთავარია, რომ დღეს კორონავირუსის მხრივ ყველაზე უსაფრთხო ადგილი ჩინეთია და არა ის ქვეყნები, რომლებშიც თითქოს არ არის ვირუსი. იმიტომ, რომ ჩინეთში ჯერ მისი გამოვლენა ისწავლეს, შემდეგ — გავრცელების შეკავება, ბოლოს კი — მისგან განკურნება. და ეს იცის მსოფლიომ. **აი ასე აღმოჩნდა ჩინეთი უნიკალურ მდგომარეობაში და შეუძლია და სურს კიდეც ყველას დახმარება (ისევე, როგორც, მაგალითად, რუსეთს, საიდანაც ნებისმიერ მომენტში შეუძლია აიღოს სტარტი რუსეთის სამოქალაქო თავდაცვის, საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო გუნდმა, რომელმაც იცის, რა გააკეთოს მიწისძვრის ან წყალდიდობის შემთხვევაში), ვინც სთხოვს. იტალიაში დესანტის გადასროლამდე ასეთივე აქცია იყო ჯერ ირანში, შემდეგ — ერაყში. ახლა ამ ქვეყნებში ხიფათი ნელ-ნელა შემცირდება. ამას გარდა, იყო ვიდეოკონფერენციები სპეციალისტებისთვის ევროკავშირის, ასეანის, თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის ქვეყნების, აგრეთვე, თურქმენეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სპეციალისტებისთვის.**

უამრავ ენაზე ითარგმნა უკვე განახლებული მეშვიდე ინსტრუქცია იმის შესახებ, როგორ უნდა მოიქცნენ მედიკოსები ამა თუ იმ ვითარებაში.

დამატებით ჩინეთმა 20 მლნ დოლარი აჩუქა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და ეს მხოლოდ სახელმწიფოს ხაზით. დაზარალებულ ქვეყნებს ეხმარებიან ჩინური კერძო სტრუქტურები, იტალიაში კი მუშაობენ ბრიგადები, რომლებიც დაკომპლექტებული არიან ჩინელი ემიგრანტებით.




**სი ძინპინი უჰანში ჩავიდა იმ ჰოსპიტლის დასახურავად, რომელიც 10 დღეში ააშენეს. დასახურავად იმიტომ, რომ საჭირო აღარ არის, პაციენტები უკვე აღარ არიან (სულ ააშენეს 16 ასეთი სამედიცინო დაწესებულება და უკვე ყველა დახურულია). სახელმწიფოს მეთაურმა უჰანში ჩასულ და ადგილობრივ მედიკოსებს «ანგელოზთა შორის უშესანიშნავესები» და «ნათელისა და იმედის წარმოგზავნილები» უწოდა, აგრეთვე, «ახალი ერის ყველაზე შესანიშნავი ადამიანები». მათ, ისევე, როგორც ქალაქის სხვა მცხოვრებლებმა და კარანტინში მყოფი ორი პროვინციის მოსახლეობამ, ეს პოეტური ეპითეტები დაიმსახურეს**

**პოლიტიკური რეალობა ასეთია: თუ თქვენ ხართ ჩინეთის მეგობარი და პარტნიორი, მაშინ იმედი უნდა გქონდეთ, რომ სწრაფად და კვალიფიციურად დაგეხმარებიან, დაეხმარებიან არცთუ კარგ მეგობრებსაც. ასეთმა მიდგომამ გაამყარა ამ ქვეყნის პრესტიჟი და გლობალური ლიდერის სტატუსი.**

სხვათა შორის, ადრინდელი ეპიდემიების მიმდინარეობისას, რომლებიც ჩინეთში არ დაწყებულა, არავის უცდია, ასე დახმარებოდა დაზარალებულ ქვეყნებს; არავის უცდია ვირუსებისა და ბაქტერიებისთვის ნაციონალურობის იარლიყის მიწებება, რადგან მიკროორგანიზმებს, ისევე, როგორც ტერორისტებს, ეროვნება არ აქვს.

**ეპიდემიის შედეგებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში მრეწველობა შემცირდა 13,5%-ით, მაგრამ ჩინეთში ეპიდემიის ჩაცხრომა მალე გამოიწვევს მრეწველობის აღმავლობას. ეპიდემიამ აჩვენა: მსოფლიოს არ შეუძლია ჩინეთისა და მისი მრეწველობის გარეშე.**

საქმე ის არის, შეძლებს თუ არა აშშ მოკავშირეების დარწმუნებას, „ეკონომიკურად მოიშორონ“ ჩინეთი (ამერიკა ამას აკეთებს), თუმცა შეიძლება მოხდეს უფრო მარტივი ვარიანტი — ყველა შეეცადოს, რაც შეიძლება სწრაფად აღადგინოს გაწყვეტილი კავშირები, მიწოდებები, მომარაგება, თანაც შემცირებული ფასებით. ჯერჯერობით ორივე თვალსაზრისის მომხრეები ლაპარაკობენ მხოლოდ იმაზე, რაც ძალიან სურთ, და არა იმაზე, რაც უნდა მოხდეს. ეკონომიკის ვარდნა კი, რომელიც დაიწყო სხვა ქვეყნებში, პროგნოზების კეთებას უსარგებლო საქმიანობად აქცევს.

**ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეპიდემიასთან წარმატებით ბრძოლა ჩინეთის ავტორიტეტზე მუშაობს ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში. თვითონ ქვეყანაში ამას აცნობიერებენ და ცდილობენ, ჩამოაყალიბონ რაღაც საერთო დებულება მომხდარის თაობაზე, დაახლოებით ასე: რომელი პოლიტიკური სისტემა წარმოაჩენს თავს ყველაზე უკეთესად კრიტიკულ ვითარებაში — ჩინური თუ დასავლური? პასუხი აშკარაა...**

და კიდევ: **არც ერთი ქვეყანა მარტო არ უნდა დარჩეს გლობალურ გამოწვევასთან (მათ შორის ჯანმრთელობის მხრივ) ბრძოლაში, მაგრამ სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ნდობა და თანამშრომლობა მანამდე უნდა დამყარდეს, სანამ კრიზისი დაიწყება.**

**ეს აზრი შეიძლება ჩაითვალოს ჩინურ შენატანად საერთაშორისო ცხოვრების სწორი ფილოსოფიის შექმნაში.**

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**



**კორონავირუსთან წარმატებული ბრძოლა ჩინეთის ავტორიტეტზე მუშაობს გრძელვადიან პერსპექტივაში. ქვეყანაში ეს კარგად ესმით და ცდილობენ, ჩამოაყალიბონ რაღაც საერთო დებულება მომხდარის თაობაზე, დაახლოებით ასე: რომელი პოლიტიკური სისტემა წარმოაჩენს თავს უკეთესად კრიტიკულ ვითარებაში — ჩინური თუ დასავლური? პასუხი ნათელია**



პოლიტიკური სისტემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ვითარება კარდინალურად შეცვლილია. საზოგადოების ფართო მასების თვალში „ქართული ოცნების“ დელეგიტიმაციის პროცესი ხელშესახებ ფორმას იღებს. მმართველი პარტიის ავტორიტეტის დაცემის აშკარა მაჩვენებელია ის გარემოება, რომ იგი დაპირებული პროპორციული სისტემის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და ამის ერთადერთი მიზეზი ხელისუფლების დაკარგვის შიშია. ჩანს, იციან, რომ ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ საპარლამენტო უმრავლესობას ვერ მოიპოვებენ.**

# შუაში გაკრეფილი პოლიტიკური სარბიელი

**პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს ყველა ხელისუფლება დაკავებული იყო ტრადიციული ქართველი საზოგადოების თანამიმდევრობითი ტრანსფორმირების ამოცანით. ამასთანავე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ სტიმულებისა და მოტივაციების დანერგვის მცდელობით, რომლებითაც ფუნქციონირებს დასავლური ლიბერალურ-ინდივიდუალისტური საზოგადოება. სოციალური ტრანსფორმირების მოცემული პროცესი ტარდებოდა კულტურული და ეკონომიკური მიმართულებებით, რომელიც გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ შემადგენელზეც.**

**ქართველი საზოგადოების სოციალური ინჟინერიის პროცედურა ემსახურებოდა ისტორიულად ჩამოყალიბებული, კულტურულ-ღირებულებათა სისტემის გავლენით ფორმირებული ზნეობრივი ნორმებისა და ეროვნული მენტალობის უარყოფა-გადაკეთებას. აღნიშნულმა, თავის მხრივ, განაპირობა საზოგადოების გაორება მორალური პრინციპების თვალსაზრისით და მსოფლმხედველობრივი ნიშნით ორ სეგმენტად გაყოფა შეურიგებელ წინააღმდეგობაში მყოფ უფროს და უმცროს თაობებად. ეკონომიკურ სფეროში კი ტარდებოდა აგრესიული დეინდუსტრიალიზაცია „შოკური თერაპიის“ პრინციპით, რომელმაც ბუნებრივად წარმოქმნა გაღატაკებულ მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი ფენა.**

თანამედროვე ქართველი საზოგადოების სტრუქტურის სოციოლოგიური ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ იგი მკვეთრად პოლარიზებულია და ეს ვლინდება თაობებს შორის მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებულობაში. აქედან გამომდინარე, საზოგადოების უფროსი თაობის უმრავლესობა კულტურულ სფეროში ორიენტირებულია ტრადიციულ-კონსერვატიულ ღირებულებებზე, ხოლო ეკონომიკურ სფეროში მიდრეკილია სოციალური სოლიდარობისადმი და აქტიურად ემხრობა სოციალისტურ იდეებს.

რაც შეეხება ახალგაზრდა თაობას, მსოფლმხედველობრივი ასპექტებით მას უპირატესად ლიბერალურ-კაპიტალისტური და კოსმოპოლიტური აზროვნება ახასიათებს.

ზემოთ მიმოხილულ ფაქტორებს ადრეც და დღესაც დიდი გავლენა აქვს საზოგადოების დიდ ნაწილში ხელისუფლების მიმართ ნდობის დაცემასა და დელეგიტიმაციაზე. მით უფრო იმ ხელისუფლების მიმართ, რომლისგანაც მმართველობის პირველ ეტაპზე ელოდნენ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას. მოცემული ფაქტორებით კომბინირებული პოლიტიკური პროცესი განაპირობებდა არსებული მმართველი პოლიტიკური ჯგუფის მიმართ ნდობის კლებას და მისი ავტორიტეტის დაცემას.

საზოგადოდ, საქართველოში ხელისუფლებების ჩანაცვლების პოლიტიკური ტენდენცია ჯდებოდა კონკრეტული გარემოებების ჩარჩოში. კერძოდ, ქართველი საზოგადოების ტრადიციულ-პატრიარქალური ბუნებიდან და ამიტომ, პოლიტიკური პროცესის პერსონიფიცირებიდან გამომდინარე, მეორე საარჩევნო ვადის ბოლოს ხდებოდა მმართველი ელიტის საპირისპირო ფლანგზე მოქცეული დაქუცმაცებულ-დანაწევრებული პოლიტიკური ძალების ანტისახელისუფლო იდეით გაერთიანება და კონტრელიტური დაჯგუფების ფორმირება. შემდეგ ამ დაჯგუფებას სათავეში უდგებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ავტორიტეტმოხვეჭილი პოლიტიკური ლიდერი, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სახელისუფლო პოლიტიკური კლასის შესაცვლელად.

**დღევანდელი სიტუაცია ამოვარდნილია ზოგადი კანონზომიერებიდან, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლებისა და მისი ფაქტობრივი ლიდერის მიმართ პოლიტიკური ნდობა მინიმალური ლეგიტიმაციის ზღვარზეა, ვერ ხერხდება საქართველოს პოლიტიკური სისტემის შიგნით მაღალი ავტორიტეტის მქონე ლიდერის გაჩენა.**

სწორედ ამითაა გამოწვეული ის, რომ **პოლიტიკური სივრცის ოპოზიციურ ფლანგზე ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის სახელით შეიქმნა ავტორიტეტშელახული, რევანშისტულ-დესტრუქციული ოპოზიციურ-პოლიტიკური ძალების ამორფული კონგლომერატი, რომელიც საზოგადოების ფართო მასების ცნობიერებაში დაკავშირებულია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მის სასტიკ რეჟიმთან. მართალია, დღეს ამომრჩეველთა დიდ ნაწილში ქართული ოცნების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება დიდია, მაგრამ ისინი, პოლიტიკური ქცევის თვალსაზრისით, მოქმედებენ უმცირესი ბოროტების არჩევის პრინციპით. მათთვის ოცნების ხელისუფლებაში ყოფნა ბოროტებაა, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შედარებით — ნაკლები ბოროტება.**

თანამედროვე საქართველოში მმართველი ძალის მიერ დადგენილი პოლიტიკური თამაშის წესებით, დიდი ალბათობაა, მან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე შეინარჩუნოს მართვის სადავეები, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ძალიან გაუჭირდება წამყვან პოზიციებზე დარჩენა. სოციოლოგიაში ცნობილია, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში მოქმედებს სოციალური ცირკულაციის პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს გარკვეულ პერიოდებში საზოგადოების განახლების პროცედურას. იგულისხმება, რომ ყოველი საარჩევნო ციკლის პირობებში იცვლება საზოგადოების ელექტორალური სახე, ყოველი საარჩევნო ციკლი ცვლის აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ამომრჩეველთა შემადგენლობასა და შეხედულებებს. მაგალითად, ამომრჩეველთა დღევანდელი შემადგენლობა 2012 წელთან შედარებით შეცვლილია, ხოლო 2024 წლისთვის კიდევ უფრო შეიცვლება. **ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდისგან განსხვავებით, აღიზარდა აქტიური საარჩევნო უფლების მქონე თაობა, რომლის უდიდეს ნაწილს არ ახსოვს და არ იცის „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში გამოვლენილი სისასტიკე და მართვის სტილი. შესაბამისად, სოციალური განახლების პროცედურა და მთავარ ოპოზიციურ-პოლიტიკურ პარტიად „ნაციონალური მოძრაობის“ და მასთან აფილირებული ძალების დატოვება მომავალში შექმნის ხელისუფლების მიმართ ნეგატიური ენერგიის აკუმულაციას და მისი მობილიზაციის პირობებს ოპონენტების გარშემო.** ბუნებრივია, ეს პროცესი გამოიწვევს მთავარ ოპოზიციურ ძალად ხელდასმული „ნაციონალური მოძრაობის“ ელექტორალურ და, მაშასადამე, პოლიტიკურ გაძლიერებას. **ეს ძალა ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში მთავარ პოლიტიკურ ოპონენტთა მიმართ აამოქმედებს რეპრესიულ მანქანას და რეპრესიები შეეხება როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერს, ისე პარტიის სხვა პოლიტიკურ სახეებსაც. როგორც ჩანს, ამაში მათ სერიოზული მხარდაჭერაც ექნებათ უცხოეთიდან. ამ პროგნოზის პრაქტიკაში განხორციელების შემთხვევაში, იგი დამღუპველი იქნება ქვეყნისთვის.**

**ამიტომ, ყოველგვარი ნეგატიური ექსცესების თავიდან აცილების მიზნით, ღრმად ვარ დარწმუნებული, აუცილებელია პოლიტიკური სისტემის გადაფორმატება და მისი იმგვარი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც პოლიტიკური ველიდან გაიყვანს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მასთან აფილირებულ სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციას.**

ამისთვის უპრიანია პოლიტიკური პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის ისეთი გეგმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი სატელიტების ეტაპობრივ, ქვეყნისათვის უმტკივნეულო განდევნას პოლიტიკური სივრციდან. თუმცა, დასახული მიზნის რეალიზაციის თვალსაზრისით, ფრიად მნიშვნელოვანია კონკრეტული ტაქტიკის ინსტრუმენტალიზაცია.

როგორც ვიცით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა საქართველოში მოახდინა პოლიტიკური სისტემის ისეთ ტიპზე გადაწყობა, როცა იგი ტრანსფორმირდა ორპოლუსიან მმართველობით სისტემად, სადაც ორივე პარტია მოქმედებდა „შუას გაკრეფის“ პრინციპით. იდეოლოგიური თვალსაზრისით მივიღეთ ერთგვარი უნიფიცირებული მოდელი, როდესაც პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება მოექცა კულტურული ლიბერალიზმისა და ფინანსური კაპიტალიზმის მიმდევარ პარტიათა ტოტალური კონტროლის ქვეშ, მხოლოდ ერთი ტაქტიკური განსხვავებით: **თუკი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ექსტრემიზმზე ორიენტირებული დესტრუქციული ძალის ნიშა აირჩია, „ქართულმა ოცნებამ“ ტაქტიკური მოქმედებების თვალსაზრისით, უფრო ზომიერი ძალის, — ოღონდ ისევ ლიბერალურის, — როლი მოირგო. აღნიშნულით პოლიტიკური სისტემა დაუხურა იდეოლოგიურად განსხვავებულ პოზიციაზე მყოფ ძალებს.**

თუ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ ეტაპზე **ბიძინა ივანიშვილისთვის** მხარდაჭერა განაპირობა პრინციპმა — „ყველანი ბოროტების წინააღმდეგ“, 2016 წელს მეორე საპარლამენტო არჩევნებში, მმართველ პარტიაზე იმედგაცრუების მიუხედავად, მოსახლეობის მათდამი მხარდაჭერა გამოიწვია „უმცირესი ბოროტების“ პრინციპით განპირობებულმა საარჩევნო ქცევამ. **ივანიშვილის მიერ შექმნილმა ორპოლუსიანმა სისტემამ ამომრჩეველი აიძულა, წინა სახელისუფლო ელიტის დაბრუნების შიშით ხმა მიეცა ისევ „ქართული ოცნებისათვის“, რამაც უზრუნველყო კიდეც უკანასკნელის მიერ ხელისუფლების შენარჩუნება.**

**დღეს ვითარება კარდინალურად შეცვლილია. საზოგადოების ფართო მასების თვალში „ქართული ოცნების“ დელეგიტიმაციის პროცესი ხელშესახებ ფორმას იღებს. მმართველი პარტიის ავტორიტეტის დაცემის აშკარა მაჩვენებელია ის გარემოება, რომ იგი დაპირებული პროპორციული სისტემის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და ამის ერთადერთი მიზეზი ხელისუფლების დაკარგვის შიშია. ჩანს, იციან, რომ ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ საპარლამენტო უმრავლესობას ვერ მოიპოვებენ.**

**ირაკლი უბილავა,**
პოლიტოლოგი

**პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება მოექცა კულტურული ლიბერალიზმისა და ფინანსური კაპიტალიზმის მიმდევარ პარტიათა ტოტალური კონტროლის ქვეშ, მხოლოდ ერთი ტაქტიკური განსხვავებით: თუკი «ნაციონალურმა მოძრაობამ» ექსტრემიზმზე ორიენტირებული დესტრუქციული ძალის ნიშა აირჩია, «ქართულმა ოცნებამ» ტაქტიკური მოქმედებების თვალსაზრისით, უფრო ზომიერი ძალის, — ოღონდ ისევ ლიბერალურის, — როლი მოირგო**

**მმართველი პარტიის ავტორიტეტის დაცემის აშკარა მაჩვენებელია ის გარემოება, რომ იგი დაპირებული პროპორციული სისტემის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და ამის ერთადერთი მიზეზი ხელისუფლების დაკარგვის შიშია. ჩანს, იციან, რომ ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ საპარლამენტო უმრავლესობას ვერ მოიპოვებენ**

**„უცხოეთიდან მართული ტელემედია გამუდმებით თავს ესხმის ქართული სახელმწიფოს საფუძვლებს, რომელიც უნდა იდგეს რწმენაზე, ეროვნულ ღირსებასა და ზნეობაზე... არსებულ ხელისუფლებას კი არა მხოლოდ ძალა არ შესწევს ამ ყველაფრის შეჩერების, უბრალოდ, ამის ნება-სურვილიც არ აქვს. მათ მონახეს მარტივი გამოსავალი: რაც არის რეალობა, მიიღონ და გამოაცხადონ წარმატებად“.**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლევან ჩაჩუა: ჯანსაღ ძალებს რაც უფრო შეეწინააღმდეგებიან, მით მეტად გაშიშვლდებიან და გამოაჩენენ თავიანთ რეალურ სახეს

## «იქნება ცილისწამება, ტალახის სროლა, ათასგვარ სიბინძურეს დააბრალებენ კონსერვატიულ ძალას, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს!»

**რამდენიმე დღის წინათ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა და პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მომავალ არჩევნებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ამ არჩევნებზე მმართველი გუნდის შანსები მომატებულია. მისი თქმით, „ოცნება“ დარწმუნებულია, რომ ოქტომბრის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში კვლავ ექნება მყარი უმრავლესობა და ამის თქმის საფუძველს აძლევს საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერა: „ჩვენ გვექნება მყარი, ძალიან სტაბილური საპარლამენტო უმრავლესობა და სტაბილური და მყარი მთავრობა; ამ შემთხვევაში ჩვენი გათვლები, ხალხის მხარდაჭერა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ 2020-დან 2024 წლამდე „ქართულ ოცნებას“ გვეყოლება ძალიან მყარი უმრავლესობა. ამაში ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული და ამას საზოგადოება თვითონ იხილავს...“**

კობახიძისვე განმარტებით, ხელისუფლებას ოპტიმიზმის საფუძველს მისი სწორი და სამართლიანი პოლიტიკა აძლევს, რომელიც წლიდან წლამდე კონკრეტულ მიღწევებსა და წარმატებებში აისახება. მეტიც, გამომდინარე იქიდან, რომ თურმე „ოცნებამ“ წინა არჩევნებზე გაცემული ყველა დაპირება ზედმიწევნით შეასრულა, საზოგადოებრივი ნდობის მაჩვენებლის თვალსაზრისით მას რეალური კონკურენტი პრაქტიკულად არ ჰყავს. თუმცა კობახიძეს არ განუმარტავს, რაში გამოიხატება კონკრეტულად ხელისუფლების ეფექტიანობა ან რაში ჩანს საზოგადოების მაღალი ნდობა მისდამი და მისი პოლიტიკური გუნდის კურსისადმი...

**რა შანსები აქვს დღეს „ქართულ ოცნებას“ ობიექტურ არჩევნებში, რა განაპირობებს ხელისუფლების ოპტიმიზმს არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე და რა განწყობებია მოსახლეობაში? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს თუ დავუჯერებთ, „ოცნებას“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე მოსახლეობის უმრავლესობა დაუჭერს მხარს. როგორც თვითონ განაცხადა, ამის თქმის საფუძველს ხელისუფლების სწორი და წარმატებული პოლიტიკა აძლევს. როგორ ფიქრობთ, ადეკვატურია ეს შეფასება? აქვს კი დღეს მმართველ გუნდს ოპტიმიზმის მიზეზი, თუ არჩევნები ობიექტურად ჩატარდება?**

— მოკლედ ვიტყვი: **კობახიძე არის ნორჩი სოროსელი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჩასვა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში. ხომ გსმენიათ, ფარა რომ შემობრუნდება, კოჭლი ცხვარი თავში მოექცევაო.**

რაც შეეხება „ოცნების“ „წარმატებულ“ პოლიტიკასა და რეიტინგს, რეალობაში ხდება ის, რომ ქვეყანა განიცდის უკუსვლას, კრიზისია ყველა მიმართულებით და ამას ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე, უკვე კარგა ხანია, განიცდის საკუთარ თავზე. ამის კონკრეტული ფაქტია ის, რომ ეროვნული ვალუტა გაუფასურდა, ქვეყანა, ფაქტობრივად, არ აწარმოებს არაფერს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული; მოსახლეობის დიდი ნაწილი ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთშია გადახვეწილი და კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში სახელმწიფო ძლივს ახერხებს თავისი მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნებას; რაიონებში გაუსაძლისი სიდუხჭირეა და მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება, მრავალი სოფელი, ფაქტობრივად, გაუკაცრიელდა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მასობრივი უმუშევრობის ფონზე მოსახლეობის ნახევარს ბანკები ძარცვავს, მეორე ნახევარი კი სოციალურად დაუცველია და შიმშილის ზღვარზე იმყოფება. ადამიანები ექიმთან ვერ მიდიან და ამ ყველაფრის ფონზე ძალიან მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობაც. ხელისუფლების დანაშაულებრივი ლიბერალური ნარკოპოლიტიკის გამო ახალგაზრდობაში კატასტროფულად მატულობს ნარკომანია, გარყვნილება, განათლების დონე კი ისეა ხელოვნურად დაცემული, რომ, **თუ ასე გაგრძელდა, ყველაზე გაუნათლებელ თაობას მივიღებთ. უცხოეთიდან მართული ტელემედია გამუდმებით თავს ესხმის ქართული სახელმწიფოს საფუძვლებს, რომელიც უნდა იდგეს რწმენაზე, ეროვნულ ღირსებასა და ზნეობაზე... არსებულ ხელისუფლებას კი არა მხოლოდ ძალა არ შესწევს ამ ყველაფრის შეჩერების, მას, უბრალოდ, ნება-სურვილიც არ აქვს. მათ მონახეს მარტივი გამოსავალი: რაც არის რეალობა, მიიღონ და გამოაცხადონ წარმატებად.** სხვათა შორის, ამ პოლიტიკური პარადიგმის დეკლარირება თავის დროზე მოახდინა ბიძინა ივანიშვილმა, როცა ერთ-ერთ ეთერში პირდაპირ განაცხადა, რომ თურმე ყველაფერი კარგადაა და ხალხი ამას ვერ ხედავს. ამას იმეორებენ დღეს „ოცნების“ ნორჩი ლიბერალები და ამაში გასაკვირიც არაფერია. მათ, უბრალოდ, სათქმელიც აღარ დარჩათ, იმიტომ, რომ ყველა ტყუილი და აფერა უკვე ნაცადია. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ — **ეს პოლიტიკური მოცემულობა გამყარებულია იმით, რომ არ არსებობს რეალური ალტერნატიული ძალა. საკმარისია, ასპარეზზე გამოჩნდეს ეროვნულ-კონსერვატიული პოლიტიკური ბირთვი, რომელიც არსებული „ლიბერალური“ დღის წესრიგის შეცვლას შესთავაზებს მოსახლეობას, რომ ამჟამინდელი სისტემის უსუსურობა და უპერსპექტივობა მაშინვე ცხადი შეიქნება...**



**«საკმარისია, ასპარეზზე გამოჩნდეს ეროვნულ-კონსერვატიული პოლიტიკური ბირთვი, რომელიც არსებული «ლიბერალური» დღის წესრიგის შეცვლას შესთავაზებს მოსახლეობას და ამჟამინდელი სისტემის უსუსურობა და უპერსპექტივობა მაშინვე ცხადი იქნება»**

**— როგორ ფიქრობთ, ის პროპაგანდა, რომ თურმე ხელისუფლება ყველა დაპირებას ზედმიწევნით ასრულებს და წარმატებული პოლიტიკის გამო მას მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერა აქვს, საზოგადოების რომელ ნაწილზე მოქმედებს?**

— პოლიტიკური მოცემულობა დღეს ასეთია: არის საზოგადოების მცირე ნაწილი, რომელიც „ოცნების“ პარტიულ აქტივს წარმოადგენს, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ხალხი, ადმინისტრაციული რესურსი და ა.შ. და არის, აგრეთვე, მეორე მცირე ნაწილი, რომელიც გარშემორტყმულია „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობით შეკოწიწებულ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაზე. ეს არის ზომბირებულთა სექტა, რომელიც ლიბერასტულ სისტემას სამარეში მიჰყვება... დანარჩენი 70-80% პროცენტი განზეა გამდგარი ერთადერთი მიზეზის გამო — მათთვის მისაღები ძალა, უბრალოდ, არ არსებობს. **ყველა ტყუილზე უკვე გამომუშავებული აქვს ერთგვარი იმუნიტეტი საზოგადოების დიდ ნაწილს, რომლის მოსყიდვა უფრო ადვილია, ვიდრე მოტყუება და ამას დიდი გულისტკივილით აღვნიშნავ...**

ასე რომ, **არანაირი პოლიტიკური ან სოციალური ზემოქმედების ძალა კობახიძისნაირი ფიგურების ცრუპენტელობას არ აქვს. კობახიძე, კიდევ ვიმეორებ, არის დრომოჭმული „ლიბერალური“ დღის წესრიგის ნორჩი წარმომადგენელი, რომლის ოპტიმიზმის ერთადერთი საფუძველი არის ბოლომდე გამარგინალებული 30 პარტიისგან შეკოწიწებული პოლიტიკური ბალასტი და ბიძინა ივანიშვილის ფინანსური რესურსი.** ეს დაჭაობებული სისტემა ხუხულასავით ჩამოიშლება, თუკი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდება გაყიდული მედიის მიერ გაპიარებული პოლიტელიტის რეალური ალტერნატივა...

**— თუ არ ან ვერ ჩამოყალიბდება ასეთი ალტერნატივა, რა მოხდება?**

— ასეთ შემთხვევაში მიმდინარე პოლიტიკური მასკარადი ჩვეულებრივად გაგრძელდება, **„ნაცები“ და „ქოცები“ ისევ გაიყოფენ ხმებს, მათ შორის, არჩევნებზე არმისული ხალხის ხმებსაც და, მოგვწონს თუ არა, კიდევ ოთხი წლით მოგვიწევს ამ სამარცხვინო კლოუნადის ყურება, რომელიც ბოლომდე დაანგრევს ქვეყნის ღირსეული განვითარებისთვის აუცილებელ სახელმწიფოებრივ საფუძვლებს.** მერე გამოვა **კობახიძე, თალაკვაძე** ან **ბოკერია** (გვარებს მნიშვნელობა არ აქვს) და გაბადრული, გაცისკროვნებული სახით გვეტყვის, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ აირჩია. აი, ეს არის ჩვენი მომავალი, თუ ეროვნულ-პოლიტიკურ ძალთა ერთობა არ შეიქმნება. ასე რომ, გამოსავალი მარტივია: ყველამ, ვისაც ამ ქვეყანაზე გული შესტკივა, განზე უნდა გადადოს პირადი ამბიციები, დაივიწყოს წყენა და გაერთიანდეს. დღეს ერთმანეთში კინკლაობის დრო ნამდვილად არ არის, იმიტომ, რომ **ახლა გვყავს ყველაზე საშიში მტერი, რომელსაც, როცა დასჭირდება, „ეროვნულადაც“ შეფუთავენ და „ეკლესიურადაც“ — სააღდგომო წირვაზე ტელეკამერების წინ გამოჭიმავენ, ხოლო, როცა სასურველ შედეგს მიაღწევენ, ეს ყველაფერი სასაცილოდ არ ეყოფათ.** რაც შეეხება ხელისუფლების რეიტინგს, ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: ქვეყანა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა გულგრილად ადევნებს თვალყურს საკუთარი სახელმწიფოს ნგრევის შეუქცევად პროცესს, ხოლო ნაწილი მხარს უჭერს ლიბერასტულ სისტემას, განწირულია! განწირულია იმიტომ, რომ ეს უკვე თავისთავად ნიშნავს მწვანე შუქის ანთებას რიგი უზნეო და ულმერთო საკანონმდებლო სტანდარტების დანერგვისთვის.

**არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება არჩევანის გაკეთება იმ პრინციპით, რომ, ამას თუ არ ავირჩევთ, უარესი მოვა. არ არსებობს უარესი და უფრო უარესი, არსებობს ბოროტი ან კეთილმსახური ხელისუფლება. სისტემა, რომელიც ლიბერასტული ინტერნაციონალის კარნახით იმართება, აუცილებლად უგულებელყოფს ქართველი ერის ნება-სურვილს და ყოველთვის გაატარებს ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკას.**

**— პოლიტიკური ალტერნატივა ახსენეთ და თქვით, რომ, თუ ახალი რეალური ეროვნული ძალა ჩამოყალიბდება, მოსახლეობის უმრავლესობა მას დაუჭერს მხარს. როგორ ფიქრობთ, დღევანდელ ვითარებაში არსებობს მსგავსი ძალის ჩამოყალიბების პერსპექტივა?**

— სრულიად რეალური და შესაძლებელია. მეგობრებსა და თანამოაზრეებთან ერთად ვაწარმოებ აქტიურ მოლაპარაკებებს სხვადასხვა ჯგუფთან, საზოგადოებრივად აქტიურ ადამიანებთან, მეცნიერებთან, რათა მოხდეს დიდი პოლიტიკური ბირთვის ჩამოყალიბება. სხვა გზასა და გამოსავალს მე, უბრალოდ, ვერ ვხედავ, თუმცა ჩვენ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერი მსგავსი ინიციატივა, რომელსაც არსებული „ლიბერალური“ დღის წესრიგი საფრთხედ მიიღებს, ძალიან დიდ წინააღმდეგობას შეხვდება...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ იქნება ცილისწამებები, უსაფუძვლო ბრალდებები და ათასგვარი ბინძური პროპაგანდა, რომელიც რეალურად ეროვნულ-კონსერვატიული ძალების დისკრედიტაციას დაისახავს მიზნად, მაგრამ ჩვენ ამის არ უნდა შეგვეშინდეს. ახლა მერყეობისა და განზე გადგომის უფლება არ გვაქვს — პირიქით, რაც უფრო იმოქმედებენ ჯანსაღ ძალებზე, მით მეტად დაჭაობდებიან, გაშიშვლდებიან და დაანახვებენ საზოგადოებას რეალურ სახეს. აი, ეს იქნება ზუსტად მათი პოლიტიკური აღსასრულის დასაწყისი. ჩვენ დავინახავთ, რომ **ძალიან მალე საქართველოში ძირფესვიანად შეიცვლება სისტემა და ამის შემდეგ უკვე გარედან მართული ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური ძალები ვერასოდეს ვერ შეძლებენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.** თუმცა, კვლავაც ვიმეორებ, ეს არ არის შეუქცევადი პროცესი რომელიც თავისთავად მოხდება და ჩვენ შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ. არა, ეს ჩვენი გასაკეთებელია, ძალიან დიდი ძალისხმევისა და რისკის ფასად.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დედამიწას უნდოდა დასვენება, ჰაერს უნდოდა გაწმენდა, ოჯახებს უნდოდათ ერთად ყოფნა, ბავშვებს — ყურადღება, ადამიანებს — შეგნების ამაღლება, ექიმებს — დაფასება, ეზოებს — ახმაურება, წიგნებს — წაკითხვა, ახლობლებს — მოკითხვა, ქვეყანას — გამოცდის ჩაბარება, ემიგრანტებს — სამშობლოსკენ გამოხედვა. ასე უცნაურად მოვიდა გაზაფხული...“ დიახ, ასე უცნაურად მოვიდა გაზაფხული... მაგრამ საკითხავია: როგორი გაზაფხული დადგება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში — უცხოელთა შეკვეთილი თუ ნამდვილი ქართული?**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

ასე მიმართავს უფალი საქართველოს. ამის თაობაზე ჯერ კიდევ 2006 წელს საახალწლო ქადაგებაში აღნიშნა ჩვენმა პატრიარქმა. თქვა, რომ XVII-XVIII საუკუნეში მოღვაწე ბერმა — კირილოს ლავრიოტისმა განმარტა „იოანეს გამოცხადება“, რომ „ჟამსა განსაცდელისასა, რომელიც მოელის მთელს მსოფლიოს (აქ იგულისხმება მეორედ მოსვლის წინ ანტიქტრისტეს მეფობის საშინელი ჟამი), მე დაგიფარავ შენ!“

დღეს ჩვენ, ღვთისმშობლის წილხვდომილი ერი, არაერთი განსაცდელის წინაშე ვგდავართ, ნეოლიბერასტები ათასგვარ სისაძაგლეს ცხვირში გვტენიან, უცხოელი „პატრონები“ გვკარნახობენ, როგორ ვიცხოვროთ... წლებია, ჩვენს რუბრიკაში ამ საკითხებზე ვსაუბრობთ, გულისტკივილს გამოვთქვამთ უამრავ ნაკლსა და არამართებულ ნაბიჯზე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში — ურთიერთგაუტანლობაზე, „უცხოთა ბაძის“ გამო ქვეყნის წინსვლის შეფერხებაზე, ეროვნული ტრადიციების, მენტალობის შელახვაზე...

ფაქტია, უამრავი „გაცვეთილი პოლიტიკური სახის“ შემყურეთ სასოწარკვეთილებამდე რომ აღარაფერი გვაკლდა, კორონავირუსმა დაგვანახვა, რომ ჩვენ შორის არიან ადამიანები, რომელთაც ერის ბედითა და უბედობით „დაედაგვით მტკიცე გული“, რომლებიც წინ წარუძღვებიან ხალხს და მის ტკივილს მალამოდ დაედებიან. დღეს მთელი ერი მოწიწებით ქედს იხრის და მადლიერია მათი, ვინც ამ მძიმე დღეებში, როცა საქართველო ცხოვრობს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში, ყველაფერს აკეთებს ცხოვრების ჩვეულ რიტმში დასაბრუნებლად.

ხალხის ერთიანობა და მადლიერება იგრძნობა ყველგან — ქუჩაშიც, ტრანსპორტშიც, სასურსათო მაღაზიებშიც, განსაკუთრებით — სოციალურ ქსელებში. ხედავ ადამიანების ურთიერთთანადგომას, მზადყოფნას ყველა ინსტრუქციის შესრულებისთვის, წესრიგს და გიხარია, ისე გიხარია, რომ წამით გავიწყდება, რომ ეს შიშმა მოახერხა, რომელსაც თურმე მართლა დიდი თვალები აქვს.

და ვხუმრობთ ასეთ სერიოზულ სიტუაციაშიც კი, თუმცა ამ ხუმრობაში სიმართლეც ურევია და ის სასიამოვნო რეალობა, რომელზეც სოცქსელებში ვითომ ხუმრობით წერენ, უფლის გარეშე ვერასდროს დადგებოდა:

„დედამიწას უნდოდა დასვენება, ჰაერს უნდოდა გაწმენდა, ოჯახებს უნდოდათ ერთად ყოფნა, ბავშვებს — ყურადღება, ადამიანებს — შეგნების ამაღლება, ექიმებს — დაფასება, ეზოებს — ახმაურება, წიგნებს — წაკითხვა, ახლობლებს — მოკითხვა, ქვეყანას — გამოცდის ჩაბარება, ემიგრანტებს — სამშობლოსკენ გამოხედვა.

ასე უცნაურად მოვიდა გაზაფხული...“

დიახ, ასე უცნაურად მოვიდა გაზაფხული... მაგრამ საკითხავია: როგორი გაზაფხული დადგება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში — უცხოელთა შეკვეთილი თუ ნამდვილი ქართული? მით უფრო, რომ ამ დღეებში დავანახვეთ იმ ჩვენს კარგად „დავარცხნილ“ ევროპა-ამერიკასა და საკუთარ თავსაც, რანი ვართ, რა შეგვძლებია. ისინი, ვისაც სულ თვალებში შევციცინებდით, — როდის რას გვიკარნახებდა, რას „გვირჩევდა ვითომ ჩვენდა სასიკეთოდ“, დღეს უკვე აშკარად მიხვდნენ, ჩვენზე ჭკვიანი როდი ყოფილან. აი ფაქტიც:

„პრეპარატს, რომლითაც საქართველოში ინფექციონისტები პაციენტებს კორონავირუსისგან მკურნალობენ, მალე ამერიკაც მოიხმარს. ინფექციური საავადმყოფოს დირექტორ თენგიზ ცერცვაძის ინფორმაციით, შესაბამისი ბრძანება აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა გუშინ გასცა. ამ წამალს იყენებენ საფრანგეთში, რაც ე.წ. მარსელის გაიდლაინში არის აღნიშნული. „გუშინ გამოქვეყნდა საფრანგეთის რეკომენდაციები, რომლებშიც ფრანგები „პლაქვენილს“ ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად ასახელებენ. დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ვერ დაელოდება FDA-ის ოფიციალურ რეკომენდაციას და ექსპერტების რჩევის საფუძველზე, როგორც პრეზიდენტი, იღებს გადაწყვეტილებას, რომ ამ პრეპარატის გამოყენება ლეგიტიმური გახდეს. ამის გამო სამსახურში მცირე ზეიმიც კი გვქონდა, იმიტომ, რომ იმას, რაც ტრამპმა თქვა გუშინ, ჩვენ თვენახევარია ვაკეთებთ“, – განაცხადა ცერცვაძემ.

ამ ინფორმაციამ მხნეობა და იმედი გაუორკეცა ჩვენს ხალხს, მაგრამ იქვე ქვეცნობიერში შიშმაც წამოჰყო თავი, რატომ?

გადახედეთ იმ ექიმთა ასაკს, რომლებსაც ხალხი ყოველდღე უხდის მადლობას. ეს ის თაობაა, რომელიც „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს საბჭოთა კავშირში დაიბადა, გაიზარდა და მიიღო განათლება. მედიცინის ეს პროფესიონალი კადრები გასაგები მიზეზების გამო რომ ველარ შეძლებენ სრულფასოვან საქმიანობას ან საერთოდ შეწყვეტენ მას, მერე ვის იმედზე ვრჩებით და რა ეშველება ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში ქვეყანას, ჩვენს მომავალს?

მთელს მსოფლიოში პანდემია ღვთის რისხვას ჰგავს, კაცობრიობისთვის მოვლენილს, რამეთუ უკვე იქამდე გავზულუქდით, რომ ბუნების არა ერთი კანონზომიერების შეცვლა განვიზრახეთ, რა არ მოვიმოქმედეთ ღვთისგან ბოძებული ნიჭისა და უნარის წყალობით, ბოლოს კი იქამდე გავთავხედდით, ღმერთსაც კი ავუმხედრდით — ქალად დავიბადეთ თუ კაცად, ჩვენივე გადასაწყვეტიაო... მავანთათვის კი კორონავირუსი მხოლოდ ადამიანთა დაუდევრობის შედეგია ან კარგად გათვლილი მზაკვრობა.

პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა მორწმუნე საზოგადოების ნაწილს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სწორედ ის ქადაგება გაახსენა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. აი მისი სრული ტექსტი:

# «ჟამსა განსაცდელისასა, რომელიც მოელის მთელს მსოფლიოს, მე დაგიფარავ შენ»



**«უფალი უკვე არჩევს, ვინ უნდა დადგეს მარჯვენით და ვინ — მარცხენით. უფალი ხედავს ამას და ჩვენც ვხედავთ»**

## უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საკვირაო ქადაგება

**სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!**

**ჩვენთან არს ღმერთი!**

თითოეული თქვენთაგანისთვის კარგადაა ცნობილი მოღვაწეობა დიდი ღირსი მამისა სერაფიმე საროველისა. ნებისმიერ დროს, როცა მასთან ადამიანები მიდიოდნენ, ყველას მუდამ ასეთი სიტყვებით მიმართავდა: „სიხარულო ჩემო, ქრისტე აღსდგა!“ ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი დღე მისთვის აღდგომის დღესასწაული იყო.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ დღეს ახალი წლის საერო დღესასწაულია. ზოგი დღესასწაულობს ამას, ზოგი — არა. ჩვენ ვიცით, რომ წარსულში ახალი წლის აღნიშვნის თარიღი მრავალგზის შეცვლილა. იყო დრო, როცა ახალი წელი მარტიდან იწყებოდა.

საეკლესიო ახალი წელი ძველი სტილით 1 სექტემბრიდან იწყება.

მიუხედავად იმისა, ვდღესასწაულობთ დღეს ახალ წელს თუ არა, ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, მინდა, დღეს ყველამ ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რას ვაკეთებთ, ვინ ვიყავით წარსულში, ვინ ვართ დღეს და ხვალ ვინ ვიქნებით.

ძველი რომაელები ამბობდნენ: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად“. და ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ვიცვლებით, საით მივდივართ — როგორი ცვლილებაა ჩვენში — სიკეთისკენაა თუ ბოროტებისკენ.

უნდა გვახსოვდეს ერთი რამ, — ბრძოლა აუცილებელია. როგორც თქვა ერთმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა: „ქვეყანა გაიყო შუაზე და ბზარმა გაიარა ჩემს გულზე“. თვით ადამიანშია ეს წინააღმდეგობა და ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. მაგრამ ადამიანი არასოდეს არ უნდა შეურიგდეს ცოდვას, არ უნდა დატკბეს ცოდვით. მას უნდა ახსოვდეს, რომ ცოდვა ბოროტისაგანაა, იგი ბოროტი სულის მიერ ადამიანის დაცინვაა. შეაცდენს და შემდეგ დასცინის. საერთოდ, დაცინვა ბოროტი სულის თვისებაა. რაც არ უნდა ნაკლი დაინახო სხვა ადამიანში, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასცინო. **თუ ადამიანს რაიმე დადებითი თვისებები გააჩნია — სილამაზე თუ სიკეთე — უნდა ახსოვდეს, რომ ეს მისი დამსახურება არ არის. ეს არის ღვთის ჯილდო, ღვთის მადლი და ჩვენ მუდამ უნდა ვმადლობდეთ უფალს ამ დიდი წყალობისათვის.**

როცა გუშინ ერს ტელევიზიით ახალი წელი მივულოცე, ვთქვი, რომ **არსებობს სინერგია, რომელიც ღვთისა და ადამიანის ენერგიის დაახლოებით მიიღწევა. ეს არის ადამიანის მაცხოვნებელი, დიდებული და საოცარი პროცესი. საოცარ შედეგს გამოიღებს ის ადამიანი, რომელშიც სინერგია ხდება. მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად პირიქითაც ხორციელდება, როცა ერთმანეთს შორდება ღვთისა და ადამიანის ენერგია. ღმერთი ჩვენსკენ მოდის, ადამიანი კი მას შორდება. რატომ? იმიტომ რომ შეუძლებელია, შეუერთდეს ერთმანეთს კეთილი და ბოროტი. როცა ადამიანი ბოროტისკენ მიიდრიკება, იგი ღმერთს შორდება.**

ხშირად ამბობენ, რომ ღმერთი სჯის. ბოროტების მოქმედი ადამიანი ჯოჯოხეთში მიდის. ბოროტმოქმედი ადამიანი ღმერთმა სამოთხეში რომ შეიყვანოს, მისთვის ეს ტანჯვა იქნება, რადგან იგი მთელი ცხოვრება ბოროტებას ჩადიოდა, მთიდან დაქანებულ ქვას ემსგავსება და მას ველარაფერი შეაჩერებს.

დღეს ყველას უჭირს. უპირველეს ყოვლისა, ხალხს სულიერად უჭირს. ჩვენც, მორწმუნეებსაც, გვიჭირს და მითუმეტეს, ურწმუნო ადამიანს როგორ გაუჭირდება? ერთ მოხუცებულ ქალბატონს ჰკითხეს: დღეს ყველაზე მეტად რა აკლია ქართველ კაცსო? მან ასე უპასუხა: დღეს ყველაზე მეტად ქართველ კაცს ქართველობა აკლიაო. და ეს იმიტომ, რომ სულიერება აკლია და ქართული წეს-ადათი დაივიწყა ქართველმა ადამიანმა. როგორი კრძალვა იყო ძველად ქართულ ოჯახში შვილებსა და მშობლებს შორის! როგორი მორჩილება იყო შვილებისა მშობლების მიმართ! სადღაა დღეს ყოველივე ეს?!

**დღეს ყველაფერი შეიცვალა. თანამედროვე საზოგადოებაში წარმოიშვა ტერმინები: „ლიბერალიზმი“, „დემოკრატია“, „თავისუფლება“. მართალია, ადამიანს ღმერთმა თავისუფალი ნება მისცა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს თავისუფლება ჩვენი გამოცდაა.** ადამიანმა მონაწილეობა უნდა მიიღოს თავისი ცხონების პროცესში. ადამიანმა თავად უნდა გააკეთოს არჩევანი. მე არაერთხელ მითქვამს, რომ უფალი უკვე არჩევს, ვინ უნდა დადგეს მარჯვენით და ვინ — მარცხენით. უფალი ხედავს ამას და ჩვენც ვხედავთ.

**თუ ადამიანი დაეცა, ამის გამო სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდეს. მთავარი ის კი არ არის, რომ დაეცა; მთავარი ის არის, რომ მას ადგომის სურვილი ჰქონეს. მთავარი ის არის, რომ ადამიანს ცოდვა ცოდვად მიაჩნდეს და არა ჩვეულებრივ მოვლენად ან ადამიანის ბუნების თვისებად.**

წმიდა წერილში წერია: „არ არს კაცი, რომელიც ცხონდეს და არ სცოდოს“. ე.ი. არ არსებობს ადამიანი, რომელიც მოვიდეს ამქვეყნად და არ სცოდოს. წმიდა ეფრემ ასური ამისთვის შესანიშნავ წამალს გვთავაზობს, იგი უფლისამი ასეთ ლოცვას აღავლენს: ჰე, უფალო, მომანიჭე მე განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა“. რატომ დაუკავშირა წმიდა ეფრემ ასურმა ეს ორი რამ — „განცდაი თვისთა ცოდვათა“ და „არა განკითხვა“. იმიტომ რომ ადამიანი, რომელიც სხვა ადამიანს განიკითხავს, აუცილებლად ვარდება იმავე ცოდვაში, რასაც განიკითხავს. ამიტომ წმიდა ეფრემ ასურის ლოცვა არის საშუალება იმისა, რომ ადამიანი ცოდვებისაგან გათავისუფლდეს. ამას გისურვებთ თქვენ ყველას, ჩემს თავსაც, მთელს საქართველოს და მთელ ქვეყანას, რომ გავთავისუფლდეთ იმ „ძველი კაცისაგან“, ძველი ვნებებისაგან, ძველი ცოდვებისაგან, შურისაგან, მტრობისაგან, ორგულობისაგან, ურწმუნოებისაგან და ღვთის მადლით მოვიპოვოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება, სიყვარული, სასოება, თავმდაბლობა, მორჩილება და ყოველი სიკეთე, რომელსაც ანიჭებს უფალი მადლითა სულისა წმიდისათა.

უნდა ვიფიქროთ ჩვენს მომავალზე. ის, რასაც ჩვენ აწმყოს ვუწოდებთ, პრინციპში, წარსულია. აწმყო წამია, რომელიც მყისვე გაივლის და უკვე წარსულში გადადის. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, თუ აწმყოს არ ვახსენებთ და ვიტყვით მხოლოდ — წარსული და მომავალი. და იმედი გვაქვს, რომ მომავალი, ღვთის მადლითა და წყალობით, ღვთის კაცთმოყვარეობით კეთილი და მშვიდობიანი იქნება ჩვენთვის.

მინდა, შეგახსენოთ, რომ ათონის მთაზე წმიდა ათანასეს ლავრაში XVII-XVIII საუკუნეში მოღვაწეობდა ერთი ბერი — კირილოს ლავრიოტისი. იგი ლავრაში ცხოვრობდა და იმიტომ მიიღო ▶

„არსებობს სინერგია, რომელიც ღვთისა და ადამიანის ენერგიის დაახლოებით მიიღწევა. ეს არის ადამიანის მაცხოვნებელი, დიდებული და საოცარი პროცესი. საოცარ შედეგს გამოიღებს ის ადამიანი, რომელშიც სინერგია ხდება. მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად პირიქითაც ხორციელდება, როცა ერთმანეთს შორდება ღვთისა და ადამიანის ენერგია. ღმერთი ჩვენკენ მოდის, ადამიანი კი მას შორდება. რატომ? იმიტომ რომ შეუძლებელია, შეუერთდეს ერთმანეთს კეთილი და ბოროტი. როცა ადამიანი ბოროტისკენ მიიდრიკება, იგი ღმერთს შორდება“.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ასეთი სახელი — „ლავრიოტისი“, კირილე ლავრელი. ის **განმარტავს „იოანეს გამოცხადებას“ და ამბობს: როცა უფალი შვიდ ეკლესიას მიმართავს, VI — ფილადელფიის ეკლესია, არის საქართველოს ეკლესია. ჩვენ თუ წავიკითხავთ მიმართვას 7 ეკლესიისადმი, შევამჩნევთ, რომ ყველაზე კარგი ფილადელფიის ეკლესიისადმია, უფალი ბრძანებს: შენ წინ კარი ღიაა! ეს არის სასუფევლის კარი. იქ წერია ასევე, რომ „ჟამსა განსაცდელისასა, რომელიც მოელის მთელს მსოფლიოს (აქ იგულისხმება მეორედ მოსვლის წინ ანტიქტრისტეს მეფობის საშინელი ჟამი), მე დაგიფარავ შენ!“ — აი, ასე მიმართავს საქართველოს; ასეთია ნება ღვთისა, ასეთია წყალობა ღვთისა. მე არ ვიცი, რით დავიმსახურეთ ჩვენ ეს. საინტერესო ისაა, რომ კირილოს ლავრიოტისი ამას წერს იმ დროს, როცა საქართველომ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, როცა რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. და აი ამ დროს იგი საუბრობს საქართველოს გაბრწყინებაზე. და ჩვენ ვმადლობთ უფალს ამისათვის. დიდება და მადლობა უფალს მისი წყალობისა და კაცთმოყვარეობისათვის!**

ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გაგახაროთ, ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო! ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ, ქართველნი და მთელი საქართველო, ღირსი გახდეს ღვთის დიდი წყალობისა!

**ღმერთმა მშვიდობა, სიხარული და სიყვარული მოგანიჭოთ!**

**ღმერთმა დალოცოს და გაამთლიანოს სრულიად საქართველო!**

**ღმერთმა ბედნიერი შობაახალი წელი გაგითენოთ!**

**ჩვენთან არს ღმერთი!**

*(გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ ?1, 2006 წ.).*

**უამრავი «გაცვეთილი პოლიტიკური სახის» შემყურეთ სასოწარკვეთილებამდე რომ აღარაფერი გვაკლდა, კორონავირუსმა დაგვანახვა, რომ ჩვენ შორის არიან ადამიანები, რომელთაც ერის ბედითა და უბედობით «დაედაგვით მტკიცე გული», რომლებიც წინ წარუძღვებიან ხალხს და მის ტკივილს მალამოდ დაედებიან. დღეს მთელი ერი მოწიწებით ქედს იხრის და მადლიერია მათი, ვინც ამ მძიმე დღეებში, როცა საქართველო ცხოვრობს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში, ყველაფერს აკეთებს ცხოვრების ჩვეულ რიტმში დასაბრუნებლად**









# წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

# შეგონებანი

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული — მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

* * *

ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პილიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ამისთვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად.

* * *

საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, ღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანებოდა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავ-პირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა.

* * *

დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

* * *

წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძლვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკეედ, თავსითავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დღესასაწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

* * *

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენს ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით.

* * *

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

**ილია ჭავჭავაძე: «გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი». ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანებოდა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავ-პირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა**



ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა

ეს ყველაფერი, შეიძლება ითქვას, უბედურების ერთი ნახევარია, მეორე ნახევარი გადაგვარების ტენდენციის მაჩვენებელია: ქრისტიანულ ეკლესიებს ყიდულობენ მუსლიმი თემის წარმომადგენლები და იქ მაჰმადიანურ მეჩეთებსა და მედრესებს აარსებენ. ისლამისტების მიერ ასეთი შესყიდვები წახალისებულია. მეტიც, აქტიურად მიმდინარეობს ევროპული ქვეყნების ძირძველი მოსახლეობის ისლამიზაცია ყოველგვარი ძალადობის გარეშე. ევროპელები ნებაყოფლობით ხდებიან ისლამის მიმდევრები. მიზეზი ზნეობის დეგრადაციაა ბებერ ევროპასა და „წინწასულ" ჩრდილოეთ ამერიკაში.

**კათოლიკური და ქრისტიანული პროტესტანტული მიმდინარეობების ღვთისმსახურთა შორის იშვიათი არ არის მრავალცოლიანობის, პედოფილიის, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის, ძალადობისა და სხვა უმძიმეს ცოდვათა ჩადენის ფაქტები.**





რესტორანი ლონდონის ერთ-ერთ ძველ ტაძარში

## ევროპაში რა ხდება?

**ზოგიერთი მოქალაქის წიოკი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, რომ ეს რწმენა ცუდზე უცუდესია, დეგრადირებულია, მღვდლები და მრევლის წევრები ცრუობენ, როცა მართლმადიდებლობის ზნეობრიობაზე ლაპარაკობენ, ხოლო ქრისტიანობის წინააღმდეგ ამხედრებულები არიან „თეთრები და ფუმფულები", სანიმუშონი და უწესიერესნი, ლგბტ თემის პროპაგანდაა.**

ისმენ ამას და რწმუნდები, რომ ენას მართლა არ აქვს ძვალი, ანტიქრისტიანულ პროპაგანდას კი — საზღვარი.

მთავარი შეტევა რუსეთის წინააღმდეგ ვითარდება, მასშტაბური და ყოვლისმომცველი.

ასეთ ვითარებაში ეგებ ღირს, რეალისტურად შევადაროთ რწმენის დონე და ხარისხი რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის. გავარკვიოთ, ფაქტობრივად, რა მდგომარეობაა, ერთი მხრივ, დასავლეთ ევროპის პროტესტანტულ და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში; მეორე მხრივ, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

ასეთი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოკვლევა მართლაც ჩატარდა და ფრიად საინტერესო სურათი დაიხატა. გაირკვა, რომ ცივილიზებულ დასავლეთ ევროპაში პროტესტანტული ეკლესიები და რომაულ-კათოლიკური ტაძრები იხურება. ამ სამწუხარო ტენდენციის მიზეზი არის რწმენის ფალსიფიკაცია, ტრადიციული ქრისტიანული რწმენისგან დისტანცირება და ფილოსოფიური პოსტმოდერნის მიმდევრობა.

გაირკვა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კათოლიკური, პროტესტანტური ტაძრები გავერანდა, აუქმებენ და ყიდიან, როგორც ფუნქციადაკარგულ შენობებს. გასხვისებულ რელიგიურ-საკულტო ნაგებობებს გამოიყენებენ, როგორც თავისუფალ სივრცეს, ახალი ბარების, კლუბების, კაფეების, საკონცერტო და საცეკვაო დარბაზების და ა.შ. ქსელების გასაფართოებლად.



## აშშ-ში დააპატიმრეს პედოფილი და ქალი, რომელმაც მას თავისი გოგონების გაუპატიურების ნება დართო

**ამერიკის ოჰაიოს შტატში დააპატიმრეს 64 წლის კაცი და 27 წლის დედა, რომელმაც მას ორი მცირეწლოვანი გოგონას გაუპატიურების ნება დართო, — იუწყება Daily Mail.**

გამოძიების მონაცემებით, **მარიონ სტანგმა** რამდენჯერმე გააუპატიურა გოგონები, რომლებიც ათი წლისანიც არ იყვნენ. მათმა დედამ — **სერენა ჰოლმა** — იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ „ოჯახის მეგობარს" ნებას რთავდა, ჩაედინა ეს გარყვნილება.

მამაკაცი გოგონებს რამდენიმე წლის განმავლობაში აუპატიურებდა, მანამდე, სანამ ბავშვთა დაცვის სამსახურმა არ მიიღო ანონიმური წერილი.

დედისა და პედოფილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

## რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც გადარჩენის ერთადერთი საშუალება



**რუსეთის ეკლესია აღმოჩნდა ერთადერთი საშუალება 35 წლის ანასთვის, რომელიც თავის შვილებთან ერთად გამოექცა ნორვეგიელ პედოფილ ქმარს. ამჟამად შეფარებულია შორეულ ვლადიმირის ოლქის მონასტერს და ეშინია, რომ სამეურვეო ორგანოებმა შეიძლება წაართვან ბავშვები და გარყვნილ მამას დაუბრუნონ.**

ანა ეთნიკური რუსია, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ესტონეთში. იქ გაიცნო თავისი მომავალი ნორვეგიელი ქმარი. მისგან ეყოლა ორი გოგონა. თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ შემდეგ რაღაც უცნაურობამ იჩინა თავი.

პირველი შემაშფოთებელი ზარი გაისმა მაშინ, როცა ქმარმა გოგონების დაბანა იკისრა. არადა, ადრე მას ასეთი სურვილი არ გასჩენია. ანას ამ „სიახლისთვის" თავიდან განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ერთხელ „ბანაობისას" რომ შევიდა აბაზანაში, ასეთი სურათი დაინახა: მამა და შვილი შიშვლები დგანან და გოგონა ეთამაშება ქმრის ერეგირებულ სასქესო ორგანოს.

**ანამ აუკრძალა ქმარს გოგონების დაბანა და დახმარებისთვის დაუყოვნებლივ მიმართა ნორვეგიის ბავშვთა დაცვის სამსახურს, მაგრამ იქაურმა მუშაკებმა ვერაფერი უცნაური ვერ შენიშნეს მამის საქციელში. თუმცა იცოდნენ, რომ ანას ქმრის მამა უწინ პედოფილიის ბრალდებით იყო გასამართლებული.**



**მადლობა ღმერთს, რომ ეს ამბავი დედისთვის არ დაუმალავთ. ანამაც არ დააყოვნა და ქმართან გაშორების განცხადება შესაბამის უწყებაში შეიტანა.**

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვები დედას მიაკუთვნეს, მაგრამ მამას ნება დართეს, ორ თვეში ერთხელ ერთი კვირით ბავშვები თავისთან, ნორვეგიაში წაიყვანოს იმ პირობით, რომ შვილებთან მარტო არ დარჩებოდა. ასე გაგრძელდა მომდევნო სამი წლის განმავლობაში, მაგრამ სიტუაცია თანდათან გაუარესდა.

2016 წლის მაისში ყოფილმა ქმარმა ბავშვები ტალინში ჩაიყვანა, რათა პირადად ჩაებარებინა ისინი დედისთვის, მაგრამ დამშვიდობების დროს უმცროსმა გოგონამ მამასთან მიირბინა და რამდენჯერმე აკოცა ფეხებს შორის, საზარდულში. როცა უფროსები დაინტერესდნენ მისი უცნაური საქციელით, ბავშვმა უპასუხა, რომ ნორვეგიაში ყოველთვის ასე ეთამაშებოდა მამას. ანამ ისიც შეამჩნია, რომ გოგონებს ყოველთვის ტკიოდათ საზარდული. ექიმმა გასინჯა: სასქესო ორგანოები გოგონებს ძლიერ ჰქონდათ გაღიზიანებული. ეს ყველაზე „უწყინარი" ფაქტია იმ ამბების რიგიდან, რომლებზეც ანამ ილაპარაკა. მაგრამ ესტონეთის სამართალდამცავებმა და ბავშვთა მეურვეობის სტრუქტურის მუშაკებმა ამ ყველაფერზე თვალი დახუჭეს. ბავშვები პედოფილი მამის ხელში რომ არ ჩაეგდო, დედა რუსეთში გადაიხვეწა. იგი და მისი გოგონები ვლადიმირის ოლქში მონასტერმა შეიფარა.




„მადლობელი ვარ რუსი მართლმადიდებელი ადამიანების, რომლებმაც შეგვიფარეს და დახმარება აღმოგვიჩინეს. რა იქნება შემდეგ, არ ვიცი, მთელი ცხოვრება მონასტერში დამალვას ვერ შევძლებთ. სამუშაოს დაწყება ჯერ არ შემიძლია, რადგან არ მაქვს საბუთები, მაგრამ ეს პედოფილ მამაზე მაინც უკეთესია", — იმეორებს ანას სიტყვებს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა" ამ საზარელი ამბისადმი მიძღვნილ თავის პუბლიკაციაში.

**რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების თვითმფრინავით 22 მარტს იტალიაში ჩავიდა სამხედრო ვირუსოლოგებისა და მედიკოსების რვა ბრიგადა, ჩაიტანეს ტრანსპორტისა და ტერიტორიის აეროზოლური დეზინფექციის კომპლექტები, აგრეთვე — სამედიცინო მოწყობილობა.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ევროკავშირმა იტალია ბედის ანაბარა მიაგდო. რუსეთმა დახმარების ხელი გაუწოდა

**ვლადიმერ პუტინმა და იტალიის პრემიერმა ჯუზეპე კონტემ კორონავირუსთან ბრძოლაში მჭიდრო თანამშრომლობაზე მოილაპარაკეს.**

რუსეთმა და იტალიამ განიხილეს კორონავირუსის პანდემიის გამო შექმნილი ვითარება და ორივე ქვეყანაში ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებანი.

**ვლადიმერ პუტინმა** იტალიელ ხალხსა და იტალიის ხელმძღვანელობას თანადგომა გამოუცხადა უკიდურესად მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო, რომელიც ქვეყანაში არის შექმნილი. **კონტემ** მადლობა გადაუხადა რუსეთს დასახმარებლად გადადგმული ნაბიჯებისთვის.

**„იტალიის მხარის მომართვის საპასუხოდ რუსეთის პრეზიდენტმა დაადასტურა მზადყოფნა, ოპერატიულად გაუწიოს საჭირო დახმარება“,** — იუწყება კრემლის პრესსამსახური.

რუსეთის სამხედრო-კოსმოსური ძალების თვითმფრინავით 22 მარტს იტალიაში ჩავიდა სამხედრო ვირუსოლოგებისა და მედიკოსების რვა ბრიგადა, ჩაიტანეს ტრანსპორტისა და ტერიტორიის აეროზოლური დეზინფექციის კომპლექტები, აგრეთვე — სამედიცინო მოწყობილობა.




# გლობალიზაცია კვდება არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ ადამიანების გონებაშიც

**ექსპერტები ერთსულოვანნი არიან: მიმდინარე პროცესები უმძიმესად ურტყამს ეროვნულ ეკონომიკებს და მათთან ერთად გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკასაც, მაგრამ პრობლემა მხოლოდ ეკონომიკით არ იფარგლება. გაცილებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის ადამიანური ასპექტი, რომელიც ჩვენ თვალწინ კარდინალურად იცვლება — კვდება.**

გამჭვირვალე მსოფლიოს იდეა, რომელშიც ნებისმიერს შეუძლია გადაბარგდეს და დამკვიდრდეს მისთვის სასურველ ადგილას (დროებით ან სამუდამოდ), არის თანამედროვე ცივილიზაციის ღირებულებათა შორის ერთ-ერთი, რომელიც საკმაოდ წარმატებულად არის ჩანერგილი ჩვენს ცხოვრებაში. ნებისმიერი გამონაკლისი წლების განმავლობაში ითვლებოდა შესაბამისი ქვეყნების „ბარბაროსობისა და ტირანიის“ სამხილად.

იდეამ, რომლის მიხედვით, ნებისმიერს შეუძლია იცხოვროს, იშრომოს ან დაისვენოს პლანეტის ნებისმიერ წერტილში, სადაც მოესურვება, პრაქტიკულად მთელი კაცობრიობა მოიცვა. ამ საფუძველზე აღმოცენებული ჩვეულებები და მისწრაფებები დღეს არსებობას წყვეტს. უქმდება დასაქმების ადგილები, იცვლება ცხოვრებისეული გეგმები, ადამიანები ფინანსურად ზარალდებიან. ეს ყველაფერი ნებისმიერ ქვეყანაში ხდება, მიუხედავად იმისა, დემოკრატიისა და თავისუფლების რეიტინგებში რომელ ადგილს იკავებენ. უფრო მეტიც: ფაქტია, რომ აშშ სათავეში ჩაუდგა მოძრაობას „ისხედით შინ, ისარგებლეთ მხოლოდ მშობლიურით“, რომელიც კლავს იმედს იმისა, რომ ყველაფერი შეიცვლება პანდემიური ფორსმაჟორის დასრულებისთანავე და თავის ადგილს დაუბრუნდება.

დღევანდელი მოვლენები უფრო წინასწარი გაფრთხილებაა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, შემდეგ ყველაფერი უფრო სერიოზული იქნება.

# კორონავირუსმა ლიბერალური გლობალიზაციის არაადამიანური ბუნება გამოამჟღავნა



**ყველაფერი საკმაოდ ატიპურად დაიწყო: დასაწყისში ასპარეზზე გამოიყვანეს გრეტა, რომელიც დაემუქრა უფროს თაობას და Climate-აპოკალიფსის შექმნა დასწამა. შემდეგ კი აამოქმედეს თვით ჭირი, რომელიც მაინცდამაინც უფროს თაობას კლავს.**

ყველაფერი უფროსი თაობის ბრალია!

უწინ პირიქით იყო — ჯერ ეპიდემია, შემდეგ მის ფონზე გამოჩნდებოდნენ ცრუ წინასწარმეტყველები. ამჟამად ახალი რეალობის მოწმენი ვხდებით — სოცქსელების გავლენის: თუ ერთხელ შეძლეს **გრეტა ტუნბერგის** გიჟური გამოსვლებით ხალხის დაშინება, მაშასადამე, შეიძლება მეორე ეტაპის ამოქმედება.

მანამდე კი აქტივისტები უფროსი თაობის დემონიზებით იყვნენ დაკავებულები. გერმანიის ტელევიზიის პირველი არხის — ARD-ს ეკრანზე გამოიყვანეს **ბავშვების გუნდი, რომელიც მღეროდა: „ბებიაჩემი ბებერი ეკოლოგიური ღორია“.** ბოლოს და ბოლოს, **დადგა ბებიების გასაჟლეტად ჭირიანობის ჟამი, რომელმაც ნორჩი გულების თაობა უნდა გაათავისუფლოს ქიმერისგან, სახელად სინდისი.** იმავე ARD-ზე (ჩვენი საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსი არხი გერმანიაში) გამობრძანდა იქაური სატირიკოსი **ზილბერშტაინი** და განაცხადა: **„კორონის გამო ძირითადად უფროსი თაობა რომ იღუპება, არის ბუნების დიადი სამართალი, რადგან სწორედ თაობამ 60+ მსოფლიო კედელთან მიაყენა“.** ღია ტექსტით თქვა მილიონიანი აუდიტორიის წინაშე.

ასეთია მათი სატირა პანიკის მწვერვალზე.

# სი ძინპინმა ევროპის ქვეყნების ლიდერებს დახმარება შესთავაზა

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინპინი ტელეფონით ესაუბრა გერმანიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ლიდერებს კორონავირუსის გავრცელების საფრთხის შესახებ, — ნათქვამია 21 მარტს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**



ჩინეთის ლიდერმა დახმარება შესთავაზა ევროპელ ლიდერებს ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხაზი გაუსვა საერთო საფრთხის წინააღმდეგ ქვეყნების ძალისხმევის გაერთიანებას.

„ჩინეთი ერთგულია ერთიანი კაცობრიობის იდეის, რომელსაც ერთი ბედი აკავშირებს. ჩვენ მზად ვართ, გაგიზიაროთ გამოცდილება და ინფორმაცია“, — ნათქვამია ჩინეთის საგარეო საქმეთა უწყების განცხადებაში.



# მეცნიერებმა დააზუსტეს უჰანში ვირუსისგან გარდაცვლილთა რაოდენობა

**ახალი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ Nature Medicane-ში, SARS-CoV-2-ით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ უჰანში 1,4 პროცენტი შეადგინა.** ეს მანამდე გამოქვეყნებულ მონაცემებზე გაცილებით ნაკლებია, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი 2-სა და 3,4-ს შორის მერყეობდა. ახალ გამოკვლევაში გააანალიზეს პირველი აფეთქებიდან 29 თებერვლამდე მომხდარი შემთხვევები, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა.

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

Bugatti La Voiture Noire






# ყველაზე ძვირად ღირებული ავტომობილები

**ავტომობილები, რომელთა მონაცემებსაც ქვემოთ გაეცნობით, რამდენიმე მილიონი ღირს, 2019 წლის მონაცემებით. მათი ტირაჟი კი მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია.**



## 1. Bugatti La Voiture Noire — 18,7 მლნ დოლარი

უნიკალური Bugatti La Voiture Noire (ფრანგ. „შავი ავტომობილი“) ჟენევის 2019 წლის ავტოსალონის სენსაციად იქცა. ფრანგული ავტომობილი, რომელიც ერთადერთ ეგზემპლარად გამოუშვეს Porsche-ს დამფუძნებლის შვილიშვილ **ფერდინანდ პიხასთვის,** 18,7 მლნ დოლარად შეაფასეს. ავტომობილს 1500 ცხენის ძალის 8,0-ლიტრიანი V16 მოცულობის ძრავი აქვს.




## 2. Rolls-Royce Sweptail — 12,8 მლნ დოლარი

ინდივიდუალური შეკვეთით 2017 წელს დამზადებული Rolls-Royce Sweptail -ი შემკვეთისა და ბრიტანული მარკის დიზაინერების ერთობლივი მუშაობის შედეგია.

შემკვეთის ჩანაფიქრის მიხედვით, ავტომობილი უნდა ყოფილიყო 1930-იანი წლების „როლს-როისის“ მსგავსი, მაგრამ თანამედროვე იახტებზე უფრო მდიდრული.

Sweptail-ი ტექნიკურად იმეორებს Phanton Coupe-ს, რომელიც დონორად გამოიყენეს, მაგრამ სალონის დეტალები და გაფორმება ორიგინალურია.



## 3. Mersedes-Benz Maclaren Red Cold Dream — 11 მლნ დოლარი

შვეიცარიელ დიზაინერული ანლიკირს ძალისხმევა არ დაუშურებია ამ სუპერკარის შესაქმნელად. დუბაის შეიხის შეკვეთით გერმანული ავტომობილი 999 სინჯის ოქროთი და 600 ლალითაა მორთული. ამ ავტომობილზე 30 ათასი საათის განმავლობაში მუშაობდნენ.




## 4. Ford GT40 ფილმიდან «ლე მანი» — 11 მლნ დოლარი

1968 წელს გამოშვებული Ford GT40 ორი არაოფიციალური რეკორდის მფლობელია: ეს არის ყველაზე ძვირად ღირებული ამერიკული ავტომობილი და ყველაზე ძვირი საგანი, რომელიც დაკავშირებულია კინემატოგრაფთან, ავტომობილი გადაღებულია საკულტო ფილმ „ლე მანში“.



## 5. Maybach Exelero — 8 მლნ დოლარი

Maybach-ის ეს ერთადერთი ეგზემპლარი 2005 წელს გამოუშვეს საბურავების კომპანია Fulda-ს შეკვეთით. ეს ავტომობილი დამზადებულია Maybach 57-ის შასიზე, აქვს 700 ცხენის ძალის 6,0-ლიტრიანი ძრავა. ეს მოდელი შეიძინა მუსიკოსმა **ბრაიან ვილიამსმა.** რეპერმა „დაიმლერის“ მიერ შექმნილ ამ ავტომობილში 8 მლნ გადაიხადა.




## 6. McLaren X-1 — 5 მლნ დოლარი

„მაკლარენის“ ამ მოდელის გამოშვებას 3 წელიწადი დასჭირდა. ის აგებულია MP4-12C–ს შასიზე. ავტომობილს აქვს 3,8-ლიტრიანი V8 ძრავა — ბიტურბო.



## 7. Lamborghini Veneno Roadster — 4,5 მლნ დოლარი

ფუტურისტული Lamborghini საზოგადოებამ პირველად 5 წლის წინათ იხილა. გამოშვებულია სულ 9 ეგზემპლარი, რომლებიც თვალის დახამხამებაში გაიყიდა ფასის მიუხედავად — 4,5 მლნ დოლარი. მანქანას აქვს „ავენდატორის“ 6,5-ლიტრიანი V12 ძრავა.




## Ferrari 250 GTO — 48,4 მლნ დოლარი

**ეს ავტომობილი სარეიტინგო სიის გარეთაა. გამოშვებული 36 ეგზემპლარიდან თითოეული კოლექციონერის ოცნებაა. ამ სარბოლო „ფერარის“ ფასი დღეს 48,4 მლნ დოლარია, თუმცა ასეთი ავტომობილი, რომლის შასის ნომერი 4153GT-ია, 70 მლნ დოლარად იყიდება.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჩრდილოეთ უელსის მთების დალაშქვრისას მიხეილ ხერგიანს „კლდის ვეფხვი“ შეარქვეს. შეგახსენებთ: ევერესტის პირველ დამპყრობს, ედმუნდ ჰილარისთან ერთად, ტენცინგ ნორგეის „თოვლის ჯიქი“ შეარქვეს, ნეპალელი ნორგეი მეგობრობდა მიხეილ ხერგიანთან, ისინი იალბუზზე ერთად უნდა ასულიყვნენ, მაგრამ იმ დღეს გაავდრდა და ნეპალელმა უარი თქვა. მიხეილ ხერგიანი კი ავიდა მწვერვალზე და სალებავით დააწერა: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, ტენცინგ!“ ნეპალელი იალბუზზე მეორე დღეს ავიდა და, წარწერა რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა.

# «კლდის ვეფხვს» 88 წელი შეუსრულდებოდა

**ამა წლის 20 მარტს გამოჩენილ ქართველ ალპინისტ მიხეილ ხერგიანს, მეტსახელად „კლდის ვეფხვს“ 88 წელი შეუსრულდებოდა. მისი გზა აღმავლობისას შეწყდა. მიუხედავად უამრავი წარმატებისა, უფრო ბევრს მოასწრებდა, რომ არა უბედური შემთხვევა დოლომიტებში (ალპებში) 1969 წელს. მიხეილ ხეირგიანმა სულ 37 წელი იცხოვრა და ამ წლებში მან თითქოს რამდენიმე სიცოცხლე ჩადო.**

სახელგანთქმული ალპინისტი, სსრკ-ის 7-გზის ჩემპიონი, მრავალგზის ჩემპიონი კლდეზე ცოცვაში **მიხეილ ხერგიანი** 1932 წელს მესტიაში დაიბადა.

ხერგიანი ამბობდა: „სამი სახელი მაქვს, ჩემი ნამდვილი სახელია ჩხუმლიანი, ნათლობისას ეს სახელი შორეული წინაპრის პატივსაცემად დამარქვეს. ჩემი მეორე სახელია მინანი — ასე მეძახიან მამა, ძმები, დები, ახლო ნათესავები. ჩემი მესამე სახელია მიხეილი — ასე მომნათლეს ალპინიზმის ინსტრუქტორების სკოლაში — ჩხუმლიანს ვერ გამოთქვამდნენ.

მიხეილ ხერგიანი ბავშვობიდან მთების სიყვარულით იზრდებოდა. მისი მამა — ბესარიონ ხერგიანი იყო ალპინისტი, რომელმაც 1937 წელს უშბა დალაშქრა. ალპინისტები იყვნენ მისი ბიძა და ბიძაშვილიც.

მიხეილი ბავშვობიდანვე მიიწევდა მთებისკენ – ცოცავდა კლდეებზე და დაკავებული იყო სამთო-სათხილამურო სპორტით. ჰქონდა რელიეფის გავლის უნიკალური ტექნიკა. როცა ადამიანები უყურებდნენ მიხეილ ხერგიანის ასვლას კლდეზე, ექმნებოდათ შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი ძალიან ადვილია.

ჩრდილოეთ უელსის მთების დალაშქვრისას მიხეილ ხერგიანს „კლდის ვეფხვი“ შეარქვეს (შეგახსენებთ: ევერესტის პირველ დამპყრობ **ედმუნდ ჰილარისთან** ერთად, **ტენცინგ ნორგეის** „თოვლის ჯიქი“ შეარქვეს, ნეპალელი ნორგეი მეგობრობდა მიხეილ ხერგიანთან, ისინი იალბუზზე ერთად უნდა ასულიყვნენ, მაგრამ იმ დღეს გაავდრდა და ნეპალელმა უარი თქვა. მიხეილ ხერგიანი კი ავიდა მწვერვალზე და სალებავით დააწერა: „კეთილი იყოს შენი მობრძანება, ტენცინგ!“ ნეპალელი იალბუზზე მეორე დღეს ავიდა და, წარწერა რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა. ეს იყო **ჯონ ჰანტის** კომპლიმენტი მიხეილ ხერგიანისადმი, როდესაც მან **ჯო ბრაუნთან** ერთად ურთულესი კლდე დაძლია და ეს იყო დამსახურებული წოდება. ხერგიანმა კლდეზე ინდივიდუალურად ცოცვაში 1960-1967 წლებში ყველა საკავშირო შეჯიბრება მოიგო. კლდეზე ცოცვის მაღალი ოსტატობა დაეხმარა მას კავკასიონის ქედზე, ბულგარეთის მთებსა და ალპებში (შამონიში გრან-კაპუცინის კედელი, პტი-დრიე და გრან-უორჰარი ხერგიანმა **ვიაჩესლავ ონიშენკოსთან** (მოსკოვი) ერთად რამდენიმე საათში გაიარა) ბევრი მწვერვალი დაეპყრო, ამიტომ კომენტატორები და სპეციალისტები მიხეილ ხერგიანზე ლაპარაკისას ყოველთვის იხსენებენ მის ტიტულსაც — „კლდის ვეფხვს“.

და კიდევ ის იყო მაღალი კლასის მაშველი. გამოირჩეოდა არა მხოლოდ ტექნიკით, არამედ თავგანწირვითაც. თვითონ მიხეილი ამბობდა: **„მე ბევრი მედალი მაქვს, მაგრამ გაცილებით მიხარია, როდესაც ვიხსენებ, რამდენი ადამიანი მყავს გადარჩენილი“.**

## სუ-ალტო

1969 წელს იტალიაში რამდენიმე მწვერვალის წარმატებით დალაშქვრის შემდეგ მიხეილ ხერგიანი სუ-ალტოთი დაინტერესდა. ამ მწვერვალის მარშრუტის დაძლევა ბევრი ცნობილი ალპინისტის ოცნება იყო, მაგრამ ქვების ცვენის გამო მას ბევრი უფრთხოდა. მიხეილ ხერგიანმა გადაწყვიტა, ეს რთული მარშრუტი ცალფა თოკით დაეძლია. ხერგიანის გადაწყვეტილებამ მთამსვლელები გააოგნა, რადგან ყველა ცდილობდა, ასეთი სირთულის მწვერვალი მხოლოდ ორფა თოკით ორმაგი დაცვით (აღსანიშნავია, რომ მთამსვლელი, რომელიც მწვერვალზე პირველი ადის, ჯერ ერთ თოკს ამაგრებს, შემდეგ მეორეს. ეს არა მხოლოდ ასვლაში ეხმარება ალპინისტებს, არამედ ერთგვარი უსაფრთხოების ფუნქციის მქონეც არის ეს თოკები სხვადასხვა ადგილას მაგრდება და ქვის ცვენის შემთხვევაში, თუ ერთი თოკი გაწყდება, მეორე მთელი რჩება) დაეპყრო. ხერგიანი ფიქრობდა, რომ სუ-ალტოს რეკორდულად მცირე დროში დალაშქრავდა.

1969 წლის 4 ივლისს მიხეილ ხერგიანი და მისი მეწყვილე ვიაჩესლავ ონიშენკო სუ-ალტოზე ასვლას შეუდგნენ. 600 მეტრზე ასვლის შემდეგ, როცა მიხეილ ხერგიანი კლდის კუთხეში იმყოფებოდა, ქვის ცვენა დაიწყო, თოკი ქვამ გადაჭრა და მიხეილ ხერგიანი მთას მოსწყდა...

„კლდის ვეფხვი“ ჩამოასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს მესტიაში.











**ხერგიანმა კლდეზე ინდივიდუალურად ცოცვაში 1960–1967 წლებში ყველა საკავშირო შეჯიბრება მოიგო. კლდეზე ცოცვის მაღალი ოსტატობა დაეხმარა მას კავკასიონის ქედზე, ბულგარეთის მთებსა და ალპებში (შამონიში გრან-კაპუცინის კედელი, პტი-დრიე და გრან-უორჰარი ხერგიანმა ვიაჩესლავ ონიშენკოსთან (მოსკოვი) ერთად რამდენიმე საათში გაიარა) ბევრი მწვერვალი დაეპყრო, ამიტომ კომენტატორები და სპეციალისტები მიხეილ ხერგიანზე ლაპარაკისას ყოველთვის იხსენებენ მის ტიტულსაც — «კლდის ვეფხვს»**

## ხსოვნა

*** 1969 წლის 8 აგვისტოს ნოვოსიბირსკის მთამსვლელთა კლუბის წევრებმა თურქესტანის ქედზე მდებარე 4960 მ სიმაღლის მწვერვალს მიხეილ ხერგიანის სახელი უწოდეს.**

*** 1971 წლიდან თამაშდება ხერგიანის სახელობის პრიზი კლდეზე ცოცვაში.**

*** ხეგიანის პატივსაცემად მემორიალური დაფები გაკრულია ალპინისტურ ბანაკ „შხელდასა“ და მწვერვალ სუ-ალტოზე.**

*** ვლადიმერ ვისოცკიმ მას მიუძღვნა სიმღერა „მწვერვალზე“, ხოლო ევგენი ევტუშენკომ — ლექსი „ხერგიანის თოკი“.**

*** 1978 წელს აშშ-ის სმიტსონის ობსერვატორიის მიერ აღმოჩენილ მცირე პლანეტას (№3234, რომელიც მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის მოძრაობს) საბჭოთა ასტრონომის — ნ. ჩერნიხის წინადადებით, მიხეილ ხერგიანის სახელი დაარქვეს.**

*** მესტიაში გახსნილია მიხეილ ხერგიანის მემორიალური მუზეუმი.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**










# ვის აძლევს ხელს სოციალური ფსიქოზი



**ზოგიერთ ქვეყანაში სხვაგვარად უდგებიან კორონავირუსის პანდემიას — სხვა უმეტესი ქვეყნისგან განსხვავებით. ხელისუფლება არ ამძაფრებს პანიკას და არ მიიჩნევს ამ დაავადებას სასიკვდილო საფრთხედ მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის.**

კორონავირუსი დაუმარცხებელია. იგი მოვიდა ნახევარი წლით, ორი წლით, სამუდამოდ გვემუქრება ახალი, უფრო საშიში და სახიფათო ტალღებით! — ასე აშინებენ მთელ მსოფლიოში პოლიტიკოსები და მეცნიერები დემორალიზებულ ობივატელებს.

პოლიტიკოსები ცეცხლზე ნავთს ასხამენ: დასნებოვნდება მოსახლეობის 70 პროცენტი, გარდაიცვლება „მილიონები", „ეს სერიოზულია", როგორც მეორე მსოფლიო ომი, ყველგან შემოიღებენ კომენდანტის საათს.

სოციალური ფსიქოზითა და პანიკით აშკარად სარგებლობენ მთავრობები და ყველა ჯურის ყალთაბანდები. ხელისუფლებაში მყოფნი თავიანთ ყველა შეცდომას კორონავირუსის შემოტევით ამართლებენ და კრძალავენ ყველაფერს, რისი აკრძალვაც დიდი ხნის წინათ ჰქონდათ ჩაფიქრებული. **მთავარი მაინც ის არის, რომ საზოგადოებრიობის ყურადღება პანდემიამდე დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან საყოველთაო ფსიქოზზე გადაიტანონ.** ჩააცხრონ იგი ფარატინა ქაღალდის ფასის მქონე ფულის ბანკნოტების უსაზღვრო ბეჭდვით. აშშ-ში მასთან საბრძოლველად გამოყოფილი ტრილიონი დოლარის დიდ ნაწილს, უბრალოდ, დაურიგებენ მოსახლეობას. ევროპაში 750 მილიარდ ევროს ჩაურიცხავენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს.

სად არის ამ დროს საქართველო ჩვენი საერთაშორისო „პარტნიორ-მეგობრებისთვის? რით გამოიხატება მათი ჩვენდამი დახმარება? ისინი მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ ისტერიკის მოსაწყობად აფინანსებენ ჩვენს „სამოქალაქო სექტორს". ასე „გვეხმარებიან" საქართველოს ეკონომიკის „მხარდასაჭერად".





## ალექსანდრე ლუკაშენკო:

# მსოფლიო გააგიჟა ამ კორონავირუსმა, ეს ფსიქოზია

**რამდენიმე დღის წინათ ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს მოხსენებით ეახლნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იგორ სერგეენკო, უშიშროების საბჭოს სახელმწიფო მდივანი ანდრეი რავკოვი, ჯანდაცვის მინისტრი ვლადიმერ კარანიკი, რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლები.**

„დღეს თქვენ მოგიწვიეთ ბელარუსში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის განსახილველად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორონავირუსული ფსიქოზის პირობებში. ამ კორონავირუსს მე მოვიხსენიებ, როგორც ფსიქოზს, და ამაზე უარს არასოდეს ვიტყვი, რადგან თქვენთან ერთად გადატანილი გვაქვს ბევრი ფსიქოზი და ვიცით, სადამდე მივყავდით მას. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მიმდინარე ამბები იმნაირივე ფსიქოზია, ერთს რომ ხელს აძლევს, მეორისთვის კი მავნეა".

პრეზიდენტის აზრით, „ცივილიზებული მსოფლიო გაგიჟდა, პოლიტიკოსებმა კი უკვე დაიწყეს თავიანთი ინტერესებისთვის სიტუაციის გამოყენება".

პრეზიდენტს მიაჩნია, რომ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებას ბელარუსისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ქვეყანაში უწინაც კარგად ებრძოდნენ ინფექციას და ამჟამადაც იმავეს აკეთებენ.

პრეზიდენტმა ისიც ახსნა, რატომ გრძელდება სასწავლო პროცესი ბელარუსის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა ევროპული ქვეყნისგან განსხვავებით.

**„თუ მშობლებს ეშინიათ, არ გაუშვათ ბავშვები სკოლაში, ამას არ გიკრძალავთ. მაგრამ, თუ სკოლებში გამოვაცხადებთ არდადეგებს, ეს მხოლოდ გაამწვავებს ვითარებას, რადგან ბავშვები გაემგზავრებიან ბებიებთან. ხანდაზმულები კი რისკის ჯგუფში იმყოფებიან. ჩვენ დავღუპავთ მოხუცებს! ამიტომ არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. 30 მარტიდან უნდა დაიწყოს არდადეგები, დაიწყება კიდეც. ჩვენ რა, პრობლემები გვაქვს სკოლებში?! არ გვაქვს პრობლემები. ამასთანავე, ბავშვებს, მშობლებს, მასწავლებლებს იმასაც თუ ვასწავლით, რომ დროზე დაიბანონ ხელები, აიფარონ პირბადეები, ძალიან კარგი იქნება. საზოგადოება უკვე ეჩვევა ამას. ზედმეტად ნუ ვიმოქმედებთ იქ, სადაც ამის აუცილებლობა არ არის",** — დარწმუნებულია **ლუკაშენკო.**

# ბრიტანეთის სხვაგვარი მიდგომა: რაც უფრო მკაცრია კარანტინი, მით მეტია მსხვერპლი



**არის ქვეყნების მცირე ჯგუფი ბრიტანეთის მეთაურობით, რომლის ხელისუფალნიც სხვა აზრზე არიან: თუ კორონავირუსი გარდაუვალია, უნდა მივყვეთ მარტივ და გასაგებ რეკომენდაციებს იმის თაობაზე, როგორ მივუდგეთ მას პანიკის გარეშე და მომავლის რწმენით, მოსახლეობა ფსიქოლოგიური ტრავმებისა და შიშისგან რომ დავიცვათ.**

სხვა ქვეყნებისა და ექსპერტების მოსაზრებებისგან განსხვავებული ასეთი პოლიტიკის განხორციელება ურჩია პრემიერ **ბორის ჯონსონს** სამეცნიერო მრჩეველმა **პატრიკ ვალანსმა.** მისი აზრით, კორონავირუსით დაავადება უნდა მოიხადონ (როგორც, მაგალითად, წითელა ბავშვობაში) მოსახლეობის 60-მა პროცენტმა, რომლის შემდეგაც ბრიტანელებს გამოუმუშავდებათ კოლექტიური იმუნიტეტი და აღარ იქნება კორონავირუსის შემდგომი ტალღები, რომელიც საბოლოოდ სეზონურ ინფექციად ჩამოყალიბდება. ამიტომ საზღვრების გადაკეტვა, მაღაზიების, რესტორნების დახურვა და ადამიანების შინ ჩაკეტვა (რისკის ჯგუფში მყოფი პირების გარდა) უაზრობაა და ეს არ უნდა გააკეთონ.

პრევენციის მიზნით გაერთიანებულ სამეფოში დაცარიელდა ფეხბურთის სტადიონების ტრიბუნები, გაუქმდა მეტროს ზოგიერთი ხალხმრავალი სადგური, სწავლება შეწყდა კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, მაგრამ ლონდონი ბერლინისგან, მილანისგან და ფლორენციისგან განსხვავებით არ ჰგავს მკვდარ ქალაქს.

ამასთანავე, **კორონავირუსით დაავადებულებისა და გარდაცვლილთა რაოდენობით ბრიტანეთი „ჩამორჩება" ლიდერებს — იტალიას, ჩინეთს, ირანს, აშშ-ს და ისეთ ევროპულ ქვეყნებს, როგორებიცაა ესპანეთი და საფრანგეთი.**

ამგვარ მიდგომას დასავლეთში ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. მაგალითად, მსოფლიოს სამედიცინო ასოციაციის თავმჯდომარე **ულრიხ მონტგომერი,** რომლის სიტყვებს იმეორებს „დოიჩე ველე" (DW). მას მიაჩნია, რომ იტალიამ, რომელმაც სხვა გზა აირჩია და რომელიც კორონავირუსით გამოწვეული სიკვდილიანობის რაოდენობით ლიდერობს, თავისი „დრაკონული მეთოდებით" ნეგატიური შედეგი მიიღო: „ფრიად სწრაფად ამოწურა თავისი მარაგი და ვერ მიაღწია ვირუსის გავრცელების შეჩერებას".

მან ერთი, მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური საკითხიც წამოჭრა. როგორ და რით აუხსნიან ყველაზე მკაცრი ღონისძიებების მომხრენი თავიანთ ხალხს, როდის აპირებენ მიღებული აკრძალვების დასრულებას — ხომ არ შეიძლება ყველა და ყველაფერი გაუთავებლად იყოს დაკეტილი?! არადა, როგორც ჩანს, კორონავირუსის ვაქცინის მიღებას საკმაო დრო დასჭირდება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვებიც და უფროსებიც იძულებულნი იქნებიან, „პატიმრობიდან" გამოვიდნენ გაგანია პანდემიის დროს, რომელიც მისი ახალი ეტაპის დაწყებას შეუწყობს ხელს.

დავასკვნათ:

ჩვენ წინაშეა ორი, პრინციპულად განსხვავებული მიდგომა.

საერთო დასავლური და მსოფლიოშიც საერთო — **ნება დავრთოთ მავანს, კვლავაც გაგვაბითუროს და მუდმივ შიშში გვაცხოვროს ისეთი სენის გამო, რომელიც ცოტათი თუ განსხვავდება ჩვეულებრივი გრიპისგან.**

და მეორე — პირობითად, ინგლისური: **თუ არ განეკუთვნები რისკის მცირე, ასაკოვან ადამიანთა ჯგუფს, უნდა იცხოვრო ჩვეულებრივად, ღიად და მხიარულად, რის საშუალებასაც მოგცემს სხვა ადამიანების პანიკა და შიში.**

**მომზადებულია tsargrad.tv-ზე გამოქვეყნებული სერგეი ლატიშევის სტატიის მიხედვით**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894